წიგნის ხამყარო(ელ.ბიბლიოთეკა)

პლატონი
ნადიმი

I

მე მგონია, თქვენს კითხვას მთლად მოუმზადებელი არ ვხვდები. ამას წინათ, ფალერონიდან[1] ქალაქისკენ რომ მოვდიოდი, ერთმა ნაცნობმა შემნიშნა და ხუმრობით მომაძახა: – ჰეი შენ, ფალერონელო[2], აპოლოდოროს, მოიცა ერთი! – მეც შევჩერდი და დაველოდე. – სწორედ შენ დაგეძებდი წეღან, – მითხრა მან, – მინდოდა გამომეკითხა, როგორი სიტყვებით შეამკეს ეროსი იმ ნადიმზე, რომელიც აგათონმა[3] გამართა და რომელზეც, სხვებთან ერთად, სოკრატე[4] და ალკიბიადეც[5] იყვნენ მიწვეულნი. ფენიქსს, ფილიპეს ვაჟს, ეგ ამბავი ერთი კაცისთვის უამბნია, ამ უკანასკნელმა კი მე მიამბო და, თუმცა ხეირიანად ვერა გამაგებინა რა, ის მაინც მითხრა, ყველაფერს უფრო დაწვრილებით აპოლოდოროსისგან შეიტყობო. ჰოდა, ნუ მეტყვი, უარს, რადგან ყველაზე მართებული იქნება შენი მეგობრის[6] სიტყვები შენვე გვაუწყო. მაგრამ ჯერ ეს მითხარი, – განაგრძო მან, – შენ თვითონ ესწრებოდი ამ ნადიმს თუ არა? – ამაზე მე მივუგე: – ვინც შენ ეგ გიამბო, თვითონაც არა სცოდნია რა დანამდვილებით, რაკიღა ფიქრობ, თითქოს იმ საუბრის შემდეგ, რომელიც შენ გაინტერესებს, იმდენად მცირე დრომ განვლო, რომ მე შემეძლო მას დავსწრებოდი. – მართლაც აგრე ვფიქრობდი, – მითხრა მან. – ეგ როგორ, – მივუგე მე, – ნუთუ არ იცი, ჩემო გლავკონ, რომ აგათონს კაი ხანია ათენში ფეხი აღარ დაუდგამს[7], ხოლო მას შემდეგ, რაც მე სოკრატეს დავუახლოვდი და ყოველდღე იმის ცდაში ვარ, როგორმე ჩავწვდე ყველაფერს, რასაც ის ამბობს ან აკეთებს, ჯერ სამ წელსაც არ გაუვლია. უწინ აქეთ-იქით დავყიალობდი და ჩემი სიცოცხლე უაზროდ როდი მიმაჩნდა, თუმცა ყველაზე საწყალობელი ვიყავი ქვეყნად, რადგან ვფიქრობდი, როგორც შენ ფიქრობ ახლა, კაცმა შეიძლება ყოველგვარ საქმეს მოჰკიდოს ხელი, ოღონდ არა ფილოსოფიას-მეთქი. – იცი რა? – გამაწყვეტინა მან, – დაცინვა იქით იყოს და მითხარი, როდის გადაიხადა აგათონმა ეგ წვეულება? – მაშინ, როცა ჩვენ ჯერ კიდევ პატარები ვიყავით, – მივუგე მე, – და როცა აგათონმა თავისი პირველი ტრაგედიით გამარჯვება მოიპოვა[8]. იმ დღეს თავის ქორევტებთან[9] ერთად მან სამადლობელი მსხვერპლი შესწირა ღმერთებს, მეორე დღეს კი ლხინი

---

[1] ფალერონი – ათენის პორტი, ქალაქიდან დაახლოებით 20 სტადიონით (= 185 მ) დაშორებული.

[2] ფალერონელი; ხუმრობა, როგორც ჩანს, სიტყვების თამაშზეა აგებული: ნიშნავს თეთრს, მბზინავს, ლაპლაპას – აპოლოდოროსი, ალბათ, მელოტი იყო.

[3] აგათონი – სახელგანთქმული ბერძენი ტრაგიკოსი. დაიბ. დაახ. 436 წ. ძვ. წ. ა. 20 წლისა იყო, როცა თავისი პირველი ტრაგედიით გაიმარჯვა ლენეის დღესასწაულზე(დიონისესადმი მიძღვნილი ატიკური რელიგიური დღესასწაული), აგათონის ტრაგედიებს, სამწუხაროდ, სრული სახით არ მოუღწევიათ ჩვენამდის.

[4] სოკრატე (469-399 ძვ. წ. ა.) – დიდი ბერძენი ფილოსოფოსი, პლატონის მასწავლებელი.

[5] ალკიბიადე (450-404 ძვ. წ. აღ.) – პერიკლეს ნათესავი, სოკრატეს მოწაფე, გამოჩენილი ათენელი პოლიტიკური მოღვაწე და მხედართმთავარი პელოპონესის ომში.

[6] იგულისხმება სოკრატე.

[7] 408 წლიდან აგათონი მაკედონიის მეფის – არხელაოსის (414-399) კარზე ცხოვრობდა და იქვე გარდაიცვალა დაახლ. 400 წელს.

[8] აგათონმა გამარჯვება მოიპოვა 416 წ. მაშინ ამ დიალოგის ავტორიც, აპოლოდოროსისა და მისი ნაცნობის მსგავსად, პატარა, ათი წლის ბიჭი იყო (პლატონი დაიბადა 427 წ.)

[9] ქორევტი – გუნდის წევრი.

გადაიხადა. – მართლაც რომ ძველი ამბავი ყოფილა, – თქვა მან, – მაგრამ ვინ გიამბო, შენ? იქნებ თვითონ სოკრატემ? – არა, ვფიცავ ზევსს, – მივუგე მე, – სოკრატემ კი არა, სწორედ მან, ვინც ეგ ფენიქსს უამბო: იყო ვინმე არისტოდემოსი[10], კიდათენელი, ტანმორჩილი და მიწყივ უხამური. ის ესწრებოდა ამ საუბარს და, თუ არ ვცდები, მაშინ სოკრატეს ყველაზე მხურვალე თაყვანისმცემლად ითვლებოდა. სხვათა შორის, ამაზე მე სოკრატესთანაც მისაუბრია და ორივეს ნაამბობი ზუსტად დამთხვევია ერთმანეთს. – რაღას უყურებ, – მითხრა გლავკონმა, – დაიწყე ბარემ; ქალაქამდე გრძელი გზა გვიძევს და სხვა რა უნდა მთქმელს ან გამგონეს? – მერე შეღმართს შევუდექით და გზადაგზა დიდხანს ვსაუბრობდით ყოველივე ამის შესახებ. ასე, რომ, როგორც წეღან გეუბნებოდით, შემიძლია თქვენს კითხვაზე პასუხი გაგცეთ. და თუ ეს თქვენი სურვილიცაა, ხათრს არ გაგიტეხთ. რადგან ფილოსოფიაზე ლაპარაკი (სულერთია მე ვლაპარაკობ თუ სხვის ლაპარაკს ვისმენ) ყოველთვის უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს, იმ სარგებელზე რომ აღარაფერი ვთქვა, რასაც აქედან გამოველი. ხოლო როდესაც თქვენს ლაპარაკს ვისმენ – მორჭმულთა და ვერცხლისმოყვარეთა ლაპარაკს – ყოველთვის სევდა მაწვება გულზე და მაშინ მებრალებით თქვენ – ჩემი ცუდმაშვრალი მოყვასნი. იქნებ თვითონაც არანაკლებ საწყალობელი გეჩვენებით და, შესაძლოა, არცა სცდებოდეთ, მაშინ როდესაც მე კი არ მეჩვენებით, არამედ ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ საწყალობელნი ხართ მართლაც.

მეგობარი: – შენ ისევ ის ხარ, აპოლოდოროს, არავის ინდობ, არც სხვებსა და არც საკუთარ თავს და, ალბათ, ყველა უბადრუკად მიგაჩნია სოკრატეს გარდა. ყველაფერი გახელებს: გახელებენ სხვები, გახელებს საკუთარი თავი. გამონაკლისი აქაც სოკრატეა მხოლოდ. არ ვიცი, რატომ შეგარქვეს შლეგი. ერთი კია, შენი სიტყვებით მუდამ ამართლებ მაგ მეტსახელს.

აპოლოდოროს: – ჩემო ძვირფასო, რაკი ასე ვფიქრობ ჩემზეც და თქვენზეც, ცხადია, შლეგიც ვყოფილვარ და დამთხვეულიც.

მეგობარი: – ახლა ამაზე დავა არ ღირს, აპოლოდოროს. ამას ჯობია თხოვნა შეგვისრულო და გვითხრა, თუ რა ითქვა მაშინ ნადიმზე?

აპოლოდოროს: – რა და... თუმცა, მე შევეცდები თავიდანვე ყველაფერი ისე გადმოგცეთ, როგორც არისტოდემოსმა მიამბო.

[10] არისტოდემოსი – რეალურად არსებული პიროვნებაა, სოკრატეს მოწაფე. მას იხსენიებს ქსენოფონტეც თავის „Memorabilia“-ში. არისტოდემოსი კიდათენელი იყო.
კიდათენი – ატიკური ფილის – პანდიონისის, ერთ-ერთი დემოსი, რომელიც ათენის ფარგლებში შედიოდა და აკროპოლისის სამხრეთით მდებარეობდა,

II

სოკრატეს შემთხვევით გადავეყარეო – მიამბობდა არისტოდემოსი, – კარგად განბანილიყო და ფეხთ სანდლები ჩაეცვა, რაც ნაკლებად სჩვეოდა მას. ვკითხე – აგრე მორთულ-მოკაზმული სად მიხვალ-მეთქი. – აგათონთან მივდივარ ვახშმად, – მიპასუხა მან, – გუშინ ბრბოის ღრიანცელმა დამაფრთხო და მსხვერპლშეწირვაზე, დასწრებას თავი ავარიდე; დღეისთვის კი შევპირდი, უთუოდ გეწვევი-მეთქი. აგრე გულდასმითაც, მიტომ მოვრთულვარ, რომ მშვენიერს მშვენივრად მორთული ვეახლო. შენ კი რას იტყვი, არისტოდემოს, – დაუმატა – მართალია, აგათონს არ უთხოვია მეწვიეო, მაგრამ მე რომ გთხოვო, ხომ ვერ წამყვები მასთან? – როგორც მიბრძანებ-მეთქი, – მივუგე მე. – მაშ გავწიოთ ერთად, რათა შევცვალოთ ძველი ანდაზის აზრი და დავამტკიცოთ, რომ კარგ სტუმარს შეუძლია დაუპატიჟებლად მიადგეს კარზე კარგ მასპინძელს[11]. ჰომეროსი ხომ, როგორც ჩანს, არა მარტო ცვლის. ამახინჯებს კიდეც ამ ანდაზას: იგი გვიხატავს აგამემნონს, როგორც ძალგულოვან მებრძოლს, ხოლო მენელაოსს – როგორც „ჯაბან მეომარს“[12] და ეს უკანასკნელი დაუპატიჟებლად მიჰყავს ლხინზე[13], რომელსაც აგამემნონი იხდის. მსხვერპლშეწირვის შემდეგ, ე. ი. უარესი მიჰყავს უკეთესთან. ამაზე მე მივუგე: – ვაითუ ისე სულაც არ გამოვიდეს, როგორც შენ ამბობ, სოკრატე, და, ჰომეროსის თქმისა არ იყოს, მე საბრალო დაუპატიჟებლად მივადგე კარზე, სიბრძნით: სახელგანთქმულ კაცს. მაგრამ შენ მეპატიჟები და შენვე მოიფიქრე რამე ჩემს გასამართლებლად, რადგან, იცოდე, იქ პირდაპირ განვაცხადებ, არ ვაპირებდი წამოსვლას, მაგრამ სოკრატემ ძალით წამომიყვანა-მეთქი. – ორნი რომ ვიქნებით, გზადაგზა უკეთ მოვიფიქრებთ, რა უნდა ვთქვათ[14], – მიპასუხა მან – ახლა ქი გავწიოთ.

რაკი ასე გადაწყდა, კვლავ გზას გავუდექითო – განაგრძობდა არისტოდემოსი. – გზაში სოკრატე ფიქრს მიეცა და თანდათან ნაბიჯს უკლო. მე დაცდა დავაპირე, მაგრამ მან მიბრძანა წინ მევლო. აგათონის სახლს რომ მივადექი, კარი ღია დამხვდა და, აი, სწორედ აქ, ფრიად სასაცილო მდგომარეობაში: აღმოვჩნდი. მყისვე გამომეგება ერთი მსახურთაგანი და პირდაპირ იქ შემიყვანა, სადაც სხვა სტუმრები უკვე მისხდომოდნენ სუფრას. – სწორედ რომ დროზე მოხველ, არისტოდემოს, – წამოიძახა აგათონმა ჩემი დანახვისთანავე, – თუ სხვა რამისთვის გარჯილხარ, კეთილინებე და ეგ საქმე შემდეგისთვის გადასდე. მე გუშინაც ვაპირებდი შენს დაპატიჟებას – გეძებდი და ვერ გნახე ვერსად. მაგრამ, სოკრატე რატომ არ მოგყავს თან? – მე უკან შევბრუნდიო, – ჰყვებოდა არისტოდემოსი, – მაგრამ ვაი ამ შებრუნებას: სადაა სოკრატე? – წეღან ერთად მოვდიოდით და, მართალი გითხრა, აქაც სწორედ მან მომიპატიჟა-მეთქი, – მივუგე. – კარგადაც მოქცეულა, – თქვა აგათონმა, – მაგრამ თვითონ სადღაა? – აქამდე უკან მომყვებოდა და მეც ვერ გამიგია, სად უნდა წასულიყო-მეთქი, – ვუპასუხე. – ბიჭო, –

---

[11] ეს პასაჟი ბერძნულ სიტყვათა მსგავსებაზეა აგებული და ამიტომ თარგმანში მისი გადმოცემა შეუძლებელია. ანდაზის პირვანდელი ფორმა სიტყვასიტყვით ნიშნავს: კარგები კარგთან თავისით, ე. ი. დაუპატიჟებლად მიდიან ნადიმზე. პლატონმა, როგორც ჩანს, შეცვალა: კარგები აგათონთან თავისით, ე. ი. დაუპატიჟებლად მიდიან ნადიმზე. სახელი აგათონი წარმოსდგება სიტყვიდან „კარგი“.

[12] „ილიადაში“ (XVII, 586-88) აპოლონი ასე მიმართავს ჰექტორს: ”ταρβήσειεν, οίον δή Μενέλαιον υπέτρεσας, ός τό πάρος περ μαλθακός αιχμητής.

[13] იხ. „ილიადა“, II, 408:

[14] იხ. „ილიადა“, X, 224-225;

უბრძანა აგათონმა მონას, – გასწი, მონახე სოკრატე და აქ მოგვიყვანე, შენ კი, არისტოდემოს, – მომიბრუნდა მე, – გთხოვთ დაიკავო ადგილი ერიქსიმახოსის გვერდით.

III

– ვიდრე ჩემს ადგილს დავიკავებდი, მონამ ფეხები დამაბანინაო, – განაგრძობდა არისტოდემოსი. – ამასობაში მეორე მონა მოვიდა და ამბავი მოიტანა – სოკრატე უკან გაბრუნებულა, მეზობლის ჭიშკართან დგას და, თუმცა ვთხოვე, არ ისურვა გამომყოლოდაო, – საკვირველია, ღმერთმანი, – თქვა აგათონმა, – წადი, ერთხელ კიდევ სთხოვე და არაფრით უკან გაბრუნება არ დაანებო. მაშინ მე ვუთხარი, – ჰყვებოდა არისტოდემოსი, – არ გინდა, მოეშვით-მეთქი, სოკრატეს აგრე სჩვევია: ხანდახან განმარტოვდება და დგას ასე თავისთვის. მე მგონია დიდხანს აღარ გვალოდინებს, ოღონდ მოეშვით, ნუ შეაწუხებთ. – თუ აგრეა, რა გაეწყობა, – თქვა აგათონმა, – თქვენ კი, ბიჭებო, დატრიალდით, გვიმასპინძლეთ ჩვენ – დანარჩენებს. თქვენის სურვილისამებრ მოგვართვით ყველაფერი. როგორც ყოველთვის, დღესაც თქვენთვის მომინდვია ეგ საქმე. წარმოიდგინეთ, რომ მე და ჩემი მეგობრები თქვენი სტუმრები ვართ და გვემსახურეთ ისე, რომ ჩვენი მადლობა დაიმსახუროთ.

– ამის შემდეგ ნადიმიც დაიწყოო, – ჰყვებოდა არისტოდემოსი, – სოკრატე კი მაინც არ ჩანდა. აგათონმა რამდენჯერმე დააპირა მონის გაგზავნა სოკრატეს მოსაყვანად, მაგრამ არისტოდემოსმა არ დართო ნება. წინააღმდეგ თავისი ჩვეულებისა, სოკრატეს დიდხანს აღარ დაუგვიანია და, როცა მოვიდა, სტუმრები შუა ჭამაში იყვნენ მხოლოდ. მაშინ აგათონმა, რომელიც შემთხვევით მარტო იჯდა სუფრის კიდეში, წამოიძახა: – აქ მო, ჩემო ძვირფასო, გვერდით მომიჯექ და ამრიგად მაზიარე იმ მაღალ სიბრძნეს, წეღან ალაყაფის კართან რომ მიემთხვიე; რადგან შენ, ალბათ, უკვე ჰპოვე, რასაც ეძებდი, თორემ რა მოგაცვლევინებდა ფეხს იმ ადგილიდან?

სოკრატე გვერდით მიუჯდა აგათონს და ასე უთხრა: – ნეტავი, ორი სულის სიახლოვით მართლაც შეიძლებოდეს ერთი სულიდან მეორეში სიბრძნის გადასხმა, ისევე როგორც წყალი გადაისხმება სავსე თასიდან ცარიელში, როცა მათ მკედით შეაერთებენ ხოლმე[15]. სიბრძნეც რომ ამ ბუნებისა იყოს, ბედნიერებად მივიჩნევდი შენს გვერდით ჯდომას, რადგან მაშინ მე ავივსებოდი შენი უხვი და კეთილი სიბრძნით. ჩემი სიბრძნე მქრქალია და მოჩვენებითი, როგორც სიზმარი, შენი კი ბრწყინვალეა და დიდებული; ამას მოწმობს ის ნათელი შარავანდედი, რომლითაც შემოსა მან შენი ყმაწვილკაცობა და ასე წარგადგინა გუშინ ოცდაათი ათასი ელინის წინაშე.

– ო, რა მწარე ენა გაქვს, სოკრატე, – თქვა აგათონმა, – მაგრამ მალე დიონისეს მოვუხმობთ მსაჯულად[16] და დაე მაშინ გამოჩნდეს ორივეს სიბრძნე. მანამდე კი მიირთვი რამე.

[15] თანახმად კაპილაროზის პრინციპისა.

[16] ე, ი. ღვინის სმას შევუდგებით.

IV

როცა ვახშმობას მორჩნენ, ზედაშე დაღვარეს, ჰიმნი უმღერეს ღმერთს და ყველა საწესო რიტუალი რომ აღასრულეს, დააპირეს სმას შესდგომოდნენ. მაშინ პავსანიამ აიღო სიტყვა: – ჯერ ვითათბიროთ, მეგობრებო, როგორ ვსვათ ისე, რომ ღვინომ არ გვავნოს. უნდა გამოგიტყდეთ, რომ გუშინდელი ღრეობის შემდეგ ახლაც მიბრუის თავი და, ბევრი თქვენგანის მსგავსად, ეს პატარა სულისმოთქმა მესაჭიროება, რადგან გუშინ ერთად ვსვამდით აქ. მაშ იფიქრეთ, როგორ. ვსვათ ისე, რომ ღვინომ არ გვაზიანოს.

აქ არისტოფანემ თქვა: მომწონს შენი თათბირი, პავსანია. ჩვენ მართლაც გვმართებს თავი შევიკავოთ სმისგან, რადგან მეც მათ რიცხვს ვეკუთვნი, ვინც კინაღამ ღვინოში ჩაიხრჩო გუშინ. – კეთილი და პატიოსანი, – თქვა ერიქსიმახოსმა, აკუმენის ვაჟმა, – მაგრამ ჯერ მინდა ერთი თქვენგანის, კერძოდ, აგათონის, აზრი შევიტყო: იქნებ მას ისევ სწყურია ღვინო? – არა, – უპასუხა მან, – აღარც მე შემიძლია სმა.

– როგორც ჩანს, ჩვენ – მე ჩემს თავს, ფედროსს და კიდევ ზოგიერთ სხვას ვგულისხმობ, თქვა – ერიქსიმახოსმა, – ბედმა გაგვიღიმა: თუკი ცნობილი მსმელები უკან იხევთ, ჩვენ რაღა გვეთქმის. სოკრატეზე არაფერს ვამბობ: მისთვის სულერთია ბევრს დალევს თუ ცოტას, ამიტომ ჩვენი გადაწყვეტილება ორივე შემთხვევაში ხელს აძლევს მას. მაგრამ რაკი არავინ მეტისმეტი სმის მომხრე არ არის, მე მგონია, არ მიწყენთ, თუ გულწრფელად მოგახსენებთ ჩემს აზრს თრობის შესახებ, მე ექიმი ვარ და გამოცდილებით ვიცი, თუ რა ვნების მოტანა შეუძლია თრობას კაცთათვის. ამიტომ, ჩემდა თავად. შევეცდები თავი ავარიდო თრობას და სხვებსაც ამასვე ვურჩევ, განსაკუთრებით კი მაშინ, თუ წინადღის ორგიის შემდეგ ისინი ჯერაც არ გამოფხიზლებულან კარგად.

– შენი სიტყვა ხომ კანონია ჩემთვის; ერიქსიმახოს, – გააწყვეტინა ფედროსმა, მირინუსელმა[17], – განსაკუთრებით, როცა მედიცინას ეხება საქმე, და, მე მგონია, არც სხვები გაგიწევენ ურჩობას, თუ გონების ხმას მიუგდებენ ყურს.

ამის შემდეგ ერთხმად გადაწყვიტეს არ მისძალებოდნენ ღვინოს და ნელ-ნელა შეჰყოლოდნენ სმას.

V

– რაკი გადაწყდა, – თქვა ერიქსიმახოსმა, – ნებისაებრ ვსვათ და ღვინო არვის დავაძალოთ, ამიტომ, ჩემის აზრით. ურიგო არ იქნება თუ გავისტუმრებთ ახლახან შემოსულ ავლეტრიდას[18]; დაე, თავისთვის დაუკრას, ანდა, თუ მოისურვებს, ქალებთან შევიდეს[19] და შეაქციოს ისინი. ჩვენ კი დღევანდელ დღეს საუბარში განვლევთ და, თუ გნებავთ, შემიძლია საუბრის თემაც შემოგთავაზოთ. – ეს წინადადება ყველას მოეწონა და სთხოვეს მათთვის თავისი აზრი გაენდო,

---

[17] მირინუსი – ატიკური ფილის პანდიონისის ერთ-ერთი დემოსი.

[18] ავლეტრიდა – ფლეიტაზე დამკვრელი ქალი.

[19] ბერძნულ სახლს ორი განყოფილება ჰქონდა: ე. წ. ანდრონი, რომელიც მამაკაცთათვის იყო განკუთვნილი და რომელშიც სიმპოსიონები იმართებოდა და გინეკეია – „საქალებო“.

მაშინ ერიქსიმახოსმა თქვა: – ჩემს სიტყვას ევრიპიდეს. მელანიპესავით დავიწყებ, რადგან ეგ აზრი მე კი არა, ფედროსს ეკუთვნის[20]. ფედროსს ხშირად აღშფოთებით უთქვამს ჩემთვის: – განა უცნაური, არ არის, ერიქსიმახოს, რომ პოეტები ხშირად ჰიმნებსა და პეონებს[21] უძღვნიან სხვა ღმერთებს, ხოლო ეროსის[22], ეგზომ დიადი და ძალმორჭმული ღმერთის ხოტბა ამდენ პოეტთა შორის ერთსაც არ უთქვამს ჯერ. მიჰხედე დახელოვნებულ სოფისტებს, თავიანთი დიალოგებით რომ ადიდებენ ჰერკულესს და სხვა ნახევარღმერთებს; ასე არ იქცევა თუნდაც სახელგანთქმული. პროდიკოსი?[23] ეს კიდევ არაფერი. ამას წინათ ხელში ჩამივარდა ერთი წიგნი, რომელშიც ღრმად განსწავლული ავტორი ხოტბას ასხამდა მარილის განსაცვიფრებელ ღირსებებს; იქვე ცად იყო აყვანილი მრავალი სხვა მსგავსი საგანი. აი, რაზე იხარჯება კაცთ ენერგია. ეროსი კი ჯერაც არავის შეუმკია ღირსებისამებრ. როგორ მიივიწყეს ეგზომ მაღალი ღმერთი? – და, ჩემის აზრით, ფედროსი მართალია. ამიტომაც ჩემს მოვალეობად ვთვლი მცირედი ხარკი, მივუძღვნა ეროსს და, ამასთან, მიმაჩნია, რომ ყოველ ჩვენგანს ხელსაყრელი შემთხვევა ეძლევა მისდა საქებად. ხოლო თუ თქვენც იზიარებთ ჩემს აზრს, საუცხოო თემა გვექნება საუბრისთვის. ამრიგად, თვითეულმა ჩვენგანმა, შეძლებისამებრ, ხოტბა უნდა შეასხას ეროსს. დავიწყოთ მარჯვნიდან. პირველი ფედროსი იქნება, რადგან რიგის' მიხედვით მას უწევს სიტყვა და ეს აზრიც ხომ მასვე ეკუთვნის?

– ყველა ხალისით გაიზიარებს შენს აზრს, ერიქსიმახოს, – თქვა სოკრატემ; ყოველ შემთხვევაში, მე თანახმა ვარ; ისედაც ხომ სულ იმას გავიძახი „ეროტიკის“[24] გარდა ამქვეყნად არა გამეგება-რა მეთქი. თანახმა იქნებიან აგათონი, პავსანია და, მითუმეტეს, არისტოფანე, რომლის მთელი შემოქმედება დიონისეს და აფროდიტეს უკავშირდება. ერთის სიტყვით, მხარს დაგიჭერს ყველა ჩვენგანი. მართალია, სუფრის კიდეში მსხდომთ უფრო ძნელი მოვალეობა გვეკისრება, მაგრამ თუ ჩვენზე წინ ნათლად და დამაჯერებლად ილაპარაკებენ, ჩვენ ამითაც კმაყოფილნი დავრჩებით. ახლა კი დაიწყე, ფედროს, და ეროსის ქება თქვი!

სოკრატეს სიტყვებს სხვებიც შეუერთდნენ, მაგრამ ყველაფერი, რაც იქ ითქვა, არისტოდემოსს აღარ ახსოვდა. მეც, ჩემის მხრივ, ზოგი რამ მისი ნაამბობიდან გადამავიწყდა, ხოლო რაც ღირსსახსოვარი მეჩვენა, შევეცდები თქვენც გადმოგცეთ,

VI

ამრიგად, როგორც ვთქვი, პირველად ფედროსმა ილაპარაკა. აი, დაახლოებით, როგორი იყო მისი სიტყვა: – ეროსი დიდი ღმერთია და მრავალ მიზეზთა, უპირველეს ყოვლისა კი მისი წარმოშობის გამო, ყველაზე საოცარიც ღმერთთა და კაცთა შორის.

[20] ევრიპიდეს ჩვენამდე არ მოღწეული ტრაგედიიდან „მელანიპა ბრძენი".

[21] პეონი – საგუნდო ჰიმნი. სამადლობელი, საზეიმო, სავედრებელი ან სხვა ხასიათისა, მეტწილად აპოლონისადმი მიძღვნილი.

[22] ეროსი – სიყვარულის ღმერთი.

[23] პროდიკოსი – სოფისტი, სოკრატეს თანამედროვე, ავტორი ცნობილი ალეგორიისა „ჰერაკლე ბიწსა და სათნოებას შორის“. ქსენოფონტე, თავის „Memorabilia“, II, 1.

[24] ეროტიკა – სამიჯნურო კავშირი, ურთიერთობანი, ზოგადად, ყველაფერი, რაც ეროსს უკავშირდება ან მიემართება.

მართლაც, ის ხომ ყველა უკვდავზე უძველესია. ამას ისიც მოწმობს, რომ ეროსს მშობლები არა ჰყავს. ყოველ შემთხვევაში, არცერთი პოეტი მათ არ იხსენიებს, ხოლო ჰესიოდე(1) ამბობს – პირველად ქმნულ იქნაო ქაოსი, შემდეგ კი „ვრცელკალთიანი დედამიწა, უკვდავი ფუძე ყველა საგანთა არსებულთა და სიყვარული“(2).

ამრიგად, ჰესიოდეს თანახმად, ეს ორი იშვა პირველად – მიწა და ეროსი. ხოლო პარმენიდე(3) პირველშესაქმისთვის გვეუბნება: „უკვდავთა შორის მან ეროსი შექმნა პირველად“.

ჰესიოდეს კვერს უკრავს აკუსილეოსიც(4). ამრიგად, ყველა ერთხმად აღიარებს, რომ ეროსი უძველეს ღმერთთა რიცხვს ეკუთვნის. უძველესი რომ არის, ეროსი უდიდეს სიკეთეთა მომნიჭებელიცაა ჩვენთვის. მართლაც, მე ვერ ვიტყოდი, რა შეედრება ყმაწვილი კაცის ბედნიერებას, როცა მას კეთილშობილი მიჯნური ეტრფის ან თვითონ უყვარს ვინმე გატაცებით. მხოლოდ სიყვარულს მიჰყავს კაცი ჭეშმარიტი გზით ამ ცხოვრებაში და არა გვარიშვილობას, დიდებას, მორჩმულებას თუ რაიმე სხვას. რატომ? იმიტომ რომ მათ თავისთავად არ ძალუძთ შთაუნერგონ კაცს სირცხვილი ბოროტის ქმნისა და სწრაფვა კეთილისადმი, ხოლო ამ ორი რამის გარეშე ვერც სახელმწიფო, ვერც ინდივიდი ვერას შეჰქმნის დიდსა და მშვენიერს. ამიტომ ვამტკიცებ: „თუ გამოაშკარავდა, რომ კაცმა, რომელსაც უყვარს(5), უმსგავსი საქმე ჩაიდინა ან საკუთარი სიმხდალის გამო სანაცვლო ვერ მიაგო შეურაცხმყოფელს, მაშინ ის უფრო თამამად შესძლებს თვალი გაუსწოროს მშობელ მამას, მეგობრებს თუ ყველა სხვა მოყვასს, ვიდრე საკუთარ სატრფოს. იგივე შეიძლება ითქვას ამ უკანასკნელის მიმართაც. და რომ შეიძლებოდეს მთელი სახელმწიფოს ან მთელი, ლაშქრის შექმნა, სადაც მხოლოდ მიჯნურნი და მათი სატრფონი იცხოვრებდნენ თუ იბრძოლებდნენ მხარდამხარ, მაშინ ვინ შესძლებდა მეტოქეობა გაეწია მათთვის ბიწისადმი სიძულვილსა და სათნოებისადმი სწრაფვაში? ხოლო ასე შეკავშირებულ თუნდაც მცირერიცხოვან ხალხს ბრძოლის ველზე, შეიძლება ითქვას, მთელი მსოფლიოც ვერ აღუდგებოდა წინ. რადგან, თუ არის ვინმე, რომლის თვალწინაც მიჯნური არ ისურვებდა იარაღი დაეყარა და მტრისთვის ზურგი ეჩვენებინა, ეს სატრფოა მისი. ის ათასწილ არჩევდა ბრძოლაში დაცემულიყო, ვიდრე მარტო დაეგდო საყვარელი არსება და გასაჭირში არ მიშველებოდა მას. რადგან ამ დროს ეროსი ყველაზე უფრო ჯაბანსაც კი გმირულ სულს შთაბერავს ხოლმე. ერთის სიტყვით, თუ ჰომეროსი ამბობდა – ღმერთი მხნეობას უნერგავს გმირებსო(6), ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეროსი საგმირო საქმეთათვის აღაგზნებს მიჯნურთ.

VII

მეტსაც გეტყვით, მხოლოდ შეყვარებულთ შეუძლიათ თავი დასდონ ერთმანეთისთვის და არა მარტო მამაკაცებს, არამედ ქალებსაც. ალკესტიდამ(1), პელეასის ასულმა, ეს ერთხელ კიდევ ცხადად დაუმტკიცა ბერძნებს. მხოლოდ მან ირჩია სიკვდილი მეუღლის გულისთვის, თუმცა ამ უკანასკნელს დედ-მამა ცოცხალი ჰყავდა. მისი გრძნობა საყვარელი მეუღლის მიმართ შეუდარებლად უფრო ღრმა აღმოჩნდა მშობლების სიყვარულზე და, ამრიგად, ნათელი გახდა, რომ ისინი, არსებითად, უცხონი იყვნენ შვილისთვის და მხოლოდ სახელით ენათესავებოდნენ მას.

და თუმცა მრავალს განუთქვამს სახელი თავისი მაღალი საქმეებით, მხოლოდ მცირერიცხოვან რჩეულთა სულები დაუხსნიათ ღმერთებს ჰადესის(2) ტყვეობიდან; ხოლო ალკესტიდას საქციელმა ისე მოხიბლა არა მარტო მოკვდავნი, არამედ უკვდავნიც, რომ პელეასის ასულის თავდადებით აღფრთოვანებულმა ღმერთებმა მისი სული უყოყმანოდ გამოიწვიეს ჰადესიდან. ამრიგად, თვითონ ღმერთებიც დიდ პატივს სცემენ უანგარო და თავგანწირულ სიყვარულს! ორფეოსს(3) კი, ეაგრეს ვაჟს, მეუღლეს დანატრებული ჯოჯოხეთს რომ ჩავიდა, ევრიდიკეს ნაცვლად ღმერთებმა მხოლოდ აჩრდილი აჩვენეს მისი და ხელცარიელი გაისტუმრეს ჰადესიდან, რადგან იგი მუსიკოსი იყო და შემართება აკლდა: ნაცვლად იმისა, რომ, ალკესტიდას მსგავსად, თავი დაედო საყვარელი არსების გულისთვის, ის შეეცადა როგორმე ცოცხალი ჩასულიყო ჰადესს. ამიტომაც დასაჯეს იგი ღმერთებმა და დიაცთა ხელით სიკვდილი არგუნეს წილად. მაშინ როდესაც ისინი სხვაგვარად მოექცნენ აქილევსს(4), თეტიდას ვაჟს, და ნეტართა კუნძულებზე გაგზავნეს იგი. მას ხომ დედამ უწინასწარმეტყველა – თუ ჰექტორს(5) მოჰკლავ, შენც სიკვდილი გელის, ხოლო თუ არ მოჰკლავ, მშვიდობით მიბრუნდები შინ და ღრმა მოხუცებულობამდე იცოცხლებო. მიუხედავად ამისა, აქილევსმა არჩია საკუთარი სიცოცხლის ფასად შური ეძია თავისი ძვირფასი პატროკლესთვის და ზედ დაჰკვდომოდა მეგობრის ცხედარს. ეგზომ დიდი პატივის ღირსადაც მიტომ ცნეს ღმერთებმა, რომ ყველაფერი ანაცვალა კაცს, რომელსაც იგი უყვარდა. ესქილე(6), რა თქმა უნდა, ცდება, როცა ამბობს აქილევსს პატროკლე უყვარდაო, რადგან იგი მარტო პატროკლეს კი არა, ყველა დანარჩენ გმირსაც ჩრდილავდა მშვენებით და, ამასთან, ჯერ კიდევ უწვერული, თავის მეგობარზე გაცილებით უმცროსიც იყო, როგორც ჰომეროსი ამბობს. და თუ ღმერთებს ატყვევებს თავგანწირვა მიჯნურისა საყვარელი არსების გულისთვის, მათ გაცილებით უფრო ხიბლავს და აღაფრთოვანებს ამ უკანასკნელის თავდადება თავისი მიჯნურის მიმართ. რადგან მასში, ვისაც უყვარს, მეტია ღვთაებრივი, ვიდრე მასში, ვინც უყვართ(7). პირველი ხომ თვით ღვთაების მიერაა შთაგონებული. ამიტომ იყო, ღმერთებმა აქილევსს უფრო მეტი პატივი რომ მიაგეს, ვიდრე ალკესტიდას, და ნეტართა კუნძულებზე გაგზავნეს იგი.

ამრიგად მე, ჩემის მხრივ, შემიძლია დავასკვნა, რომ ეროსი ყველაზე ძველი, ყველაზე ძალმორჭმული, ყველაზე პატივსაცემი ღვთაებაა უკვდავთა შორის, რადგან ყველაზე მეტად მას ძალუძს სათნოებასა და ნეტარებას აზიაროს კაცი როგორც ამ ქვეყნად, ისე საიქიოშიც.

VIII

– ასეთი სიტყვა წარმოსთქვა ფედროსმაო, – ჰყვებოდა არისტოდემოსი. ფედროსის შემდეგ სხვებმაც ილაპარაკეს თურმე, მაგრამ მათი სიტყვები არისტოდემოსს კარგად აღარ ახსოვდა. ამიტომ დუმილით აუარა მათ გვერდი და პირდაპირ პავსანიას სიტყვაზე გადავიდა, აი, ეს სიტყვაც:

– მე არ მომწონს, ფედროს, თვითონ საკითხის აგრე დასმა. გამოდის რომ ჩვენგან მხოლოდ ქებას მოითხოვ ეროსისას და სხვას არაფერს. ეგ ურიგო როდი იქნებოდა, ერთი ეროსი რომ არსებობდეს მხოლოდ. მაგრამ რაკი ეროსი ერთზე მეტია, ჯერ

აჯობებდა გაგვერკვია, რომელი მათგანი უნდა აქოს კაცმა. მე შევეცდები ერთგვარად გამოვასწორო ეგ ნაკლი: ჯერ ვიტყვი, რომელი ეროსია ქების ღირსი და მხოლოდ შემდეგ შევაქებ მას ღირსებისამებრ.

ყველამ ვიცით, რომ არ არსებობს აფროდიტე(1) ეროსის გარეშე. აფროდიტე რომ ერთი იყოს, ერთი იქნებოდა ეროსიც; მაგრამ რაკი აფროდიტე ორია, ეროსიც ორი უნდა იყო უთუოდ. და განა ორ აფროდიტეს არ ვიცნობთ მართლაც? ერთი უფროსია, უდედოდ შობილი ურანოსის მიერ, მიტომაც ციურს(2) ვუწოდებთ მას; მეორე – უმცროსი, ზევსისა და დიონეს ასული. აქედან მისი სახელი – მიწიერი(3). ამიტომ ბუნებრივი იქნებოდა ამ ორი ქალღმერთის თანამდგომი ორივე ეროსისთვისაც იგივე სახელები გვეწოდებინა – ციური და მიწიერი. ყველა ღმერთი, რა თქმა უნდა, თაყვანისცემის ღირსია, მაგრამ ურიგო არ იქნებოდა თვითეული მათგანის არსი გაგვერკვია თავდაპირველად. ყოველი საქმე აგრეა: თავისთავად ის არც ლამაზია და არც უმსგავსი. ყველაფერი, რას ჩვენ ვაკეთებთ ახლა – ვსვამთ, ვმღერით, ვსაუბრობთ, ლამაზია არა თავისთავად, არამედ თავის გამოვლენაში: ყველაფერი ეს ლამაზია მაშინ, თუ ისე კეთდება, როგორც წესი და რიგია(4), წინააღმდეგ შემთხვევაში – უმსგავსი. იგივე შეიძლება ითქვას ეროსის მიმართაც: ყველა ეროსი როდია ლამაზი და ღირსი ხოტბისა, არამედ მხოლოდ ის, რომელიც ლამაზი სიყვარულისთვის აღგვაგზნებს.

IX

ეროსი მიწიერი აფროდიტესი მართლაც რომ მიწიერია და აღვირახსნილი. სწორედ ეს ეროსი მეფობს ბიწიერ კაცთა შორის, რომელნიც განურჩევლად ეტრფიან როგორც დიაცებს, ისე ყრმებსაც, ხოლო ვისაც ეტრფიან, მასში სხეული უფრო ხიბლავთ მისი, ვიდრე სული. თავისი სიყვარულის საგანს ისინი ყველაზე უფრო თავქარიან არსებათა შორის ირჩევენ და, თუ ვნება დაიცხრეს, ნაკლებად დაგიდევენ, კანონიერის გზით მიაღწიეს ამას თუ არა. ამიტომაა ყველაფერს რომ კისრულობენ ისინი და ნაკლებად არჩევენ კარგსა და ავს. რადგან ეს სიყვარული მიწიერი აფროდიტესგან მომდინარეობს, რომელიც მეორე ქალღმერთზე უმრწემესია და ამასთან ორი საწყისის – მდედრობითის და მამრობითის ნაშიერი. მეორე ეროსი კი ციური აფროდიტესგან წარმოსდგება, რომელსაც მდედრობით საწყისთან არაფერი აქვს საერთო და მხოლოდ მამრობითისგან იღებს დასაბამს, თანაც მიწიერ ქალღმერთზე უფროსია და ურცხვობაც უცხოა მისთვის. სწორედ ამიტომ მამრობით სქესს – თავისი ბუნებით და ინტელექტით უფრო ძლიერ სქესს ეტრფიან ამ სიყვარულით შთაგონებულნი. და თვითონ მამათმავლობის(1) მიხედვით ძნელი როდია მათი გარჩევა, რომელთა სიყვარულს სწორედ ციური ეროსი წარმართავს: ისინი უასაკო ბალღებს კი არ ეტრფიან, არამედ უკვე გონებრივი სიმწიფის ასაკში შესულ, ახლად წვერულვაშაშლილ ჭაბუკებს. მათ რომ უმიჯნურდებიან, ისინი, ჩემის აზრით, მზად არიან სამუდამოდ თავიანთ სათაყვანებელ არსებათა გვერდით დარჩნენ და მათი სიხარული და მწუხარება გაიზიარონ. ისინი არ ისარგებლებენ ჭაბუკის მიამიტობით, არ აცდუნებენ მას და მერე შერცხვენილს არ დააგდებენ, რათა მყისვე სხვას მიაშურონ. და უნდა არსებობდეს კანონი, რომელიც აკრძალავდა უასაკო ბალღტა სიყვარულს, რათა წყალში გადაყრილი არ აღმოჩნდეს ამდენი: გულმოდგინება კაცთა: რადგან ძნელია თქვა, ბოლოსდაბოლოს

სად მიიყვანს ყრმას მისი სულიერი თუ ფიზიკური ზრდა – სათნოებასთან თუ ბიწთან? ყველა კეთილშობილი კაცი, რა თქმა უნდა, ნებაყოფლობით ემორჩილება ამ დაუწერელ კანონს, მაგრამ საჭიროა მიწიწერი ეროსის მიმდევართაც ავუკრძალოთ მისი შელახვა, ისევე როგორც, შეძლებისამებრ, სიძვის დიაცთა სიყვარულს ვუკრძალავთ მათ. სწორედ ამ „მიწიერმა“ მიჯნურებმა ამოსვარეს ლაფში სიყვარული და ისე ამოსვარეს, რომ ზოგიერთი იმის თქმასაც კი ბედავს, თითქოს სამარცხვინო იყოს თაყვანისმცემელს თანაუგრძნო შენსას. ამის თქმის საბაბს მათ მხოლოდ „მიწიერ“ მიჯნურთა აღვირახსნილობა და ურცხვობა აძლევს, რადგან უსამართლობაა დაჰგმო ის, რასაც სამართლიანობა და კანონიერება უძევს საფუძვლად.

სხვა სახელმწიფოებში სიყვარულს მარტივი ადათები განსაზღვრავენ და მათში ჩაწვდომა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს, ხოლო ჩვენში და სპარტაში იგივე ადათ-წესები რთულია და ბუნდოვანი. ასე მაგალითად, ელიდისა(2) და ბეოტიის(3) მკვიდრნი, რომელნიც მაინცდამაინც დიდის მჭევრმეტყველებით არ გამოირჩევიან, თაყვანისმცემლისადმი თანაგრძნობის გამომჟღავნებას სიქველედ თვლიან. იქ არავინ იტყვის, არც მოხუცი, არც ახალგაზრდა – ეგ სამარცხვინოაო, ჩემის აზრით, თუნდაც იმიტომ, რომ ფუჭად არ დახარჯონ დრო ჭაბუკთა დასარწმუნებლად, რისი უნარიც ნაკლებად შესწევთ, პირიქით, იონიასა(4) და ბევრ სხვა მხარეში, ბარბაროსთა მბრძანებლობას რომ ემორჩილებიან, ეს სამარცხვინოდაა მიჩნეული, რადგან ბარბაროსებთან ტირანია სუფევს და სიყვარული, ისევე როგორც ფილოსოფიისა და გიმნასტიკისადმი სწრაფვა, საძრახისად ითვლება. როგორც ჩანს, არ მოსწონთ ტირანებს, როცა მათ ქვეშევრდომთა შორის მაღალი აზრები, მტკიცე მეგობრობა და ერთსულოვნება იჩენს თავს. ხოლო ყოველივე ამას ეროსი უნერგავს ადამიანებს. ჩვენი ტირანები საკუთარი გამოცდილებით დარწმუნდნენ ამაში: არისტოგიტონის სიყვარულმა და მისდამი ჰარმოდიოსის(5) ერთგულებამ ხომ მათი ძალაუფლება დაამხო ოდესღაც. ამრიგად, ზოგგან თაყვანისმცემლისადმი თანაგრძნობის გამომჟღავნება(6), როგორც წესი, სამარცხვინო მოვლენად ითვლება. რაც სწორედ მათმა ბიწიერებამ განაპირობა, ვინც ეს წესი წესად აქცია, კერძოდ, მმართველთა სისასტიკემ და ქვეშევრდომთა სიმხდალემ, ზოგგან კი, პირიქით, თაყვანისმცემლისადმი თანაგრძნობის გამომჟღავნებას ადათი სიქველედ მიიჩნევს, რაც აიხსნება მცონარებით მათი სულისა, ვინც ეგ ადათი დანერგა იქ და დაამკვიდრა. ჩვენი ადათი სხვათა ადათებზე გაცილებით მშვენიერია, ოღონდ, როგორც წეღან ვამბობდი, იოლი საქმე როდია მასში გარკვევა,

X

მართლაც, როგორც ჩვენში ამბობენ, უმჯობესია გიყვარდეს აშკარად, ვიდრე ფარულად და, ამასთან, გიყვარდეს უფრო ღირსეულნი და კეთილშობილნი, თუნდაც უსახურნი, სხვებზე გაცილებით უსახურნი იყვნენ ისინი. განა უცნაური არაა, რომ თვითეული ცდილობს ყოველნაირად წააქეზოს და წაახალისოს მიჯნური, თითქოს მის ქცევაში არა იყოს რა სათაკილო და საძრახისი? თუ წარმატებას მიაღწია, ხომ კარგი, თუ არა და სირცხვილი მას, ეგეც არ იყოს, კანონი(1) სრულ თავისუფლებას ანიჭებს მიჯნურს, რომელიც ყველა თავისი უცნაურობით სატრფოს(2) გულის მოგებას და ამით

სახელის მოხვეჭას ცდილობს. მაშინ როდესაც ყველა, ვინც შეეცდებოდა იმავე გზით სხვა რაიმე მიზნის მიღწევას, უდიდეს სირცხვილს დაიტეხდა თავზე. ასე მაგალითად, ვინმესგან ფულის სესხების, თანამდებობის ხელში ჩაგდების ან ძალაუფლების მოხვეჭის მიზნით ისევე რომ იქცეოდეს კაცი, როგორც მიჯნურნი იქცევიან თავიანთ სატრფოთა მიმართ – კერძოდ, ცრემლმორეული ევედრებოდეს, ფეხქვეშ ეგებოდეს; მისი კარის წინ გორავდეს და ისე იმცირებდეს თავს, უკანასკნელი მონაც რომ არ იკადრებდა, – ამას წინ აღუდგებოდნენ არა მარტო მისი მოყვასნი, არამედ მტრებიც; პირველნი შეეცდებოდნენ გონს მოეყვანათ იგი და სამარცხვინოდ მიიჩნევდნენ მასთან მეგობრობას, მეორენი კი დაჰგმობდნენ მას სიმდაბლისა და პირფერობისთვის. ხოლო ყოველივე ეს უბრალოდ მიეტევება მიჯნურს, რომელსაც თვით კანონი რთავს ნებას აგრე მოიქცეს, თითქოს მის ქცევაში არა იყოს რა სათაკილო საძრახისი. მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ, უმრავლესობის აზრით, მხოლოდ მიჯნურს შეუნდობენ ღმერთები ფიცის გატეხას, რადგან, როგორც ამბობენ, მიჯნურის ფიცს ფიცი არ ეთქმის. ამრიგად, უკვდავნიც და მოკვდავნიც სრულს თავისუფლებას ანიჭებენ მიჯნურს, როგორც ამას აქაური კანონიც მოწმობს. ერთის სიტყვით, კაცს შეუძლია იფიქროს, რომ ჩვენში ჭეშმარიტად ღირსების საქმედაა მიჩნეული გიყვარდეს და სიყვარულითვე ჰპასუხობდე მიჯნურს შენსას(3).

მამები კი ხშირად ლალას მიუჩენენ ხოლმე ყმაწვილკაცებს, შ რათა მათ თავიანთ მიჯნურებთან ლაპარაკის ნება არ დართონ (ლალასაც ხომ ეგ ევალება სწორედ), და თუ ისინი მაინც გაებნენ მიჯნურის მახეში, ტოლ-სწორთა დაცინვის საგნად იქცევიან უთუოდ, ხოლო უფროსები სრულიადაც არ ჰგმობენ და არ ჰკიცხავენ გამიჯნურებულ ჭაბუკთადმი ასეთ უმართებულო(4) დამოკიდებულებას, რაც იმასაც კი აფიქრებინებს კაცს, თითქოს ყოველივე ეს სამარცხვინოდ ითვლებოდეს ჩვენში.

მე კი ასე ვფიქრობ: წელან მოგახსენებდით – ყოველი საქმე აგრეა-მეთქი: თავისთავად არც ლამაზია ის და არც უმსგავსი(5). ლამაზია, თუ ისე კეთდება, როგორც წესი რიგია, წინააღმდეგ შემთხვევაში – უმსგავსი. სიყვარული ასეა: სამარცხვინოა მისი სიყვარული, ვინც ბრმად თანაუგრძნობს ავს, და ლამაზია მისი, ვინც შეგნებულად თანაუგრძნობს კარგს(6). ხოლო ავს მე ვუწოდებ იმ „მიწიერ* მიჯნურს, რომელიც სხეულს უფრო ეტრფის, ვიდრე სულს: ამასთან ის უპიროა და ცვალებადი, ისევე როგორც ცვალებადია და წარმავალი მისი ტრფობის საგანი. საკმარისია დაჭკნეს სხეული, რომელსაც იგი ეტრფოდა, რომ მყისვე მიფრინავს მისგან და სამარცხვინოდ ივიწყებს ყველა თავის ფიცსა და აღთქმას. ხოლო ტრფიალი მშვენიერის სულისა მთელი სიცოცხლის განმავლობაში მისი ერთგული რჩება, რადგან მარადიულსა და წარუდინებელთანაა შეერთებული.

ჩვენი კანონი თვითეული მათგანის სათანადო გამოცდას ითვალისწინებს და, ამასთან, გვავალებს ვწყალობდეთ ერთს და გავურბოდეთ მეორეს. ამიტომ იგივე კანონი აქეზებს მიჯნურს, ესწრაფოდეს სატრფოს გულის მონადირებას, ხოლო ამ უკანასკნელს – გაურბოდეს მიჯნურს თავისას და, ამგვარად, სჯის და არკვევს, რას წარმოადგენს მიჯნური, ანდა სატრფო რას წარმოადგენს. ყოველივე ამის გამო, ჯერ ერთი, სამარცხვინოა სწრაფად დანებდე მიჯნურს – საჭიროა განვლოს საკმაო დრომ, რომელიც მრავალი რამის ყველაზე უკეთესი გამომცდელია; მეორეც, ასევე სამარცხვინოა დანებდე კაცს მხოლოდ იმიტომ, რომ ის მდიდარია და გავლენიანი,

სულერთია, შიში და სიმხდალე იქნება ამის მიზეზი თუ ქონების ან თანამდებობის ხელში ჩაგდების სურვილი, რადგან არცერთი ამ კავშირთაგანი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ურყევად და მარადიულად და, მით უმეტეს, ჭეშმარიტი, კეთილშობილური მეგობრობის წყაროდ. ამრიგად, სატრფოს, თუკი მას სურს ღირსეულად თანაუგრძნოს მიჯნურს თავისას, ჩვენი კანონი ერთადერთ გზას უტოვებს მხოლოდ. ეს კანონი ბრძანებს: თუ მიჯნურს პირფერობასა და სულმდაბლობაში არ ჩამოერთმევა ნებისმიერი ნებაყოფლობითი მონობა თავისი ტრფობის საგნის მიმართ, ამ უკანასკნელს ერთადერთი ნებაყოფლობითი მონობა მიეტევება მხოლოდ და მიზანი ამ მონობისა სათნოებაა.

XI

მართლაც, ჩვენის კანონით აგრეა მიჩნეული: თუ კაცს სურს ემსახუროს მეორეს, რადგან იმედოვნებს მისი წყალობით სრულქმნილებას მიაღწიოს სიბრძნესა თუ სათნოების რომელიმე სხვა დარგში(1), ეს ნებაყოფლობითი მონობა სიმდაბლედ ან პირმოთნეობად არ ჩაითვლება. ხოლო ორივე ეს კანონი – კანონი მამათმავლობისა კანონი სიბრძნისა თუ სათნოების სხვა დარგთა შესახებ – უნდა ემთხვეოდეს კიდეც ერთმანეთს, თუკი არ გვსურს დავგმოთ სატრფო იმისთვის, რომ თაყვანისმცემელს თანაუგრძნობს თავისას. და მართლაც, მხოლოდ მაშინ, როცა მიჯნურსა და მისი ტრფობის საგანს ერთი და იგივე მიზანი ამოძრავებს, და, ამასთან, თვითეული. მათგანი საკუთარ ზრახვას და გულისთქმას მისდევს, როცა პირველი, რომელსაც ძალუძს სიბრძნესა და სათნოებას აზიაროს თავისი ტრფობის საგანი, არაფერს იშურებს, რათა უანგარო სამსახურით ემსახუროს მას, ხოლო, თავის მხრივ, ეს უკანასკნელი, რომელიც მთელის არსებით ესწრაფვის ცოდნის მოხვეჭას, ცდილობს ასევე უანგაროდ მიაგოს სანაცვლო თავის კეთილისმყოფელს, ვისი წყალობითაც იგი სიბრძნეს და სათნოებას ეზიარება, ვიმეორებ, მხოლოდ მაშინ, ორთავეს მიზანთა და ზრახვათა ურთიერთდამთხვევისას შეიძლება ითქვას, რომ სატრფოსთვის სასახელოა თაყვანისმცემელს თანაუგრძნოს თავისას(2). ხოლო ყველა სხვა შემთხვევაში ეს თანაგრძნობა სამარცხვინო იქნებოდა მისთვის. ამიტომ აქ თვით გაცურებაც სამარცხვინოდ არ ჩაითვლება, ყველა სხვა შემთხვევაში კი შერცხვენილი რჩება გაცურებულიც და არაგაცურებულიც. მართლაც, თუ ვინმე მხოლოდ იმიტომ დანებდება მიჯნურს, რომ მდიდარი ჰგონია იგი, მაგრამ იმედი გაუცრუვდება და ვერაფერს ვეღარ მიიღებს, რადგან მდიდრის ნაცვლად ღატაკი შერჩება ხელში, ეს გაწბილება დიახაც სამარცხვინო იქნება მისთვის, რადგან ამით თვალნათლივ გვიჩვენა, ყოველგვარ სიმდაბლეს რომ იკისრებდა ფულის გულისთვის, რაც სრულიადაც არ არის კარგი. სწორედ ასევე, თუ ვინმე იმიტომ დანებდება მიჯნურს, რომ კეთილშობილ კაცად მიაჩნია იგი და სწამს მისი მეგობრობა. ამამაღლებსო, მაგრამ იმედგაცრუებულს კეთილშობილის ნაცვლად მდაბალი და დაცემული არსება შერჩება ხელში, ასეთი გაწბილება მშვენიერია მაინც, რადგან ამით თვალნათლივ გვიჩვენა, რომ ყველაფერს იკისრებდა სათნოების და სრულქმნილების გულისთვის, ხოლო რა შეიძლება იყოს ამაზე კარგი. ამგვარად, მშვენიერია სიყვარული, რომელსაც სათნოებისადმი სწრაფვა ასაზრდოებს.

ეს სიყვარული ციური აფროდიტესეული სიყვარულია, ციური სიყვარული, ასე საჭირო როგორც მთელი ქალაქის, ისე ყველა ცალკეული მოქალაქისთვის, რამდენადაც აიძულებს მიჯნურს და მის სატრფოს, გულმოდგინედ იზრუნონ საკუთარი სათნოების სრულყოფისთვის. ყველა სხვაგვარი სიყვარული კი მეორე, მიწიერი ქალღმერთისგან მომდინარეობს.

აჰა, ფედროს, ყველაფერი, რაც კი შემიძლია აგრე სახელდახელოდ შემოგთავაზო ეროსისთვის.

როცა პავსანიამ პაუზა გააკეთა (ამ ალიტერაციებს სოფისტებმა შემაჩვიეს), არისტოფანეს ჯერმა მოაღწია, ჰყვებოდა არისტოდემოსი. მაგრამ მას მეტისმეტი სიმაძღრისა თუ სხვა რამის გამო სლოკინი აუტყდა და ლაპარაკი ვეღარ შესძლო. ამიტომ მის გვერდით მჯდომ ექიმს ერიქსიმახოსს მიუბრუნდა და ასე უთხრა: – ერიქსიმახოს, კეთილინებე და ან დამიხსენ ამ სლოკინისგან, ან არადა ჩემს მაგივრად ილაპარაკე, ვიდრე თავისით გამივლის იგი, – ერთ თხოვნასაც შეგისრულებ და მეორესაცო, – მიუგო ერიქსიმახოსმა, – შენს ნაცვლად მე ვიტყვი სიტყვას, ხოლო, როცა სლოკინი გაგივლის, ჩემს მაგივრად ილაპარაკებ. გავლით კი მალე გაგივლის, თუ ინებებ და ცოტა ხნით მაინც შეიკავებ სუნთქვას ან წყალს გამოივლებ ყელში. ხოლო თუ ეგ შენი სლოკინი მეტისმეტად ძლიერია, რაიმე შეიხიცინე ცხვირში და დააცემინე; ამას ერთი-ორჯერ რომ გაიმეორებ, სლოკინი უსათუოდ გაგივლის, რაგინდ ძლიერიც არ უნდა იყოს იგი. – მაშინ დაიწყე ჩქარა, – თქვა არისტოფანემ, – მე კი შენს რჩევას მივყვები.

XII

ერიქსიმახოსმა თქვა: – რადგან პავსანიამ კარგად დაიწყო, მაგრამ ცუდად დაასრულა თავისი სიტყვა, ამიტომ შევეცდები სათანადოდ დავაბოლოვო იგი. რომ ეროსი ორია, ჩემის აზრით ეს სწორად იქნა აღნიშნული, მაგრამ ჩემი ხელობის მედიცინის წყალობით მე შევძელი დამედგინა, რომ ეროსის საუფლო მარტო კაცთა სულებით კი არ შემოიფარგლება, სადაც მის ერთადერთ მიზანს მშვენიერებისადმი სწრაფვა წარმოადგენს, არამედ ის მრავალ სხვა რამესაც ისახავს მიზნად, მრავალ სხვა საგანზეც ავრცელებს თავის ძალმორჭმულებას, როგორც მაგალითად, გვამზე ყოველი ცხოველისა, დედამიწის ყველა ნაყოფზე, ერთის სიტყვით, ყველა არსზე, ყველა სულდგმულზე. ამრიგად, ამ დიად და საოცარ ღმერთს ემონება ყველაფერი, რასაც კაცურს ვუწოდებთ ჩვენ, ანდა ზეკაცურს. დავიწყებ მედიცინით, რათა სათანადო პატივი მივაგო. ჩემს ხელობასაც.

ხორციელი ბუნება თავის თავში შეიცავს ორივე ეროსს. სხეულის ჯანსაღი და სნეული ელემენტები, როგორც ცნობილია, ურთიერთშორის განსხვავებულ და არამსგავს ელემენტებს წარმოადგენენ, ხოლო არამსგავსი ყოველთვის არამსგავსს ეძებს და ეტრფის. ამრიგად, სხვაა სიყვარული ჯანსაღი სხეულისა, სხვაა – სნეულის. პავსანია წეღან ამბობდა კარგია დანებდე, კეთილშობილ მიჯნურს და სამარცხვინოა დანებდე ზნედაცემულსო(1). მასვე ვიტყვით ჩვენ, როცა საქმე სხეულს ეხება: აამო სხეულის კეთილსა და ჯანსაღ ელემენტებს კარგია და აუცილებელიც, – მედიცინის დანიშნულებაც ესაა სწორედ, – ხოლო აამო ავსა და სნეულ ელემენტებს სამარცხვინოა

და ამას უნდა ებრძოდეს კიდეც ის, ვისაც სურს ჭეშმარიტი მკურნალი ერქვას. ერთის სიტყვით, მედიცინა არის მეცნიერება სხეულის ეროტიული აფექტების შესახებ ავსებასა და დაცლასთან მათს მიმართებაში(2). ნამდვილი მკურნალი ისაა, ვისაც ძალუძს ამ აფექტებში ჭეშმარიტი სიყვარულის გარჩევა სამარცხვინო სიყვარულისგან; ხოლო ვისაც ხელეწიფების სახე უცვალოს ამ აფექტებს, ისე, რომ სხეული ერთის ნაცვლად მეორე ეროსმა მოიცვას, ვისაც ძალუძს შთაბეროს სიყვარული იქ, სადაც ის არ არის და საჭირო კია იყოს, ანდა აღმოფხვრას სიყვარული იქიდან, სადაც მან უკვე დაივანა, იგია უმაღლესი დემიურგოსი: მართლაც, მას ხომ მოეთხოვება მეგობრობისა და ორმხრივი სიყვარულის გრძნობით დააკავშიროს სხეულის ყველაზე მტრული ელემენტები; ხოლო ყველაზე მტრულ ელემენტებს ყველაზე დაპირისპირებულნი წარმოადგენენ, როგორც მაგალითად – ცივი და ცხელი, მწარე და ტკბილი, მშრალი და სველი და სხვა მათი მსგავსნი. სწორედ ამიტომ წინაპარი ჩვენი ასკლეპიოსი(3), რომელმაც შესძლო სიყვარული და ერთსულოვნება შთაებერა ამ ელემენტებისთვის, როგორც ამას აქ მყოფი პოეტები(4) ამტკიცებენ და რაშიც თვითონაც ღრმად ვარ დარწმუნებული, გახდა ჩვენის ხელობის დამფუძნებელი. ამრიგად, ჩემის ღრმა რწმენით, მედიცინას მთლიანად ეგ ღმერთი განაგებს, ისევე როგორც გიმნასტიკას და მიწათმოქმედებას.

რაც შეეხება მუსიკას, ხომ ყველასათვის ცხადია, ვინც მცირეოდენ ყურადღებას მაინც უთმობს მას, რომ აქაც იგივე მოვლენასთან გვაქვს საქმე. იქნებ სწორედ ამის თქმა სურდა ჰერაკლიტესაც(5), თუმცა მისი ნათქვამი რამდენადმე ბუნდოვანია. – ერთიანი, – ამბობს იგი, – რომელიც თავის თავს შორდება, თავის თავსვე უახლოვდება, როგორც ჰარმონია (ერთიანობა) მშვილდის და ლირის. – ხომ სიშლეგეა იმის მტკიცება, რომ ჰარმონია არაერთიანია, ანდა რომ ის საპირისპირო ელემენტებისგან იღებს დასაბამს. მაგრამ, შესაძლოა, ჰერაკლიტეს იმის თქმა სურდა, რომ ჰარმონია იშვა თავდაპირველად ურთიერთდაპირისპირებული – მაღალი და დაბლი, ხოლო შემდეგ მუსიკალური ხელოვნების წყალობით ურთიერთშეთანხმებული ელემენტებისგან. რა თქმა უნდა, არაერთიანი, მაღალი და დაბალი ბგერები ვერ იქნებიან წყარო ჰარმონიისა; ჰარმონია ხომ თანახმიანობაა, თანახმიანობა კი თანხმობაა ერთგვარი, ხოლო თანხმობა ურთიერთშეუთანხმებელ, დაპირისპირებულ საწყისთაგან ვერ მიიღება, ვიდრე დაპირისპირებულნი არიან ისინი. თავის მხრივ, ვერც ჰარმონია შეაერთებს არაერთიან, დაპირისპირებულ ელემენტებს(6). სწორედ ასევე მიიღება რიტმიც – თავდაპირველად ურთიერთდაპირისპირებული, ხოლო შემდეგ ურთიერთშეთანხმებული, ჩქარი და ნელი ელემენტებისგან. თანხმობას კი ყველაფერ ამას ანიჭებს მუსიკა – ისევე როგორც ზემოთ მედიცინა ანიჭებდა ტემპერამენტებს, – რომელიც ორმხრივ სიყვარულს და ერთსულოვნებას უნერგავს დაპირისპირებულ ელემენტებს. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ მუსიკაც მეცნიერებაა იმ ეროტიულ ელემენტთა შესახებ, რომელნიც ჰარმონიისა და რიტმის სფეროს განეკუთვნებიან.

თვით ჰარმონიისა და რიტმის ბუნების მიხედვით ძნელი როდია მათში ეროტიული ელემენტების გარჩევა. ორ ეროსს თქვენ ვერ ნახავთ იქ, მაგრამ როცა საჭირო ხდება კაცთა საშვებლად რიტმისა და ჰარმონიის გამოყენება, იქნება ეს თხზვისას, რაც კომპოზიციის სახელითაა ცნობილი(7), თუ უკვე არსებული მოტივებისა და საზომების მართებული ხმარებისას, რასაც მუსიკალური აღზრდა(8)

ეწოდება, ეს დიახაც ძნელი საქმეა და დიდი ხელოვანის ხელს საჭიროებს. ამ შემთხვევაშიც იგივე პრინციპი იჩენს თავს: ჩვენ არაფერს უნდა ვიშურებდეთ მათთვის, ვინც კეთილშობილია ან, თუ არ არის, ცდილობს, მაინც ასეთი იყოს, და ვუფრთხილდებოდეთ მათ სიყვარულს. სწორედ ეგაა ჭეშმარიტად მშვენიერი, ციური, მუზა ურანიასეული სიყვარული. ხოლო სიყვარული, რომელიც პოლიმნიასგან(9) მომდინარეობს, მიწიერი სიყვარულია და მას ფრთხილად უნდა მივმართავდეთ მისკენ, ვისაც იგი მიემართება(10), რათა მისგან მონიჭებული სიხარული აღვირახსნილობის წყაროდ არ იქცეს. ასეთივე სიფრთხილე გვმართებს მაშინაც, როცა ჩვენს ხელობას ეხება საქმე, რათა არ ჩაგვმწარდეს ეს სიტკბოება, რასაც სამზარეულო ხელოვნება გვთავაზობს. ამრიგად, ყველაფერში, იქნება ეს მუსიკა, მედიცინა თუ რაიმე სხვა, რასაც კაცურს ვუწოდებთ ჩვენ, ანდა ზეკაცურს, საჭიროა ანგარიში გაეწიოს ორივე ეროსს, რადგან ისინი ყველგან არიან.

XIII

წელიწადის დროთა ბუნებაც ხომ მთლიანად ამ ორ ეროსზეა დამოკიდებული. როდესაც მოპირისპირე ელემენტები, რომელთა შესახებაც წეღან მოგახსენებდით, სახელდობრ, ცივი და ცხელი, მშრალი და სველი, ზომიერი, ციური ეროსის, გავლენის ქვეშ ექცევიან და, ამრიგად, ჰარმონიულსა და გონივრულ მთლიანობაში ერწყმიან ერთურთს, ამას მოჰყვება როგორც კაცთათვის, ისე ცხოველთა და მცენარეთათვის, კეთილი, უხვი და არა მავნე ან ბოროტი წელი. ხოლო როდესაც წელიწადის ბუნებაზე აღვირახსნილობასთან წილნაყარი, მიწიერი ეროსი ახდენს უფრო ცხოველ ზემოქმედებას, ეს გარდუვალად იწვევს მრავალი რამის იავარქმნას და განადგურებას. სწორედ ამ ეროსის გავლენა იწვევს, ჩვეულებრივ, ჟამსა და მრავალი სხვა სახის სნებას როგორც ცხოველთა, ისე მცენარეთა შორის. ჭირხლი, სეტყვა და კოდიც(1) ხომ შედეგია იმ უწესრიგობის და ქაოტურობისა, რაც ამ ეროსს ელემენტთა კავშირში შეაქვს. ხოლო მეცნიერებას ვარსკვლავთა წრიულ მიმოქცევასა და წელიწადის დროთა ბუნებაზე სიყვარულის გავლენის შესახებ ასტრონომია ეწოდება.

გარდა ამისა, ყოველგვარი მსხვერპლშეწირვა და, საერთოდ,. ყველაფერი, რასაც მანტიკა(2) განაგებს და რაც ღმერთთა და კაცთა კავშირს ემსახურება, ერთადერთ მიზანს ისახავს და ამ მიზანს ეროსის მფარველობა და მკურნალობა შეადგენს მხოლოდ. ყოველგვარი მკრეხელობაც ხომ იქიდან იღებს დასაბამს, რომ ჩვენ პატივისა და ყოველ საქმეში პირველობის ღირსად ვცნობთ არა ზომიერ, ციურ ეროსს, არამედ აღვირახსნილს, მიწიერს, იქნება ეს მშობელთა, როგორც ცოცხალთა ისე გარდასულთა თუ ღვთაებათა თაყვანისცემის დროს. ამიტომაც შეადგენს მანტიკის დანიშნულებას ეროსის მეთვალყურეობა და მკურნალობა. ხოლო მანტიკა, თავის მხრივ. უკვდავთა და მოკვდავთა მეგობრობის დემიურგოსია, რადგან შეუძლია ნათლად განსჭვრიტოს, კაცთა ეროტიული მიდრეკილებებიდან რომელი მიემართება წმიდას, რომელი – ბიწიერს.

ამრიგად, ყოველი ეროსი ძლევამოსილი ან, უკეთ რომ ვთქვათ, ყოვლისშემძლე ღმერთია უთუოდ. და მაინც მხოლოდ იმ ეროსის ძალმორჭმულებაა ჭეშმარიტად უსაზღვრო, რომლის კეთილგონიერება და სამართლიანობა უკვდავთა და მოკვდავთა

შორის სიკეთის დამკვიდრებას ემსახურება და რომელიც, ამასთან, ყველა ნეტარების მომნიჭებელიცაა ჩვენთვის. სწორედ ეგ ეროსი გვარიგებს ერთმანეთთან და ღმერთების მეგობრობასა და კეთილგანწყობას გვიხვეჭს, ღმერთებისა, რომელთა ბუნება ეგზომ მაღლა დგას კაცთ ბუნებაზე.

შესაძლოა, ეროსის მაქებარს ბევრი რამ უნებლიედ გამომრჩა კიდეც, მაგრამ ამ ნაკლის გამოსწორება შენთვის მომინდვია, არისტოფანე. თუმცა, იქნებ გწადია სულ სხვაგვარად აქო ეროსი. ნება შენია, ოღონდ დაიწყე, რაკი შენმა სლოკინმა უკვე განვლო. აქო, ჰყვებოდა არისტოდემოსი, არისტოფანემ სიტყვა ჩამოართვა ერიქსიმახოსს და თქვა: – განვლით კი განვლო, მაგრამ მხოლოდ ცხვირის ცემინების წყალობით. და მე მიკვირს ფრიად, ნუთუ იმისთვის, რომ ყველაფერი წესრიგში გვქონდეს, აუცილებელია ამდენი ტკიცინი და ხიცინი, რასაც ცხვირისცემინება იწვევს? ყოველ შემთხვევაში, სლოკინმა მაშინვე გამიარა, როგორც კი ცხვირისცემინება შევაგებე მას. – კარგად დაფიქრდი, რას ჩადიხარ, არისტოფანე, ძვირფასო ჩემო, – შეესიტყვა ერიქსიმახოსი, – ნაცვლად იმისა რომ სიტყვა დაიწყო, შენ ხუმრობ და მაიძულებ ფხიზლად მივსდიო შენს საუბარს, რათა სასაცილო არა წაგცდეს რა, თუმცა შეგეძლო სავსებით მშვიდად გეთქვა შენი სათქმელი. – მართალს ბრძანებ, ერიქსიმახოს, – მიუგო არისტოფანემ, – ამიტომ გთხოვ, ყურადღებას ნუ მიაქცევ წეღანდელ ნათქვამს, ნურც ჩემს სიტყვებს დაუწყებ ჩხრეკას, რადგან, მე ის კი არ მაშინებს სასაცილო არა ვთქვა-მეთქი რამე – ეგ ხომ ჩემი მუზის და ჩემი ღირსების საქმეა – მხოლოდ იმას ვუფრთხი, არა წამცდეს რა ისეთი, რაც ჩემი დაცინვის საბაბს მისცემდა სხვებს. – შენ გსურს ხუმრობით გახვიდე ფონს, არისტოფანე, – თქვა ერიქსიმახოსმა, —- მაგრამ ფრთხილად! ილაპარაკე ისე, თითქოს შენი სიტყვისთვის ანგარიშს აბარებდე ვინმეს. და, ვინ იცის, თუ მომეპრიანა, შესაძლოა, შეგინდო კიდეც შეცოდებანი.

XIV

– ჩემი სიტყვა მართლაც განსხვავებული იქნება როგორც შენი, ისე პავსანიას სიტყვებისგან, ერიქსიმახოს, – თქვა არისტოფანემ. – მე მგონია კაცთათვის სავსებით შეუცნობელი დარჩა ძალმორჭმულება ეროსისა; რადგან, ეგ რომ შეეცნოთ, ისინი უზარმაზარ ტაძრებსა და ბომონებს აღუმართავდნენ ეროსს და უშურველ მსხვერპლსაც გაიღებდნენ მისთვის. ხოლო ამჟამად იგი უსამართლოდაა მივიწყებული. ეროსი ხომ ყველაზე კაცთმოყვარე ღმერთია უკვდავთა შორის, კაცთა მეოხი და მკურნალი ყველა იმ ადამიანურ ავადობათა, რომელთა განკურნება უდიდეს ნეტარებას აზიარებდა კაცთა მოდგმას. ამიტომ მე შევეცდები დაგანახოთ ეროსის ჭეშმარიტი ძალა, თქვენ კი სხვებს დაანახეთ ეგ. მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა გაგაცნოთ კაცთა ბუნება, მისი სალმობანი და სახეცვლილებანი.

ოდესღაც ჩვენი ბუნება. სრულიადაც არ იყო ისეთი როგორიც ახლაა, არამედ სხვაგვარი იყო იგი. დასაბამითგან სამი სქესი არსებობდა კაცთა და არა ორი, როგორც ამჟამად – მამრობითი და მდედრობითი. უწინ მათ ერთვოდა კიდევ მესამე, ორივესთვის საერთო სქესი. დღემდე მხოლოდ სახელი შემორჩა მისი, თვითონ კი გადაეგო. ანდროგინონ(1) ერქვა ფორმითაც და სახელითაც პირველ ორ სქესთან წილნაყარ აკუმს. ახლა ის უკვე გადაგებულია და მისი სახელი სათრეველად თუღა

იხმარება დღეს. ამის გარდა, სფერსებრი იყო ფორმა თვითეული კაცისა, მრგვალი ფერდები და მრგვალი ზურგი ჰქონდა იმ არსებას, ოთხი ხელი, ამდენივე ფეხი და ორიც საოცრად მსგავსი სახე მრგვალ კისერზე, ხოლო მან მოპირისპირე მიმართულებით მზირალ ორივე ამ სახეს ერთი თავი აერთებდა მხოლოდ; ამას დაუმატეთ ოთხი ყური, ორი სარცხვინელი ასო და სხვა დანარჩენი, როგორც ეს თვითეულ ჩვენგანს ადვილად შეუძლია წარმოიდგინოს. დადიოდა იგი შვეულად, წელში გამართული, როგორც ჩვენ დავდივართ დღეს, და ყოველი მიმართულებით შეეძლო გადაადგილება. ხოლო როცა გაქცევა იყო საჭირო, მყვინთავთა მსგავსად, ფეხებს მაღლა რომ აპლაკავენ და თავდაყირა ეშვებიან წყალში, იგი თავის რვავე ასოს ეყრდნობოდა და მიგორავდა აგრე, ბურთივით. ხოლო არსებობა და თვითმყოფობა ამ სამი სქესისა იმან განაპირობა, რომ მამრობით საწყისს მზემ მისცა დასაბამი, მდედრობითს – დედამიწამ, ხოლო მესამეს, აკუმს – მთვარემ, რომელსაც თავადაც ბევრი რამ აქვს საერთო მზისა და მიწის. და ამ სფეროსებრ არსებათა მოძრაობაც მიტომ იყო სფეროსებური, რომ ისინი თავიანთ მშობლებს წააგავდნენ დიდად. დიდი იყო და საშინელი მათი ძალა და ასევე დიდი მათი ზრახვანი, მიტომაც ხელყვეს ღმერთების ძალაუფლება, და რასაც ჰომეროსი ამბობს ეფიალტესა და ოტოსისთვის(2), მათთვისაც ამბობს: სწორედ მათ დააპირეს ცისთვის მიეღწიათ და თავს დასხმოდნენ ღმერთებს.

XV

მაშინ ზევსმა(1) და სხვა ღმერთებმა ბჭობა გამართეს – რა ვიღონოთო, მაგრამ ძნელი გადასაწყვეტი აღმოჩნდა საქმე: ერთის მხრივ, მათ არ უნდოდათ მეხთატეხით დასტყდომოდნენ თავს კაცთა მოდგმას და მუსრი გაევლოთ მისთვის, ისევე როგორც გიგანტები მოსრეს ოდესღაც, – ვინღა შესწირავდა მაშინ მსხვერპლს ღმერთებს ან პატივს ვინღა მიაგებდა მათ? – ხოლო, მეორეს მხრივ, ვერც კაცთა თავგასულობას აიტანდნენ აგრე ვაგლახად. ბოლოს, დიდი ხნის ფიქრის შემდეგ, ზევსმა როგორც იქნა გაიღო ხმა: – მე მგონია ვპოვეო გამოსავალი, – თქვა მან, – კაცთა ძლიერების შემუსვრით ჩვენ შევძლებთ დაღუპვისგან ვიხსნათ ისინი და მათ თავგასულობასაც მოვუღოთ ბოლო. ამიტომ ორად გავკვეთ თვითეულ მათგანს. ამით ძალაც მოაკლდებათ და, რაკი მათი რიცხვი ერთიორად გაიზრდება, მეტ სარგებელსაც მოგვიტანენ ჩვენ. რაც შეეხება სიარულს, შვეულად, წელში გამართულნი ივლიან კვლავაც, მხოლოდ ახლა უკვე ორ ფეხზე. ხოლო თუ შევატყე, რომ ისინი არ ცხრებიან და კვლავ თავხედობენ, თვითეულს ხელახლა გავკვეთ შუაზე და მაშინ მათ ცალ ფეხზე მოუწევთ ხტომა.

თქვა თუ არა ეს, ზევსმა სათითაოდ შუაზე გაჰკვეთა ისინი, როგორც ჭნავს ჰკვეთენ ხოლმე დასამარილებლად(2) ან როგორც კვერცხსა სჭრიან შუაზე ძუით. თვითეულ კაცს, აგრე განკვეთილს, აპოლონი(3) ზევსის ბრძანებისამებრ სახესა და კისრის ნახევარს ჭრილის მხარეს უქცევდა, რათა ადამიანს ემზირა მისთვის და, ამრიგად, გონს მოსულიყო. რაც შეეხება დანარჩენ ნაწილებს, ზევსმა განკურნება უბრძანა მათი აპოლონს. სახე რომ შეუტრიალა თვითეულს, აპოლონმა ყოველის მხრიდან მოჭიმა კანი იმ ადგილისკენ, მუცელს რომ უწოდებენ დღეს, და, თითქოს ქისას უკრავსო თავს, ზედ მუცლის შუაში გამოსკვნა იგი, ხოლო კვანძის თავთან

ერთადერთი. ნახვრეტი დასტოვა, რომელსაც ჭიპს ვეძახით ჩვენ. მან გაასწორა ბევრი სხვა ნაკეციც, დღევანდელი ფორმა მისცა მკერდს და ამის მოქმედს იგივე იარაღი ეჭირა ხელში, რომლითაც დაბაღები დაჭმუჭვნილ ტყავს ჭიმავენ ხოლმე კალაპოტზე. ორიოდე ნაოჭი მაინც დაუტოვა კაცს მუცელზე, ჭიპის მახლობლად – სახსოვარი მისი ძველი შეჩვენებისა.

და როცა შუა გაკვეთილი აღმოჩნდა კაცის სხეული, თვითეულმა ნახევარმა, მეორის წყურვილით გახელებულმა, ძებნა დაუწყო თავის ტყუპისცალს. შეხვედრისას ერთმანეთს გადაეტმასნებოდნენ ისინი და აგრე ჩახვეულნი, კვლავ ერთარსად ქცევის მსურველნი, იხოცებოდნენ შიმშილით და უმოქმედობით, რადგან არაფრის გაკეთება არ უნდოდათ უერთმანეთოდ. ხოლო როცა კვდებოდა ერთი ნახევარი, მეორე, ცოცხლად შთენილი, ახალ ნახევარს დაეძებდა თავისთვის და ხელახლა ეტმასნებოდა მას, სულერთია, იქნებოდა ეს მრჩობლი დედაკაცის ნახევარი, რასაც ქალს ვუწოდებთ დღეს, თუ ნახევარი მრჩობლი მამაკაცისა. ჰოდა, იღუპებოდა კაცთა მოდგმა.

სიბრალულით აღძრულმა ზევსმა ახალი ხერხი მოიგონა მაშინ: სარცხვინელი ასოები წინ გადმოუნერგა ადამიანებს, რადგან აქამდე უკან იყო მათი ადგილი და ადამიანები ერთმანეთს კი არ ანაყოფიერებდნენ, ერთმანეთში კი არ ჩასახავდნენ, არამედ პირდაპირ მიწაში, ჭიჭინობელათა მსგავსად. ამ ცვლილებამ შესაძლებელი გახადა ადამიანთა ურთიერთგანაყოფიერება მამრის მდედრთან თანაყოფის გზით. ზევსის მიზანიც ის იყო სწორედ, რომ კაცის თანაყოფას ქალთან ახალი სიცოცხლის ჩასახვა მოჰყოლოდა შედეგად, ხოლო კაცის თანაყოფას კაცთან სიამოვნება მაინც მიენიჭებინა მათთვის, რათა გაყრის შემდეგ ჩვეულებრივ საქმიანობას და თავის თავზე ზრუნვას მიბრუნებოდნენ ვნებადამცხრალნი.

აჰა, საიდან მოკიდებული ღვივის კაცთა გულებში სიყვარული ერთურთისადმი, სიყვარული, რომელიც პირვანდელ სახეს უბრუნებს მათ, ცდილობს გათიშულ, ნახევართა ერთარსად შერწყმას და გამრთელებას კაცთა ბუნების.

XVI

თვითეული ჩვენგანი, ამრიგად, მხოლოდ ქამბალასავით შუა გაჭრილი კაცის ქსიმბოლონს(1) წარმოადგენს, მთელის ნახევარს და ამიტომაც გამუდმებით დაეძებს თავისსავე ქსიმბოლონს.

ყველა მამაკაცი, რომელიც იმ აკუმის ჩამონაჭერია, ანდროგინონ რომ ერქვა ოდესღაც, ქალთა სქესს ეტრფის და მემრუშეთა უმეტეს ნაწილსაც ისინი შეადგენენ სწორედ. თავის მხრივ, წარმოშობით მათი მონათესავე ქალები კაცთა სქესს ეტრფიან და სიძვის დიაცთაც მათ შორის ჰპოვებთ უპირატესად. ხოლო ყველა ქალი, რომელიც მრჩობლი დედაკაცის ჩამონაჭერია, სრულ გულგრილობას იჩენს მამრთა მიმართ და მხოლოდ საკუთარ სქესს ეტრფის, რისთვისაც ჰეტაირისტრიებს(2) უწოდებენ მათ. ისინი კი, ვინც მრჩობლი მამაკაცის ჩამონაჭრებს წარმოადგენენ, ჯერ კიდევ ბავშვობიდან, როცა მათ მამაკაცის „ნაფოტებს“(3) თუ უწოდებს კაცი, მამაკაცებისკენვე ილტვიან და მათთან წოლა და ხვევნა მიაჩნიათ ბედნიერებად. და ისინი, ჭეშმარიტად, ყველაზე მაღლა დგანან ტოლ-სწორთა შორის, რადგან ბუნებით გაცილებით უფრო მამაკაცურნი არიან სხვებზე. მართალია, ზოგი ამას ურცხვობაში უთვლის მათ, მაგრამ

ეს მცდარი აზრია: არა ურცხვობა, არამედ საკუთარი შემართება, მამაცობა და მამაკაცურობა აღძრავს მათ მათივე მსგავსთა სიყვარულისთვის. და აჰა, ურყევი საბუთიც ამისა: რა მოიწიფებიან, ისინი, მხოლოდ ისინი თუ იწყებენ სახელმწიფო მოღვაწეობას. უკვე დავაჟკაცებულნი კი მამათმავალნი ხდებიან და თუ ცოლს ირთავენ და ბავშვებს აკეთებენ, ეგ მათი ბუნებრივი მიდრეკილებით კი არა, კანონის წინაშე მორჩილებით აიხსნება მხოლოდ: ისინი – სულით ცელიბატები(4) – კმაყოფილნი: იქნებოდნენ მარტოოდენ ერთმანეთის სიახლოვითაც. დიახ, მამათმავალნი ხდებიან და ფილერასტები(5), რადგან მათსავე მსგავსთაკენ ილტვიან მიწყივ. ხოლო როცა მამათმავალი ან რომელიმე სხვა არსება თავის მეორე ნახევარს გადაეყრება, მათ შორის ისე საოცარის ძალით იფეთქებს მაშინ მეგობრობის, ურთიერთნდომისა და სიყვარულის გრძნობა, რომ აღარ სურთ, თუნდაც ერთის წამით მოსწყდნენ ერთმანეთს და, თუმცა ერთად ატარებენ მთელს სიცოცხლეს, ისინი ვერ შესძლებდნენ ეთქვათ, რა სურთ მაინც, რას ითხოვენ ერთმანეთისგან. მართლაც, ძნელი წარმოსადგენია ასე დაჟინებით მხოლოდ იმიტომ ისწრაფვოდნენ ერთმანეთისკენ, რომ ვნებათა ღელვა დაიცხრონ. ცხადია, მათ სულს რაღაც სხვა სწყურია, რა – თვითონაც არ ესმის ნათლად. ის მხოლოდ გუმანით გრძნობს ამას და აგრე მიგვანიშნებს ჩვენც. ხოლო მათ, ერთად მწოლარეთ, ჰეფესტოსი(6) რომ წასდგომოდა თავს თავისი ხელსაწყოებით და რა გსურთო, კაცნო, რას მოითხოვთ ერთმანეთისგან? – და მერე, მათი ჭოჭმანის შემყურეს, კვლავ შეებრუნებინა კითხვა: – იქნებ თქვენ გსურთ, რადმდენადაც ეს შესაძლოა, ერთარსად ქცევა, რათა ვერც დღემ, ვეღარც ღამემ ვეღარ გაგყაროთ? თუ ეგ გწადიათ, მე მზადა ვარ ერთმანეთს შეფადნოთ და შეგაკავშიროთ, ისე რომ ორიდან ერთ არსად იქცეთ და, ვიდრე ცოცხლობთ, ერთი არსების მსგავსად, ერთი, საერთო სიცოცხლით იცოცხლოთ, მერე თვითონ სიკვდილიც ვეღარ შესძლებს თქვენს გაყრას და ჰადესიც ისე მიგიღებთ, როგორც ერთ აჩრდილს. მაგრამ დაფიქრდით, სწორედ ეგაა, რასაც ესწრაფვით, სწორედ მისი აღსრულება მიგამთხვევდათ ბედნიერებას? – ჩვენ ვიცით. რომ არცერთი მათგანი, ამის გამგონე, უარს არ ეტყოდა ჰეფესტოსს, არც სხვას ისურვებდა რასმე; პირიქით, ყველა უყოყმანოდ გადასწყვეტდა, რომ ისმინა სწორედ ის, რასაც ამდენი ხანია ნატრობდა; სახელდობრ, საყვარელ არსებასთან შედნობას და შეკავშირებას, ორი არსებიდან ერთარსად ქცევას. ამის მიზეზი კი ისაა, რომ ჩვენი ძველი ბუნება ასეთი იყო და ჩვენ ერთ მთლიან ინდივიდუმს წარმოვადგენდით. ხოლო სურვილს მაგ მთლიანობისას და მისკენ ლტოლვას სიყვარული ჰქვია სახელად. უწინ, როგორც ვამბობდი, ჩვენ ერთ მთლიან ინდივიდუმს წარმოვადგენდით. ახლა კი ჩვენი ცოდვებისთვის გაგვთიშა და გაგვყარა ღმერთმა, როგორც ლაკედემონელებმა – არკადიელნი(7). ამიტომ წრფელნი უნდა ვიყოთ ღმერთთა წინაშე, რათა ხელახალი განკვეთის საფრთხე ავიცილოთ თავიდან და სტელებზე(8) გამოსახულ ბრტყელ, ნესტოთა გამყოფ ხაზზე გადახერხილ ფიგურებს(9) ანდა ლისპებს(10) არ დავემსგავსოთ ზედმიწევნით. მაშ, საჭიროა ღვთისმოსავის გზნება არ ჩაქრეს ჩვენში, რათა ეროსის წინამძღვრობითა და ჰეგემონობით თავი დავაღწიოთ ერთს და ვეზიაროთ მეორეს(11).

დაე, ნურავინ ეურჩება ეროსის ნებას, რადგან ეურჩო მის ნებას, ნიშნავს ღმერთების რისხვა დაიტეხო. თავს. ხოლო ღვთაების მეგობრობას და კეთილგანწყობას თუ დავიმსახურებთ, მივემთხვევით კიდეც ჭეშმარიტ საგანს ჩვენი სიყვარულისა, რაც

ახლა რჩეულთა ხვედრია მხოლოდ.

დაე, ნუ შემედავება ერიქსიმახოსი, ნუ გაამასხრებს ჩემს სიტყვას, ნურც იმას იტყვის, თითქოს პავსანიასა და აგათონისთვის ვამბობდე ამას. შესაძლოა, ისინი სწორედ ამ რჩეულთა რიცხვს ეკუთვნიან, მით უმეტეს, რომ ჭეშმარიტ მამაკაცად მიმაჩნია თვითეული მათგანი, მაგრამ მე, ვგულისხმობ საერთოდ ყველას, უკლებლივ ყველა მამაკაცს და ყველა დედაკაცს და ვამტკიცებ, რომ კაცთა მოდგმა ბედნიერი იქნება მხოლოდ მაშინ, როცა თვითეული ჩვენგანი თავის საფერს იპოვის და, ამრიგად, ჩვენს პირვანდელ ბუნებას დაუბრუნდება. და თუ ამას მივიჩნევთ უმაღლეს სიკეთედ, მაშინ აქედან უცილობლად უნდა დავასკვნათ, რომ ყველაზე დიდი ბედნიერება, რასაც ამქვეყნად შეიძლება ეწიოს კაცი – ესაა შეძლებისამებრ მიეახლო ამ უმაღლეს სიკეთეს, ე. ი. ჰპოვო შენი გულისსწორი, შენი საფერი. და როცა ჩვენ ვუმღერით ღმერთს, მიზეზს ამ სიკეთისა, სამართლიანად ვუმღერით ეროსსაც, რომელიც ახლაც უდიდეს სამსახურს გვიწევს, როცა მათკენ მიგვიძღვის, ვინც ბუნებით გვენათესავება, ხოლო მომავალს უდიდესი იმედით გვიშუქებს: თუკი წრფელნი ვიქნებით ღმერთების მიმართ, ის დაგვიბრუნებს ჩვენს ძველ ბუნებას, განგვკურნავს და გვაზიარებს ნეტარებას და ბედნიერებას.

აჰა, ერიქსიმახოს, ჩემი სიტყვაც ეროსისთვის. იგი მართლაც არა ჰგავს შენსას. და, როგორც ერთხელ უკვე გთხოვე ნუ გაამასხრებ მას, რათა საშუალება გვქონდეს მოვისმინოთ, რას გვეტყვიან სხვები ან, უფრო სწორად, რას გვეტყვის ორი დანარჩენი, რადგან მხოლოდ აგათონს და სოკრატეს არ უთქვამთ ჯერ მათი სათქმელი.

XVII

– დაგემორჩილებიო, – მიუგო ერიქსიმახოსმა, – მით უმეტეს, რომ შენმა სიტყვამ დიდად მასიამოვნა. მე მწამს, რომ სოკრატე და აგათონი თავს არ შეირცხვენენ იქ, სადაც „ეროტიკას“ ეხება საქმე, თორემ შიში ამიტანდა მათ მაგივრად – ვაითუ ამდენი სხვადასხვა სიტყვის წარმოთქმის შემდეგ სათქმელი შემოაკლდეთ-მეთქი. მაგრამ მე მათი იმედი მაქვს.

– შენ გამარჯვებული გახვედი ასპარეზიდან, ერიქსიმახოს, – თქვა სოკრატემ, – მაგრამ ჩემს ადგილას რომ დაგსვა ახლა და ამით უმეტეს მას შემდეგ, რაც აგათონი დაასრულებს თავის სიტყვას, დიახაც იგრძნობდი რა არის შიში, ისევე როგორც მე ვგრძნობ ამჟამად.

– შენ გსურს ჯადოთი შემკრა, სოკრატე, – თქვა აგათონმა, – რათა შემკრთალსა და თავბრუდასხმულს მაფიქრებინო, რომ მთელი „თეატრონი“ მე შემომცქერის, თითქოს დიდ რამეს მოელოდეს ჩემგან.

მაშინ სოკრატემ მიუგო: – მე ვნახე, როგორ მხნედ და თავდაჭერილად გახვედი სცენაზე, როგორ თამამად და წარბშეუხრელად შეჰყურებდი მაყურებელთა ბრბოს, რომლის წინაშეც სიტყვა უნდა წარმოგეთქვა და ამის შემდეგ როგორ დავიჯერო, თითქოს ჩვენმა პატარა სუფრამ შეგაკრთო ახლა? არც ისე გულმავიწყი გახლავარ.

– როგორ, – შეესიტყვა აგათონი სოკრატეს, – ნუთუ მ გგონია თეატრი მართლაც ძვალსა და რბილში მაქვს გამჯდარი და იმასაც კი ვეღარ · ვარჩევ, ყველა საღად

მოაზროვნე კაცი ორიოდე მცოდნეს რომ უფრთხის უფრო, ვიდრე მთელ ბრბოს უმეცართა?

– მე ფრიად. უმართებულოდ მოვიქცეოდი, აგათონ, ასეთ ხეპრედ რომ მიმეჩნიე, – მიუგო სოკრატემ. – მჯერა, მათთან რომ გქონოდა საქმე, ვისაც ბრძენის სახელით ნათლავ, უმალე მათ აზრს გაუწევდი ანგარიშს, ვიდრე ბრბოისას. მაგრამ ჩვენ სიბრძნე ვინ მოგვაშავა? განა ჩვენც ბრბოს არ ვერიეთ თეატრში გუშინწინ? ბრძენთა შორის რომ მჯდარიყავი, იქნებ სირცხვილი გეგრძნო მართლაც, თუკი შენს საქციელში სამარცხვინოს ჰპოვებდი რასმე; აგრე არ არის? – აგრეაო, – მიუგო, მან. – მაგრამ შეგრცხვებოდა თუ არა ბრბოის, სამარცხვინოდ რომ მიგეჩნია შენი საქციელი?

აქ ფედროსი ჩაერია საუბარში და თქვა: – ძვირფასო ჩემო, აგათონ, თუ შენ კვლავაც პასუხს გასცემ სოკრატეს კითხვებს, ხომ იცი, ის ნაკლებად დაგიდევს რა გამოვა აქედან. ოღონდ თანამოსაუბრე იშოვოს და ისიც ლამაზი. მე დიახაც მსიამოვნებს სოკრატეს სმენა, მაგრამ ჯერ ეროსის ხოტბისთვის უნდა ვიზრუნო და თვითეულისგან კუთვნილი სიტყვა გამოვითხოვო. ჯერ თავისი მიაგეთ ეროსს მერე ნება თქვენია, იკამათეთ რამდენიც გენებოთ.

– მართალს ბრძანებ, ფედროს, – თქვა აგთონმა – სიტყვის დაწყებაში მე მართლაც არაფერი მიშლის ხელს. ხოლო სოკრატესთან კამათს მერეც მოვასწრებ.

XVIII

მაგრამ ჯერ მოგახსენებთ, როგორ უნდა ვაქო ეროსი და მხოლოდ შემდეგ შევაქებ მას. ჩემის აზრით, ჩემი წინამორბედნი ღმერთს კი არ ასხამდნენ ხოტბას, არამედ კაცთა სვე-ბედნიერებას, რომლის ერთადერთი მიზეზი ღმერთია, ხოლო რას წარმოადგენს თავისთავად ამდენი სიკეთის მომმადლებელი, ამაზე კრინტიც არავის დაუძრავს; თუმცა, ჩვენს ნებისმიერ ხოტბას ნებისმიერი საგნის მიმართ მხოლოდ მაშინ შეიძლება ეწოდოს ჭეშმარიტი ხოტბა(1), როცა პირდაპირ მივუთითებთ რას წარმოადგენს თავისთავად, რა სიკეთეს გვანიჭებს იგი, ვისაც ჩვენი სიტყვა ეხება. ამიტომაც გვმართებს ჯერ საკუთრივ ეროსს შევასხათ ხოტბა და მხოლოდ შემდეგ – მის კეთილ ძღვენს.

მე ვამბობ, თუ ნემესიდა არ შემრისხავს ამის თქმისთვის, რომ ნეტარი ღმერთების ხომლში ეროსი ყველაზე ნეტარია, ყველაზე კეთილი და მშვენიერი. ჰო, ის ყველაზე მშვენიერია. და აი რატომ: ჯერ ერთი, ფედროს, ის უმრწემესია უკვდავთა შორის და ამას თვითონვე გარკვევით გვიდასტურებს იმით, რომ ელვის სისწრაფით გაურბის სიბერეს, რომელიც, კარგად მოგეხსენებათ, საკმაოდ სწრაფია თავადაც, რადგან უფრო ადრე გვეწვევა ხოლმე, ვიდრე ეს საჭიროა. ეროსს მთელის არსებით სძულს. სიბერე და ერთ ნაბიჯზეც არ ეკარება მას. ის ნორჩია, ამიტომაც ჭაბუკთა წრეში ტრიალებს მუდამ და წამითაც არ სტოვებს მათ. მართალს ამბობს ძველი ანდაზა – მსგავსი ყოველთვის მსგავსთან დგასო ახლო. მე ბევრ რამეში ვიზიარებ ფედროსის აზრს, მაგრამ ერთში არ შემიძლია დავეთანხმო მაინც: მისი აზრით, ეროსი კრონოსსა და იაპეტოსზე(3) უფროსია, მე კი ვამტკიცებ, რომ უკვდავთა შორის უმრწემესი და მარადჭაბუკი ღვთაებაა იგი. ხოლო რაც შეეხება იმ ძველთაძველ ამბებს ღმერთების შესახებ, რომელთაც მოგვითხრობენ ჰესიოდე და პარმენიდე, თუკი საერთოდ მართალს

მოგვითხრობენ ისინი, ეს ანანკეს(4) საქმეა და არა ეროსის, რადგან ღმერთებს შორის ადგილი არ ექნებოდა არც დასაჭურისებას, არც კირთებას, არც მრავალ სხვა ძალმომრეობას, ეროსი – რომ ყოფილიყო მათთან, პირიქით, მეგობრობითა და ზავით შეეკვროდნენ ისინი ერთურთს, როგორც ამჟამად, როცა მათ შორის ეროსი სუფევს. ამრიგად, ეროსი ნორჩია და ამასთან ნაზი. მაგრამ აქ ჰომეროსი იქნებოდა საჭირო, რათა ჩვენთვის სინაზე დაეხატა მისი. ჰომეროსი გვეუბნება ატასთვის(5), რომ ქალღმერთია იგი, ნაზი ქალღმერთი, ყოველ შემთხვევაში, ნაზი, ფეხები აქვსო. მას:

„ფეხის გულები ნაზია მისი; არა მიწაზე,
კაცთა თავებზე მიირხევა ნელის რონინით“(6).

ჩემის აზრით, ატას სილამაზეს ნათლად წარმოგვიჩენს თუნდაც ის, რომ მყარზე კი არ დაიარება იგი, არამედ ლბილზე. ვისარგებლოთ ჩვენც ამითი ეროსის სილამაზის წარმოსადგენად. მიწას კი არა, ეროსი კაცთა თავებსაც არ აკარებს ფეხს, რადგან არც ისე ლბილია ეს თავები კაცთა. არა, ულბილესს ეყრდნობა და ულბილესშივე იდებს ბინასაც, რადგან ღმერთთა და კაცთა სულებს და გულებს ირჩევს იგი თავის სავანედ, მაგრამ განურჩევლად ყველა სულს კი არა: უხეშ სულს გაურბის იგი და ფაქიზში ივანებს მხოლოდ. რაკი ულბილეს საგნებს ეყრდნობა ყველგან და ყოველთვის, ეროსი უნაზესი უნდა იყოს თავადაც. ამრიგად, ის ყველაზე „ნორჩია და ყველაზე ნაზი. უფრო მეტიც, უაღრესად მოქნილიცაა, თორემ როგორ შესძლებდა ყველაფერში ჩაწვდომას, ყველა სულში შეუმჩნევლად შეპარვას და მერე ასევე შეუმჩნევლად გაპარვას იქიდან, მოუქნელი რომ ყოფილიყო იგი? ეროსის სიმეტრიულობასა და მოქნილობაზე ნათლად მეტყველებს მისი კეთილსახიერებაც, რითაც, საყოველთაო აღიარებით, განუზომლად მაღლა დგას სხვებზე, რადგან დაუძინებელი მტერია სიმახინჯისა. იგი ყვავილთა შორის არჩევს ცხოვრებას და ამიტომ ეჭვს არ იწვევს სილამაზე მისი კანისა. მართლაც, ეროსი წამითაც არ ჩერდება მასზე, რაც არ ყვავის, ან უკვე დაჭკნა, სულერთია რა იქნება ეს – სხეული, სული თუ სხვა საგანი. ის ბინას იდებს და ივანებს მხოლოდ იქ, სადაც ყვავილები ყვავიან და სურნელება იკმევა ირგვლივ.

XIX

ღმერთის სილამაზისთვის კიდევ ბევრი რამ შეიძლებოდა თქმულიყო, მაგრამ საკმარისია ისიც, რაც ითქვა. ამის შემდეგ ხამს ეროსის სათნოებისთვის ვილაპარაკოთ. მთავარი ისაა, რომ ეროსი სამართლიანია ღმერთთა და კაცთა მიმართ და სამართლიანობასვე მოითხოვს მათგანაც. და თუ საერთოდ ელმის(1), ძალმომრეობისგან როდი ელმის, რადგან ძალმომრეობისთვის მიუწვდომელია იგი. არც ძალადობით აკეთებს ის, რასაც აკეთებს. ყველა ნებაყოფლობით ემორჩილება ეროსს, ხოლო ყოველგვარ ნებაყოფლობით შეთანხმებას ორ მხარეს შორის სამართლიან შეთანხმებად მიიჩნევენ კანონები, ეგ „უფალნი სახელმწიფოსი“(2). გარდა სამართლიანობისა, უმაღლესი კეთილგონიერებაც ახასიათებს მას, რადგან, საყოველთაო აღიარებით, კეთილგონიერება განცხრომის სურვილთა და ვნებათა დაურვებაში მდგომარეობს, ხოლო რომელი ვნება შეედრება ეროსს? რაკი, ეროსზე დაბლა დგანან, ეს ვნებები და სურვილები მისგან იძლევიან კიდეც; ხოლო მძლეველი განცხრომის ყველა სურვილთა და ყველა ვნებათა – ყველაზე კეთილგონიერი უნდა

იყოს უთუოდ.

რაც შეეხება სიმამაცეს, აქ ეროსს თვით არესიც ვერ გაუწევს მეტოქეობას. მართლაც, არესს კი არ ჰმორჩილებს ეროსი, პირიქით, არესი ჰმორჩილებს ეროსს, რამდენადაც აფროდიტეს ეხება საქმე. და რადგან მძლეველი ძლეულზე უფრო ძლიერია, ამიტომ მძლეველი ღმერთთა შორის უმამაცესისა ყველა ღმერთზე მამაცი უნდა იყოს უთუოდ.

ამრიგად, ღმერთის სამართლიანობის, კეთილგონიერებისა და სიმამაცისთვის მე უკვე ვილაპარაკე. ახლა მისი სიბრძნისთვის მოგახსენებთ და, შეძლებისამებრ, შევეცდები არა გამომრჩეს რა. უპირველეს ყოვლისა კი, რათა ჩემს ხელობას ისევე მივაგო პატივი, როგორც ერიქსიმახოსმა – თავისას, ვიტყვი, რომ ეროსი ის ბრძენი, პოეტია, რომელიც სხვასაც პოეტად აქცევს, რადგან არ მოიძებნება ამ ქვეყნად კაცი, თუნდაც სავსებით უცხო მუზებისთვის, რომელშიც პოეტმა არ გაიღვიძოს, რაკი ეროსი შეეხება მას(3). და ეს ნათლად გვიმოწმებს ჩვენ, რომ ეროსი, ჭეშმარიტი პოეტია ყველა დარგში მუსიკური ხელოვნებისა, რადგან სხვას ვერ ასწავლი, ვერც მისცემ მას, რაც თვითონ არ იცი, ან არ გაგაჩნია. ვინ შესძლებს იმის უარყოფას, რომ ყველა ცოცხალი არსების შემოქმედება ნაყოფია ეროსის სიბრძნისა, რომელიც წყაროა და დასაბამი ყველა სიცოცხლის. რაც შეეხება ხელოვანთა ოსტატობას, განა ნათლად არ ვხედავთ ჩვენ, რომ სწორედ მან მიაღწია სახელს და დიდებას, ვისაც ეროსი ჰყავდა მოძღვრად, ხოლო ვისაც შთაგონება ეროსისგან არ მიუღია, დავიწყების ჩრდილს მიეცა სამარადისოდ. მხოლოდ ვნებამ და წ. სიყვარულმა გაუხსნეს აპოლონს საიდუმლო მეისრობის, ექიმობის და წინასწარმეტყველების ხელოვნებისა. აპოლონის მსგავსად, ეროსმა გააცნო მუზებს – „მუსიკური“, ჰეფესტოსს – კვერით ხუროს, ათენას(4) – ქსელის მბეჭველისა და ზევსს ღმერთთა და კაცთა მართვის ხელოვნება. ღმერთებს შორის წესრიგიც მიტომ დამყარდა, რომ სიყვარული მოევლინა მათ, რა თქმა უნდა, მშვენიერების სიყვარული, რადგან არ არსებობს სიყვარული სიმახინჯისა. მანამდე კი, როგორც უკვე ვთქვი, მრავალი საშინელი რამ ხდებოდა უკვდავთა შორის რადგან, გადმოცემით, ანანკე მეფობდა მაშინ: ხოლო როცა ეს ღმერთი იშვა, მშვენიერებისადმი სწრაფვამ ყველა სიკეთეს აზიარა, როგორც უკვდავნი, ისე მოკვდავნიც. ამრიგად, ჩემის აზრით, ეროსი პირველი იყო, ფედროს, რომელიც მშვენიერებას და ნეტარებას ეზიარა და მხოლოდ შემდეგ გახდა სხვებისთვის იგივე სიკეთის წყარო. აქ ჩემმა აზრმა ლექსის ფორმა მიიღო და ამ ლექსით იმის თქმა მინდა, რომ სწორედ მ ეროსი ანიჭებს

მშვიდობას კაცთა, ზღვას სიმშვიდეს, ქართ უქარობას,
ძილს და სარეცელს შავის სენით გულგასენილთა.

ეროსი გაველურების საფრთხეს გვაცილებს, ერთმანეთთან გვაახლოვებს, თავს უყრის მეგობრებს, როგორც ჩვენ შეგვ| ყარა დღეს, და წინ გვიძღვის ზეიმის, თავშექცევისა თუ მსხვერპლშეწირვის დროს; სინაზეს გვინერგავს და სისასტიკეს სდევნის; კეთილისმოსურნეთა მეგობარია, ავისმოსურნეთა მტერი, მრავალმოწყალე კეთილთა მიმართ, ბრძენთა ჭვრეტისა და ღმერთთა თაყვანისცემის ღირსი; უპოვართა სურვილი, მორჭმულთა საუნჯე; ფუფუნების, განცხრომის, შვების, ვნების, ეროტიულ სწრაფვათა მამა; შრომაში, კრთომაში, ტანჯვაში, საუბარში – მესაჭე, თანამდგომი, გუშაგი და ნამდვილი მხსნელი, ღმერთთა და კაცთა ჯავარი, უმშვენიერესი და უკეთესი ჰეგემონი ჩვენი, რომელსაც უნდა მისდევდეს : კიდეც ყველა მოკვდავი და

ადიდებდეს იმ დიდებულ საგალობელთა გალობით, რომელსაც ღმერთთა და კაცთა გულმოსალბობად გალობს იგი.

აჰა, ფედროს, ჩემი აღთქმული სიტყვაც ეროსისთვის. მე ვცდილობდი, რაოდენ ძალმედვა, ნაწილობრივ სალაღობო, ნაწილობრივ კი სერიოზული გამოსულიყო იგი.

XX

აგათონის სიტყვის დასასრულს – ჰყვებოდა არისტოდემოსი – დამსწრენი მოწონების ყიჟინით შეხვდნენ, რადგან ჭეშმარიტად თავისი ღირსებისა და ღმერთის საკადრი სიტყვა წარმოსთქვაო ყმაწვილმა კაცმა. მაშინ სოკრატე მიუბრუნდა ერიქსიმახოსს და უთხრა: – რას იტყვი, აკუმენის ძევ, განა ვერ საფუძველს მოკლებული იყო ჩემი წეღანდელი შიში? განა მართალი არ ვიყავი, როცა ვიწინასწარმეტყველე – აგათონი განსაცვიფრებელ სიტყვას იტყვის და მე გამოუვალ მდგომარეობაში აღმოვჩნდები-მეთქი?

– ერთი რამ, – მოუგო ერიქსიმახოსმა, – სახელდობრ, აგათონი განსაცვიფრებელ სიტყვას იტყვისო, შენ მართლაც წინასწარმეტყველურად გამოგივიდა, ხოლო რაც შეეხება მეორეს – გამოუვალ მდგომარეობაში აღმოვჩნდებიო – ამაში მე ვერ დამარწმუნებ.

– მითხარი ერთი, რად გიკვირს ეგ, ნეტარო კაცო, – შეესიტყვა სოკრატე, – როცა ჩემს კი ადგილას ვერცერთი თქვენთაგანი ვერ გაბედავდა ექო ეროსი ასეთი ღრმა და მრავალაზროვანი სიტყვის შემდეგ. მართალია, იგი თანაბრად როდი იწვევს აღტაცებას, სამაგიეროდ, ვის არ მოხიბლავდა მისი დასასრული სიტყვებისა და გამოთქმების სილამაზითა და დახვეწილობით. მე ვგრძნობ, რომ ვერაფერს ვიტყვი ისეთს, რაც მშვენებით ოდნავ მაინც შეედრებოდა აგათონის სიტყვას და, რომ შემეძლოს, სირცხვილისგან, ალბათ, გადავიკარგებოდი კიდეც აქედან. აგათონის სიტყვამ გორგია(1) მომაგონა და სწორედ ისე დამემართა, როგორც ჰომეროსთანაა ნათქვამი: მე მეშინოდა აგათონს თავისი სიტყვის დასასრულს გორგიას, მაგ საშინელი მჭევრმეტყველის თავი არ ეტყორცნა ჩემი სიტყვისთვის(2) და, ამგვარად, მუნჯ ლოდად არ ვექციე. მხოლოდ ახლა შევიგნე რაოდენ სასაცილო ვიყავი, როცა დაგეთანხმეთ თქვენთან ერთად მექო ეროსი და ამაყად განვაცხადე – „ეროტიკის“ გარდა ამ ქვეყნად არა გამეგება რა-მეთქი, თუმცა ისიც კი არ ვიცი, როგორ უნდა შევაქო ვინმე. სიბრიყვე ჩემი: მე მეგონა, როცა ვინმეს აქებ, მთავარია სიმართლე ილაპარაკო მასზე, ხოლო შემდეგ აქედან გამოჰყო, რაც ლამაზია და არსებითი და დასკვნისთვის საჭირო ფორმა მისცე-მეთქი მას. იმასაც ვფიქრობდი, არ ვიტყოდი ურიგო სიტყვას, რაც აშკარა ქედმაღლობა იყო ჩემის მხრივ, რადგან მეგონა ჭეშმარიტ ხერხს ვიცნობდი ხოტბისას; მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ხერხი ყოვლად უვარგისია და მთავარი, თურმე, ისაა, ყველაზე სრულქმნილი და მშვენიერი თვისებები მიაწერო ხოტბის საგანს, სულ ერთია, ეს თვისებები სინამდვილეში შეეფერებიან თუ არა მას, რადგან სიყალბეს არავითარი მნიშვნელობა არ ენიჭება ამ შემთხვევაში. როგორც ჩანს, თვითეულის სიტყვა ჭეშმარიტი კი არა, მხოლოდ მოჩვენებითი ხოტბა უნდა ყოფილიყო ეროსისა. ჩემის აზრით, ცამდეც იმიტომ აგყავთ ეროსი, იმიტომ ამტკიცებთ დიდიაო იგი და ამდენ სიკეთეთა მიზეზი, რათა მისმა სილამაზემ და სრულქმნილებამ განცვიფრებაში

მოიყვანოს, ცხადია, უმეცარნი და არა ისინი, ვინც მას იცნობენ. ეგ ხერხი ხოტბისა მართლაც კარგია და დიდებული, მაგრამ თავიდან ჩემთვის უცნობი იყო იგი და ამიტომაც ჩემდა უნებურად დაგეთანხმეთ თქვენთან ერთად მექო ეროსი. მაგრამ ენა დაგეთანხმათ, გონება კი არა(3). მაშ, შორს ჩვენგან ასეთი ხოტბა! მე თქვენსავით ვერ დავიწყებ ეროსის ქებას, რადგან არც შემიძლია ეგ. მაგრამ მზადა ვარ, თუ ნებას დამრთავთ, ჩემებურად მოგახსენოთ სიმართლე ეროსის შესახებ; ხოლო სასაცილოდ რომ არ ამიგდოთ, ჯობია თავი განებოთ და ჩემს სიტყვას მივხედო ისევ. მითხარი, ფედროს, მისაღები იქნება თუ არა შენთვის ისეთი ხოტბა, რომელიც უბრალო, ენის წვერზე სახელდახელოდ მომდგარი სიტყვებით და გამოთქმებით იტყვის სიმართლეს ეროსის შესახებ? – ფედროსმა დანარჩენ მეინახეებთან ერთად სთხოვა ისე ელაპარაკა, როგორც თვითონ მიიჩნევდა საჭიროდ.

– და კიდევ აი რა, ფედროს, – უთხრა სოკრატემ, – ნება მიბოძე, ორიოდე უმნიშვნელო შეკითხვა მივცე აგათონს, რათა ზოგი რამ გავარკვიო, მერე კი პირდაპირ ჩემს სიტყვაზე გადავალ. – სიამოვნებითო, – მიუგო ფედროსმა, – შეგიძლია ჰკითხო. – ამის შემდეგ სოკრატემ დაახლოებით ასე დაიწყოო, მიამბობდა არისტოდემოსი:

XXI

– ჩემის აზრით, ძვირფასო აგათონ, შენ მშვენივრად დაიწყე: უპირველეს ყოვლისა საჭიროა გავარკვიოთ, რას წარმოადგენს თვითონ ეროსი და მხოლოდ შემდეგ შევეხოთ მის საქმეებსო. ასეთი შესავალი ძალიან მომწონს. რაკი ასე ბრწყინვალედ და სრულყოფილად გვიჩვენე ეროსის ბუნება, იქნებ ამ კითხვაზეც შესძლო პასუხის გაცემა: ის, რასაც ეროსი ჰქვია, არის თუ არა სიყვარული რაიმეს მიმართ? მე სრულიადაც არ ვკითხულობ, არის თუ არა ის სიყვარული დედის ან მამის, რადგან სასაცილო იქნებოდა ასეთი კითხვა. მაგრამ იგივე კითხვა რომ მომეცა შენთვის მამის შესახებ – ის, ვისაც მამა ჰქვია, ვინმეს მამა არის თუ არა-მეთქი? – შენ მეტყოდი, ცხადია, თუ ისურვებდი სწორი პასუხი გაგეცა ჩემთვის, რომ ის მამაა ვაჟის ან ასულის; აგრე არაა? – ჭეშმარიტად, – მიუგო აგათონმა. – ასევე დედაც. – აგათონი აქაც დაეთანხმა. – ახლა გთხოვ ერთ პატარა კითხვაზეც მიპასუხო, რათა უკეთ მიმიხვდე, რას მოვითხოვ შენგან, აი ეს კითხვაც: – ის, ვისაც ძმა ჰქვია, არის თუ არა ვინმეს ძმა? – არისო, – მიუგო აგათონმა. – ძმა ძმისა ან დისა. – რა თქმა უნდა. – ახლა ეცადე იგივე გვითხრა სიყვარულისთვისაც, – თქვა სოკრატემ, – არის თუ არა ეროსი სიყვარული რაიმეს მიმართ? – ცხადია, სიყვარულია რაიმეს მიმართ. – კარგად დაიხსომე, რისი სიყვარულია იგი, – თქვა სოკრატემ, – ახლა კი ამაზე მიპასუხე: სურს თუ არა ეროსს ის, რაც მისი სურვილის საგანს შეადგენს? – სურს – მიუგო მან. – მაგრამ როცა ეროსს სურს და უყვარს, ჰფლობს კიდეც მას, რაც სურს და უყვარს, თუ არა ჰფლობს მას? – ალბათ, არაო – მიუგო, აგათონმა. – კარგად დაფიქრდი, – უთხრა სოკრატემ, – ალბათ კი არა – ნამდვილად აგრეა, რადგან ვისაც სურს, სურს ის, რაც მას არ გააჩნია, და არა ის, რაც მას გააჩნია; ჩემის აზრით, ეს უეჭველია და უცილობელი, შენ კი რას იტყვი? – მეც აგრე მგონია, – თქვა აგათონმა. – კეთილი და პატიოსანი; ახლა მითხარი, ისურვებდა თუ არა დიდი სიდიდეს ან ძლიერებას – ძლიერი? – ჩვენი შეთანხმების მიხედვით ეგ შეუძლებელია. – რადგან შეუძლებელია არ გაგაჩნდეს ის, რაც გაგაჩნია. – ჭეშმარიტად.

– მძლავრს რომ სიმძლავრე ენატრა, მარდს – სიმარდე, ჯანმრთელს – ჯანმრთელობა, კაცი იფიქრებდა, რომ ვინც მძლავრია, მარდი ან ჯანმრთელი, ნატრობს მას, რასაც უკვე ჰფლობსო. მე ამას შეცდომის თავიდან ასაცილებლად ვამბობ მხოლოდ. მართლაც, თუ კარგად ჩაუფიქრდები, აგათონ, ის ამჟამად აუცილებლად უნდა ჰფლობდეს ყველა ამ სიკეთეს, მიუხედავად იმისა, სურს თუ არა ეს. როგორღა ისურვებდა მაშინ მას, რასაც უკვე ჰფლობს? მაგრამ ვინმეს რომ ეთქვა: აი, მე ჯანმრთელი ვარ და მინდა ჯანმრთელი ვიყო; აი, მე მდიდარი ვარ და მინდა მდიდარი ვიყო, ერთის სიტყვით, მინდა მქონდეს ის, რაც მაქვსო, ჩვენ მას მივუგებდით: ადამიანო, შენ ჰფლობ სიმდიდრეს, ჯანმრთელობას და ძლიერებას და გსურს მომავალშიც ჰფლობდე მათ, რადგან ამჟამად, სულერთია, გსურს თუ არა ეს, შენ მათ ჰფლობ; ამიტომ დაფიქრდი, როცა ამბობ: მე მინდა მქონდეს ის რაც მაქვსო, უფრო სწორად ამის თქმა ხომ არ გსურს: მე მინდა მომავალშიც მქონდეს ის, რაც ახლა მაქვს. როგორ გგონია, დაგვეთანხმებოდა თუ არა იგი? –უსათუოდ, – მიუგო აგათონმა. – ნიშნავს თუ არა ეს სიყვარულს მისას, რასაც ჯერ კიდევ არა ჰფლობს კაცი, სურვილს ამჟამინდელი კეთილდღეობის მომავალში გაგრძელებისას? – დიახაც, – მიუგო - აგათონმა. – ამრიგად, მაგ კაცს, ყველა სხვა მსურველის მსგავსად, სურს ის, რასაც ჯერ კიდევ არა ჰფლობს, რაც არ გააჩნია, რასაც თვითონ არ წარმოადგენს ან რაც მას აკლია, ერთის სიტყვით, ყველაფერი, რაც სიყვარულის და სურვილის საგანს შეადგენს, არა? – სრული სიმართლეა, – მიუგო აგათონმა. – მოდი, – თქვა სოკრატემ – ისევ წეღანდელს მივუბრუნდეთ: ჩვენ ვნახეთ, რომ ეროსი, ჯერ ერთი, რაიმეს სიყვარულია და, მეორეც, სიყვარული მისი, რაც მას არ გააჩნია. – აგრეა – თქვა აგათონმა. – ახლა გაიხსენე, რას ამბობდი შენს სიტყვაში, რისი სიყვარულიაო ეროსი? თუ გნებავს, მე შეგახსენებ. შენ ასე ამბობდი დაახლოებით: ღმერთებს შორის წესრიგი მშვენიერისადმი სიყვარულის წყალობით დამყარდა, რადგან არ არსებობსო, სიყვარული მახინჯისადმი; თუ არ ამბობდი აგრე? – აგრე ვამბობდიო, – დაუდასტურა აგათონმა. – და მართალსაც ამბობდი, ძვირფასო ჩემო, – თქვა სოკრატემ, – და თუ ეს ასეა, მაშ, ეროსი სიყვარული ყოფილა მშვენიერების და არა სიმახინჯისა. აგათონი დაეთანხმა. – შევთანხმდით თუ არა ჩვენ, რომ ეროსს უყვარს ის, რაც არ გააჩნია, რასაც არა ჰფლობს? – შევთანხმდით, – მიუგო მან. – მაშასადამე, ეროსს მშვენიერება არ გააჩნია და არა ჰფლობს მას. – აგრე გამოდის. – ახლა მითხარი: შენ შეგიძლია მშვენიერი უწოდო მას, რასაც მშვენიერება არ. გააჩნია და არა ჰფლობს მას? – რა თქმა უნდა არა. – ამის შემდეგ შეგიძლია კვლავაც ამტკიცო, მშვენიერიაო ეროსი? – ვშიშობ, რომ არ ვიცოდი, სოკრატე, რასაც ვამბობდი. – და მაინც შენ მშვენივრად ილაპარაკე. მაგრამ ერთი პატარა კითხვაც: კეთილი, შენის აზრით, მშვენიერია თუ არა? – რა თქმა უნდა მშვენიერია. – მაგრამ თუ ეროსს არ გააჩნია მშვენიერება, კეთილი კი მშვენიერია, მაშინ არც სიკეთე უნდა გააჩნდეს მას. – მე შენთან კამათის თავი არ მაქვსო, სოკრატე, – თქვა მან, – იყოს ისე, როგორც შენ ამბობ. – არა, ძვირფასო აგათონ, შენ ჭეშმარიტებასთან კამათის თავი არა გაქვს; ხოლო რაც შეეხება სოკრატესთან კამათს, ეგ ადვილი საქმეა სავსებით.

XXII

მაგრამ დაგეხსნები შენ და პირდაპირ იმ სიტყვაზე გადავალ, რომელიც ეროსს ეხება და მანტინელი მოგვი ასულის დიოტიმასაგან(1) ვისმინე ოდესღაც. მხოლოდ „ეროტიკის“ კი არა, ჭეშმარიტად ყოვლისმცოდნე იყო იგი. სხვათა შორის, როცა ათენელები მსხვერპლს სწირავდნენ ჟამიანობის წინ, სწორედ მან შესძლო ათი წლით აეცილებინა მათთვის ამ და სენის საფრთხე. მისი, წყალობით ვეზიარე მეც „ეროტიკას“ და შევეცდები მისივე სიტყვები გადმოგცეთ ყოველივე იმის გათვალისწინებით, რაზეც წეღან შევთანხმდით აგათონი და მე. მართლაც, როგორც შენ ამბობდი, აგათონ, საჭიროა ჯერ ვნახოთ, რას წარმოადგენს თვითონ ეროსი და მხოლოდ შემდეგ შევეხოთ მის საქმეებს. ჩემის აზრით, უმჯობესია საკითხის იმავე თანმიმდევრობით განხილვა, რომელსაც ჩემთან საუბარში მისდევდა უცხოქვეყნელი ქალი, და რასაც აგათონი მეუბნებოდა წეღან, დაახლოებით მასვე ვეუბნებოდი მაშინ დიოტიმასაც, კერძოდ, ეროსი დიდი ღმერთია · და სიყვარული მშვენიერებისადმი-მეთქი. და მანაც სწორედ ისევე დამიმტკიცა, როგორც მე დავუმტკიცე წეღან აგათონს, რომ ვცდებოდი და რომ ეროსი არ იყო არც მშვენიერი და არც კეთილი.

– რას ამბობ, დიოტიმა, – ვუთხარი მაშინ, – გამოდის რომ ეროსი მახინჯია და ბოროტი, და მან – ნუ სცოდავო, – მითხრა, – როგორ გგონია, ის რაც მშვენიერი არ არის, მახინჯი უნდა იყოს უთუოდ? – რა თქმა უნდა. – ხოლო ის, რაც ბრძენი არ არის – უმეცარი? იცი თუ არა შენ, რომ არის რაღაც გარდამავალი ცოდნასა და უმეცრებას შორის? – რა ს არის-მეთქი ეგ? – იცი თუ არა შენ, რომ სწორი წარმოდგენა, რომლის დასაბუთებაც არ შეგვიძლია, ჯერ კიდევ არ არის ცოდნა, რადგან ვინ მიიჩნევს ცოდნად მას, რისი დასაბუთებაც ჩვენს ძალღონეს აღემატება? მაგრამ არც უმეცრებაა იგი. მართლაც, როგორ შეიძლება უმეცრებად მივიჩნიოთ ის, რაც ნაწილობრივ მაინც ასახავს ჭეშმარიტებას? ამრიგად, სწორი წარმოდგენა არის რაღაც გარდამავალი ცოდნასა და უმეცრებას შორის. – მართალს ამბობ-მეთქი, – ვუთხარი მე. – ამიტომ ნუ დაიჟინებ, თითქოს ის, რაც მშვენიერი არ არის, მახინჯი იყოს უთუოდ, ხოლო ის, რაც კეთილი არ არის – ბოროტი. და რაკი თვითონ აღიარე, ეროსი არც მშვენიერია და არც კეთილიო, ნუ იფიქრებ, თითქოს უთუოდ მახინჯი იყოს ის და ბოროტი. მიითვალე რაღაც საშუალოდ ამ ორთა შორის. – მაგრამ თუ ყველას დიდ ღმერთად მიაჩნია იგი? – ვთქვი მე. – შენ გულისხმობ მხოლოდ უმეცართა თუ მცოდნეთაც აგრეთვე? – მკითხა დიოტიმამ. – ყველას უკლებლივ. აქ მას გაეცინა და მითხრა: – განა შეიძლება, სოკრატე, დიდ ღმერთად მიიჩნევდნენ ეროსს ისინი, ვინც ღმერთადაც კი არ სცნობენ მას? – ეგ ვინა-მეთქი, – ვკითხე. – ერთი შენ, – მომიგო, – მეორე მე. – მაგას რას ამბობ, – განვცვიფრდი მე. – სრულ სიმართლესო, მიპასუხა. – მითხარი, მიგაჩნია თუ არა შენ, რომ ყველა ღმერთი ნეტარია და მშვენიერი? ან იქნებ გაბედო და რომელიმე მათგანზე თქვა – ნეტარი არ არისო იგი, არც მშვენიერი? – ღმერთმა დამიფაროს-მეთქი, – ვთქვი მე. – ახლა ეს მითხარი – ნეტარს ხომ მას უწოდებ შენ, ვინც სიკეთეს ჰფლობს და მშვენიერებას? – რა თქმა უნდა. – მაგრამ შენ ხომ თავად აღიარე: ეროსს სურს ის, რაც კეთილია და მშვენიერი, ე. ი. სწორედ ის, რაც თვითონ მას არ გააჩნიაო. – ვაღიარე-მეთქი. – განა შეიძლება მშვენიერებასთან და სიკეთესთან წილნაყარი არ იყოს ღმერთი? – როგორც ჩანს, არა. – ახლა ხომ ხედავ, – მითხრა, – თვითონაც რომ არ მიგაჩნია ეროსი ღმერთად?

XXIII

– მაშ რაღაა ეროსი, მოკვდავი? – სცდები. – მაშ რა? – როგორც წეღან გეუბნებოდი, რაღაც საშუალო მოკვდავსა და უკვდავს შორის. – ბოლოს და ბოლოს, რა არის იგი, დიოტიმა? – დიდი დემონია იგი, სოკრატე, ხოლო ყოველივე „დემონიურს“(1) ხომ საშუალო ადგილი უჭირავს ღმერთსა და კაცს შორის. – რას ემსახურება-მეთქი დემონი? – დემონი ღმერთებს ამცნობს და გადასცემს კაცთა ლოცვა-ვედრებას და შესაწირავებს, ხოლო ღმერთთა ნება–სურვილსა და წყალობას – ადამიანებს. საშუალო ადგილი რომ უჭირავს კაცთა და ღმერთთა შუა, ის მთელს სივრცეს ავსებს მათ შორის და, ამრიგად, შინაგანი კავშირით აერთებს ყველას და ყველაფერს. სწორედ მისგან იღებს დასაბამს მთელი მანტიკა და ქურუმთა ხელოვნებაც, რამდენადაც მას მსხვერპლშეწირვასთან, ზიარებასთან, შელოცვასთან და, საერთოდ, გრძნეულებასა და მაგიასთან აქვს საქმე. უკვდავნი არ ერევიან მოკვდავთა შორის და მხოლოდ დემონის მეშვეობით ესაუბრებიან და უკავშირდებიან მათ როგორც ძილის, ისე ღვიძილის დროსაც. და მას, ვინც ყოველივე ეს შეიცნო, „დემონიურს“ ვუწოდებთ ჩვენ, მაშინ როდესაც ყველა სხვა ხელობასა თუ ხელოვნებაში გაწაფულ კაცს უბრალო ხელოსნის სახელით ვნათლავთ. მრავალრიცხოვანნი და მრავალგვარნი არიან დემონები; ეროსი ერთ-ერთი მათგანია მხოლოდ. – რა დედამ შობა-მეთქი ანდა რა მამამ? – ვკითხე.

– ამის მოყოლა შორს წაგვიყვანს, ი. მითხრა მან, – მაგრამ მაინც გიამბობ: აფროდიტე რომ დაიბადა, ნადიმი გამართეს ღმერთებმა და მათ შორის იყო პოროსიც(2), მეტიდას ვაჟი(3). ნადიმის დასასრულს, ჩვეულებისამებრ, მოწყალების სათხოვნად მოდგა პენია(4) და კართან აიტუზა. და აჰა, ნექტარით გალეშილი – რადგან ღვინო ჯერ კიდევ არ იყო, მაშინ – პოროსი გამოვიდა ზევსის წალკოტში და ნასვამს ჩაეძინა. მაშინ პენიამ, საკუთარის უმწეობით აღძრულმა, გადასწყვიტა მუცლადეღო პოროსისგან, გვერდში მიუწვა მას და ასე ჩაისახა ეროსი. და რაკი აფროდიტეს დაბადების დღეს ჩაისახა, მისი განუყრელი მხლებელი და მსახურია იგი. ეგეც არ იყოს, ეროსი თავისი ბუნებით თაყვანისმცემელია ყოველივე მშვენიერისა, აფროდიტე კი მშვენიერია. რადგან პოროსისა და პენიას ვაჟია, ამიტომ ეს დაეწერა ბედად: ჯერ ერთი, მიწყივ უპოვარია და ნაზი და კეთილი კი არა არის, როგორც ეს მრავალს ჰგონია, არამედ უხეშია; უსუფთაო, უხამური და მიუსაფარი. მიწაზე გორავს შიშველ-ტიტველი და ცა ხურავს საბნად ჭიშკრებთან და გზებზე გაშხლართულს, რაკი დედის ბუნებასთან წილნაყარია, გაჭირვება გამუდმებით თანა სდევს მას. ხოლო, მეორეს მხრივ, რაკი მისთვის მამის ბუნებაც არაა უცხო, გამუდმებით მშვენიერის და კეთილის ძიებაშია მამაცი, გამბედავი, შემმართებელი და ნადირობის დიდი ტრფიალი, გამუდმებით ცბიერების ქსელს ხლართავს, გონიერებას ეტრფის, ეძებს და ძალაც შესწევს მისი პოვნისა და მთელის არსებით თაყვანს სცემს სიბრძნეს ეგ დიდი გრძნეული, მოგვი და სოფისტი. ბუნებით არც მოკვდავია და არც უკვდავი: ერთსა და იმავე დროს ან ცოცხლობს და ჰყვავის, როცა ბედი უღიმის მას, ან ნელ-ნელა ჭკნება და ქრება, რათა მამისეული ბუნების წყალობით კვლავ აღორძინდეს. რასაც იხვეჭს, გამუდმებით ხელიდან უსხლტება, ასე რომ, არც მორჭმულია, არც უპოვარი. სიბრძნესა და უმეცრებას შორის საშუალო ადგილი უჭირავს მას და აი რატომ: არცერთ ღმერთთაგანს არ უყვარს სიბრძნე და არც ესწრაფვის სიბრძნის მოხვეჭას. რადგან ისედაც ბრძენია იგი, ბრძენს კი არ უყვარს სიბრძნე. თავის მხრივ, უმეცარსაც არ უყვარს სიბრძნე და არც

ცდილობს სიბრძნის მოხვეჭას, რადგან უმეცრება იმის უმეცრებაა, რომ, თუმცა მშვენიერებაც აკლია, სიკეთეც, სიბრძნეც, თავისი თავით სავსებით კმაყოფილია მაინც; და რაკი ჰგონია ყველაფერი მაქვსო, არც ილტვის მისკენ, რაც მისი აზრით მას არ აკლია.

– მაშ, ვინღაა, დიოტიმა, – ვკითხე, – სიბრძნის ტრფიალი, რაკი ის არც ბრძენთ უყვართ, არც უმეცართა? – ბავშვიც კი მიხვდება, – მომიგო, – რომ სწორედ ის, ვისაც საშუალო ადგილი უჭირავს ამ ორთა შორის, ეროსიც ერთი მათთაგანია. სიბრძნე ხომ უმშვენიერეს ფენომენთა რიცხვს ეკუთვნის, ხოლო ეროსი მშვენიერისადმი სიყვარულია, მაშასადამე, ეროსს უეჭველად უყვარს სიბრძნე და, ამდენად, საშუალო ადგილი უჭირავს ბრძენსა და უმეცარს შორის. ხოლო ამის მიზეზი ეროსის წარმოშობაში უნდა ვეძიოთ: მამა ბრძენი და მდიდარია მისი, დედა კი არც ბრძენია და არც მდიდარი. ასეთია, ძვირფასო, სოკრატე, დემონის ბუნება. ხოლო რაც შეეხება შენს წარმოდგენას ეროსზე, ამაში, საოცარი არაფერია: შენ გეგონა, როგორც შენივე სიტყვები მოწმობენ ამას, რომ ეროსი ის კი არ არის, ვისაც უყვარს, არამედ ის, ვინც უყვართ; ამიტომაც ასე მშვენივრად მიგაჩნდა იგი, და, მართლაც, რაც უყვართ, ჭეშმარიტად მშვენიერია, მომხიბლავი, სრულქმნილი და უნეტარესი; ხოლო ვისაც უყვარს, სულ სხვაგვარია ბუნება მისი – სწორედ ისეთი, როგორიც მე დაგიხატე შენ.

XXIV

ამაზე მე მივუგე: – აგრე იყოს-მეთქი, უცხოელო, შენ მართალი ხარ; მაგრამ თუ ეროსი ასეთია, რას არგებს მაშინ ადამიანებს? – სწორედ ეგ მინდა, სოკრატე, აგიხსნა ახლა, – მითხრა მან, – – ეროსი ასეთია თავისი ბუნებით და წარმოშობით და, ამასთან, შენის თქმისა არ იყოს, მშვენიერისადმი ტრფიალია იგი. მაგრამ ვინმეს რომ ეკითხა ჩვენთვის: – რას ნიშნავსო მშვენიერისადმი ტრფიალი, სოკრატე და დიოტიმა? ან, უფრო ნათლად რომ ვთქვა, – რა სურს მას, ვინც მშვენიერს ეტრფისო? – ეზიაროს-მეთქი მშვენიერს, – მივუგებდი მას. – მაგრამ ეს პასუხი – მითხრა მან – ახალ კითხვას ჰბადებს: რა მოუვა მას, ვინც მშვენიერს ეზიარება? – მაგ კითხვაზე პასუხის გაცემა არც ისე ადვილია ჩემთვის, – ვუპასუხე მე. – მაგრამ „მშვენიერი“ „კეთილით“ რომ შეეცვალა მას და ეკითხა შენთვის: რა სურს მას, ვინც კეთილს ეტრფისო? – ეზიაროს-მეთქი კეთილს, – ვუპასუხებდი. – რა მოუვა მას, ვინც კეთილს ეზიარება? – ამაზე პასუხის გაცემა უფრო ადვილია, – მივუგე მე, – ბედნიერი იქნება იგი. – რადგან ყოველივე კეთილის ფლობა ანიჭებს ბედნიერებას ბედნიერთ, ხოლო კითხვა იმისა, თუ რატომ ნატრობს ბედნიერებას ის, ვინც მას ნატრობს, ზედმეტად მიმაჩნია: შენი პასუხი სავსებით ამოწურავს საკითხს. – სრული სიმართლეა, – მივუგე მე. – მაგრამ როგორ გგონია შენ, ეგ სურვილი და სიყვარული საერთოა თუ არა ყველა კაცისთვის? ყველას სურს თუ არა ბედნიერი იყოს მუდმივად? რას იტყვი? – მე ვიტყოდი, რომ ეს სურვილი და ეს სიყვარული საერთოა ყველა კაცისთვის. – რატომ ყველა კაცისთვის არ ვამბობთ მაშინ, სოკრატე, – მითხრა მან, – რომ მას უყვარს, რაკი ყველას ერთი და იგივე რამ უყვარს ყოველთვის? მხოლოდ ზოგისთვის რატომ ვიტყვით მას უყვარსო, ზოგისთვის კი არ ვიტყვით ამას? – თვითონაც მიკვირს-მეთქი, – მივუგე. – ტყუილად გიკვირს: ჩვენ ვიღებთ მხოლოდ გარკვეულ სახეს სიყვარულისას და მას სიყვარულს ვუწოდებთ –

მთელი გვარის საერთო სახელს(1), დანარჩენ სახეებს კი სხვა სახელებით ვნათლავთ. – მაგალითად? – ვკითხე. მე. – შენ იცი რომ „პოეზია“ ბევრ რამეს ნიშნავს. „პოეზიად“ მიიჩნევენ, საერთოდ, ყველა იმ მიზეზს, რომელიც არყოფნიდან არსებობისთვის იწვევს რაიმეს. ასე რომ, ყველა ქმედება ხელოვნებაში თითქოს შეიძლება მიჩნეულ იქნას პოეზიად, ხოლო ყველა შემოქმედი – პოეტად. – სრული სიმართლეა. – და მიუხედავად ამისა, კარგად მოგეხსენება, პოეტების კი არა, სულ სხვა სახელებით რომ იხსენიებენ მათ. მთელი პოეზიისგან გამოიყოფა ერთი ნაწილი, რომელიც მუსიკისა და მეტრიკის სფეროს მიემართება და მთელი გვარის სახელით აღინიშნება. ჰო, მხოლოდ მას ვუწოდებთ პოეზიას, ხოლო პოეტებს – მის დემიურგოსთ. – სწორია, – ვთქვი მე. – სიყვარულზეც შეიძლება იგივე ითქვას. წყურვილი სიკეთის და ბედნიერების – აი, რა არის თვითეული ჩვენგანისთვის სიყვარული, აგრე დიდი და მაცთური გრძნობა. მაგრამ ერთნი მისკენ სხვადასხვა გზებით ილტვიან, სიმდიდრის, გიმნასტიკისა თუ სიბრძნის ტრფიალით აღძრულნი. ამიტომ მათთვის არ იტყვიან უყვართო, არც მიჯნურთ უწოდებენ მათ. მეორენი კი მთელის არსებით ეძლევიან ერთ გარკვეულ სახეს სიყვარულისას, მიტომაც იღებენ მთელი გვარის საერთო სახელს და მხოლოდ მათ მიმართ იხმარება სიტყვებიც: სიყვარული, საყვარელი, სასიყვარულო. – ეგეც სწორია, – მივუგე მე. – იმასაც ამბობენ, – განაგრძო მან, – რომ მიჯნური ისაა, ვინც ნახევარს დაეძებსო თავისას. ჩემის აზრით კი სიყვარული სრულიადაც არ ნიშნავს თავისი ნახევრის ან, თუნდაც, მთელი თავისი თავის ძებნას, თუკი ამ ნახევარს და ამ მთელს საერთო არა აქვს რა სიკეთესთან, ჩემო კეთილო. მართლაც, ხომ თანხმდებიან ადამიანები ხელის ან ფეხის წარკვეთას, რაკი დარწმუნდებიან, რომ ამ ასოებს ვნების მეტი არა მოაქვს რა მათთვის. ჩემის აზრით, ადამიანებს ის როდი უყვართ, რაც მათ ეკუთვნით, – ცხადია, თუკი ყოველივე კეთილს ჩვენს კუთვნილად არ მივიჩნევთ, ყოველივე ბოროტს კი – სხვისად, – რადგან ადამიანებს სიკეთე უყვართ მხოლოდ და მხოლოდ. თუ შენ სხვაგვარად ფიქრობ? – არა, ღმერთმანი. – ამრიგად, შეიძლება თუ არა უბრალოდ ითქვას: ადამიანებს უყვართ სიკეთე? – შეიძლება, – ვთქვი მე. – როგორ გგონია, – გამაწყვეტინა, – საჭიროა თუ არა დავუმატოთ აქ, რომ ადამიანებს ისიც უყვართ, ეგ სიკეთე მათ ეკუთვნოდეთ? – საჭიროა, – მივუგე მე. – და არა მარტო ეკუთვნოდეთ, – განაგრძო მან, – არამედ მუდამ ეკუთვნოდეთ? – ეგეც საჭიროა. – ერთის სიტყვით, სიყვარული არის სურვილი სიკეთის მარადიული ფლობისა. – სრული სიმართლეა, – მივუგე მე.

XXV

– ხოლო თუ სიყვარულის მარადიული მიზანი: სიკეთეა, მაშინ როდის, რა შემთხვევაში შეიძლება სიყვარული ეწოდოს კაცთა გზნებას და გულმოდგინებას მათს სწრაფვაში სიკეთისადმი? შეგიძლია მიპასუხო ამაზე? – არ შემიძლია, დიოტიმა, – მივუგე მე, – რომ შემეძლოს, ხომ აღარ განმაცვიფრებდა შენი სიბრძნე, აღარც კარზე მოგადგებოდი, რათა შენი შემწეობით შემეცნო ეგ. – თუ აგრეა, მე გეტყვი, – მითხრა მან: – მაშინ, როცა მშვენიერში შობას ეხება საქმე, სულერთია, რას ვიგულისხმებთ აქ, სხეულს თუ სულს. – მხოლოდ მისანი თუ მიგიხვდება, რისი თქმა გინდა, მე კი ვერ ვხვდები-მეთქი, – ვუთხარი. – კეთილი, მაშინ უფრო გარკვევით გეტყვი, – მითხრა მან:

– თვითეული ჩვენგანი, სოკრატე, ნაყოფიერდება როგორც ხორციელად, ისე სულიერადაც, და რა მივაღწევთ გარკვეულ ასაკს, შობის სურვილი აატოკებს მაშინ ჩვენს ბუნებას. მაგრამ შობა მახინჯში არ ძალუძს მას, მშვენიერში კი ძალუძს. მამრისა და მდედრის თანაყოფის შედეგი შობაა, ხოლო ჩასახვასა და შობას ღვთაებრივ აქტს ვუწოდებ მე, როგორც უკვდავი საწყისის გამოვლენას მოკვდავ არსებაში. მაგრამ ეგ აქტი ხორცს ვერ შეისხამს მასში, რაც არაჰარმონიულია, მახინჯი და ღვთაებრივი კი ჰარმონიული კავშირით ვერ შეუღლდებიან, მაშინ როცა მშვენიერი ჰარმონიულად ეთვისება ღვთაებრივს; ამრიგად, შობისთვის მშვენიერება მოირაცაა(1) და ილითიაც(2). ამიტომ, როცა ორსული არსება მშვენიერს უახლოვდება, ნეტარებით ივსება იგი, სიხარულად იღვრება და შობს და წარმოშობს. ხოლო როცა, მახინჯს უახლოვდება, ჭმუნავს, დრტვინვით იკუმშება, უკუიქცევა და კი აღარ შობს, არამედ საშოთი დაატარებს ნაყოგფს თავისას და იტანჯება. აგრე მიტომაც აღელვებს ორსულსა და ვნებით განაწამებ არსებას მშვენიერება, რომ იგია მშობიარობის მძაფრ ტკივილთაგან მისი დამხსნელი. რადგან სიყვარული სრულიადაც არ არის სურვილი მშვენიერისა, როგორც შენ ფიქრობ. – მაშ რისა? – ჩასახვისა და შობისა მშვენიერში. – დავუშვათ რომ აგრეა, – ვთქვი მე. – დავუშვათ კი არა, აგრეა ჭეშმარიტად, – გამაწყვეტინა მან, – მაგრამ რატომ შობისა? – იმიტომ რომ შობა ანიჭებს უკვდავებას მოკვდავ არსებას. ამრიგად, თუ ჩვენს წეღანდელ შეთანხმებას გავითვალისწინებთ, სურვილს სიკეთისას უკვდავების სურვილიც უნდა დავუმატოთ, რაკი სიყვარული მხოლოდ სიკეთის მარადიული ფლობის სურვილია, სხვა არაფერი. აქედან გარდუვალად გამომდინარეობს: სიყვარული აგრეთვე სურვილია უკვდავებისა.

XXVI

ყოველივე ამას მასწავლიდა დიოტიმა, როცა ეროსს ეხებოდა ჩვენი საუბარი. ერთხელ მან მკითხა: – როგორ გგონია, სოკრატე, რა უნდა იყოს მიზეზი მაგ სიყვარულის და სურვილისა? შეგიმჩნევია თუ არა ის უცნაური ვნებათღელვა, რომელიც ყველა სულიერს მოიცავს ხოლმე, მიწაზე მძრომსა თუ ჰაერში მფრინავს, როცა განაყოფიერების სურვილი აღძრავს მას? თითქოს სნებას შეუპყრიაო ვნებაატანილნი, ჯერ არის და ნერბვისას, ხოლო შემდეგ უკვე საკუთარ ნაშიერთა გამოზრდის დროს. ყველაზე სუსტნი და უმწეონიც კი მზად არიან ყველაზე ძლიერთ შეებან და თავიც დასდონ მათი გულისთვის, მზად არიან იშიმშილონ, ოღონდ საზრდელი არ მოაკლონ თავის ნაშიერთ, მზად არიან შეეგებონ მრავალ სხვა ფათერაკსაც. კაცმა შეიძლება იფიქროს, ადამიანები გონების კარნახით იქცევიანო ასე, მაგრამ რა იწვევს ცხოველებში ამ მწველ გრძნობას სიყვარულისას? შეგიძლია მიპასუხო ამ კითხვაზე? – ვუთხარი – არ შემიძლია-მეთქი. – როგორღა გინდა ეზიარო მაშინ სიბრძნეს სიყვარულისას, თუკი ეგეც არ შეგიძლია? – მითხრა მან. – კი მაგრამ, წეღან აკი გითხარი, ვგრძნობდი, მოძღვარი რომ მჭირდებოდა, დიოტიმა, და მიტომაც მოგაშურე-მეთქი – მივუგე მე, – მაშ განმიმარტე ეგ და არა მარტო ეგ, არამედ ყველა სხვა მოვლენაც, რაც კი ეროსს უკავშირდება.

– თუ გწამს, რომ ეროსი თავისი ბუნებით მიილტვის მისკენ, რაც არაერთხელ ყოფილა შეთანხმების ჩვენის საგანი, აღარაფერმა უნდა გაგაკვირვოს მაშინ. აქაც

მოკვდავი ბუნება ისწრაფვის მარადიულ სიცოცხლეს ეზიაროს და უკვდავებას; მაგრამ ამის მიღწევა მხოლოდ მაშინ ძალუძს მას, როდესაც ჰბადებს და, ამრიგად, ყოველი მიხრწნილი სიცოცხლის ნაცვლად განუწყვეტლივ ახალ სიცოცხლეს ტოვებს ამქვეყნად. და თუმცა ყოველი სულდგმულისთვის ამბობენ, ცოცხლობს და ერთი და იგივეაო იგი, ისევე როგორც სიყრმითგან სიკვდილამდე ერთი და იგივე სახელით იწოდება ყოველი კაცი, მიუხედავად ამისა, არცერთ სულდგმულში არა არის რა მარად უცვლელი: თვითეულ მათგანში მიმდინარეობს შობისა და კვდომის უწყვეტი პროცესი და ამ პროცესში ჩართულია მისი თმები, ძვლები, სისხლი და ხორცი, ერთის სიტყვით, მთელი სხეული და არა მარტო სხეული, არამედ სულიც; ეს ეხება მის ზნე-ჩვეულებებს, შეხედულებებს, სურვილებს, სიხარულს, მწუხარებას თუ ძრწოლას: არცერთი მათგანი არ ჰგიებს უცვლელად, არამედ ერთნი იბადებიან, მეორენი კი კვდებიან მასში. მაგრამ ყველაზე საოცარი ის კი არაა მაინც, რომ მთელი ჩვენი ზოგადი ცოდნაც ცვალებადია და მის ცვლასთან ერთად ვიცვლებით ჩვენც, არამედ ის, რომ მისი თვითეული კერძო სახეც ამ განუწყვეტელ ცვალებადობას ექვემდებარება. მართლაც, ჩვენი აზროვნების პროცესს ცოდნის გაუჩინარება განაპირობებს მხოლოდ: დავიწყება ხომ გაუჩინარებაა ცოდნისა, აზროვნება კი ახალ ხსოვნას იწვევს ჩვენში ამ უჩინარქმნილი ცოდნის ადგილას და, ამრიგად, იხსნის და იფარავს ცოდნას; ასე რომ, ჩვენ უცვლელი გვგონია იგი. სწორედ ასევე, ყოველი მოკვდავი თავს იმით კი არ იხსნის და ინახავს, თითქოს ღვთაებრივის მსგავსად მარად უცვლელი იყოს იგი, არამედ იმით, რომ ყოველი ხრწნადი და წარმავალი თავის სანაცვლოდ ტოვებს ახალს, თავისივე მსგავსს. უკვდავებას ამ გზით ეზიარება, სოკრატე, ყოველივე მოკვდავი, სხეული იქნება ეს თუ რაიმე სხვა. ეს გზა ერთადერთი გზაა. ამიტომ ნუ გაოცებს ის, რომ ყველა სულდგმული თავისი ბუნებით პატივს სცემს და აფასებს თავის შთამომავლობას: წყურვილი იწვევს ამ სიყვარულს და გულმოდგინებას.

XXVII

ამის გამგონე განვცვიფრდი ფრიად და ვკითხე: – კეთილი და პატიოსანი, ბრძენთაბრძენო დიოტიმა, მაგრამ ნუთუ ყველაფერი მართლა ისეა, როგორც შენ ამბობ? ხოლო მან, როგორც დახელოვნებულ სოფისტთ სჩვევიათ – მენდეო, სოკრატე, – მითხრა; შენ რომ ინებო და კაცთა პატივმოყვარეობას ჩაუკვირდე, განგაცვიფრებდა უგუნურება მათი, თუ მხედველობაში არ მიიღებდი ჩემს ნათქვამს და უკვდავებისა და მარადიული სახელის მოხვეჭის იმ მძაფრ წყურვილს, რომელიც მამაშვილურ სიყვარულზე უფრო ძლიერია და რომლის გულისთვისაც ისინი მზად არიან უდრტვინველად შეეგებონ განსაცდელს და გაჭირვებას, არად ჩააგდონ საკუთარი კეთილდღეობა და თვით სიცოცხლეც კი. იქნებ გგონია, ალკესტიდა თავს დასდებდა ადმეტესთვის, ან აქილევსი დააკლავდა თავს პატროკლეს ცხედარს, ხოლო თქვენი კოდროსი(1) ნაადრევად მოისწრაფებდა სიცოცხლეს მეუფებისთვის საკუთარ ძეთა, იმედი, რომ არ ჰქონოდათ მომავლისთვის გადაეცათ თავიანთი სიქველის მარადიული ხსოვნა, რომელიც დღესაც ცოცხლობს ჩვენს შორის? ფრიად საეჭვოა, – დასძინა მან, — რადგან არ მეგულება ისეთი კაცი, ვინც რამეს დაიშურებდა საკუთარი სიქველის უკვდავყოფისა და მარადიული სახელის მოხვეჭისთვის, და რაც უფრო ღირსეულია,

მით უფრო მეტ მსხვერპლს გაიღებდა, რადგან უკვდავების წყურვილი ამოძრავებს მას.

ამრიგად, ისინი, ვინც ხორციელად ორსულდებიან, უპირატესად დიაცთაკენ მიიქცევიან და მათ სიყვარულს ეძლევიან მთელის არსებით, რადგან ფიქრობენ, რომ მხოლოდ ბავშვთა კეთების გზით(2) ეზიარებიან უკვდავებას, მარადიულ ხსოვნასა და ბედნიერებას.

ხოლო სულით ორსულნი – რადგან არიან ისეთნიცო, თქვა, ვინც უფრო სულითაა ორსული, ვიდრე სხეულით – ისეთის თესლით ნაყოფიერდებიან და ისეთს ნაყოფს გვაძლევენ მერე, რომლის მოცემაც სულს ჰმართებს კაცთა. ხოლო სახელი ამ ნაყოფისა სიბრძნეა და ყველა სახის სხვა სათნოება. და მათ პოეტთა და იმ დემიურგოსთა ნაშიერად თვლიან, რომელთაც ფარულსა და იდუმალში ჩაწვდომის ნიჭი მიჰმადლებიათ. ხოლო ყველა სიბრძნეს შორის ისაა უმაღლესი და უკეთესი, რომლის მიზანსაც სახელმწიფოთა და ოჯახთა მართვა და კეთილმოწყობა შეადგენს და რომელსაც კეთილგონიერება და სამართლიანობა ჰქვია სახელად. და რა მოიწყიფება ის, ვინც თავის ღვთივბოძებულ სულში სიყრმითგანვე ატარებდა ამ სათნოებათა თესლს, შობის წყურვილი აატოკებს მას და დაძრწის იგი და დაეძებს მშვენიერს, რათა შვას მასში, რადგან მახინჯში არ ძალუძს შობა. და აგრე ორსულს მშვენიერი სხეული უფრო ხიბლავს, ვიდრე მახინჯი, ხოლო როცა მშვენიერ სხეულში სულსაც მშვენიერსა და კეთილშობილს ჰპოვებს, იგი მთლიანად იხიბლება ამ ორმაგი მშვენებით. ამგვარი არსების წინაშე წამსვე ენამზეობას იწყებს იგი სიქველისთვის და უხსნის, როგორი უნდა იყოს, რისთვის უნდა მუშაკობდეს კეთილი კაცი, ერთის სიტყვით, ნათელს ჰფენს მას. რადგან, ჩემის აზრით, მხოლოდ მშვენიერთან სიახლოვისა და ურთიერთობის წყალობით შობს იგი მას, რასაც ამდენ ხანს ჩანასახის სახით დაატარებდა. მიწყივ თავისი სატრფოსთვის ფიქრობს იგი, მის გვერდით თუ მისგან შორს მყოფი. ისინი ერთად ზრდიან თავის ნაშიერთ და მათ შორის უფრო დიდი ერთსულოვნება და მეგობრობა ისადგურებს, ვიდრე ოჯახის დედასა და მამას შორის, რადგან უფრო მშვენიერ და უკვდავ შვილთა სიყვარული აერთებს მათ. და მე არ მეგულება ისეთი კაცი, რომელიც ასეთ შვილებს არ არჩევდა ხორციელ შვილებს. მართლაც, თუ ხარბის თვალით მიჰხედავდა ჰომეროსს, ჰესიოდეს ან სხვა დიდ პოეტებს, ნახავდა, მხოლოდ ასეთი შთამომავლობის წყალობით რომ ეზიარნენ ისინი მარადიულ დიდებას და უკვდავებას; ანდა თუ ლიკურგეს(3) ნაშიერთ გაიხსენებდა იგი, ლაკედემონელთათვის დანატოვართ, მათი, და შეიძლება ითქვას, მთელი საბერძნეთის მხსნელთ. განა თქვენში, როგორც დიდ კანონმდებელს, პატივს არ სცემენ სოლონს?(4) ასევე სხვაგანაც, ელინთა თუ ბარბაროსთ შორის, მრავალს პატივის ღირსად ხდიან მათი საქმენი, დასაბამნი ათასგვარი სათნოებისა. და ამ სულიერ შვილთათვის მათ უკვე აუგეს მრავალი ტაძარი, ხოლო ხორციელ შვილთა კეთებისთვის ჯერ ერთიც არ ღირსებია ძეგლს.

XXVIII

შესაძლოა, შენ ზიარებიხარ კიდეც, სოკრატე, ამ საწყის სტადიას ეროტიულ მისტერიათა; მაგრამ არ ვიცი, რამდენად შესძლებდა თუნდაც მოძღვრის მიერ წრფელის გზით წარმართული შენი სული ამაღლებას მის უმაღლეს, ეპოპტიკურ

სტადიამდე(1), რომლისთვისაც ეს საწყისი სტადია მხოლოდ პირველი საფეხურია. მიუხედავად ამისა, ვეცდები ძველებურის გულმოდგინებით განგიმარტო ეს, შენ კი ეცადე, რამდენადაც ძალგიძს, მომდიო. ის, ვინც წრფელის გზით მისდევს ამ მიზანს, განაგრძო მან, სიყრმითგანვე მშვენიერი სხეულებისკენ უნდა მიიქცეს და, თუ ჯეროვნად წარმართავს მოძღვარი, ერთი სხეულის ტრფიალით უნდა განიმსჭვალოს და მშვენიერი აზრები დაბადოს მასში. მერე კი თვითონაც უნდა მიხვდეს, რომ მშვენიერება ერთი რომელიმე სხეულისა მეორე სხეულის მშვენიერებას ენათესავება. და თუ კაცმა ფორმის მშვენიერებას უნდა მისდიოს, უგუნურება იქნებოდა ფიქრი იმისა, თითქოს მშვენიერი ერთიანი არ იყოს ყველგან, ყველა სხეულში. ამ აზრით გამსჭვალულმა ყველა მშვენიერი სხეული უნდა შეიყვაროს ერთად, ერთზე კი გული აიყაროს და არად ჩააგდოს იგი. ამის შემდეგ მას ჰმართებს მშვენება სულისა სხეულის მშვენებაზე მაღლა დააყენოს და მაშინ მხოლოდ მშვენიერი სული, თუნდაც სამოსში უსახური სხეულისა, კმა იქნება მისი სიყვარულისა და ზრუნვის საგნად იქცეს და ისეთი აზრები დაბადოს მასში, რომელნიც უკეთესისკენ მიაქცევენ ახალგაზრდობას. ამ გზით იგი უცილობლად ავა ჭვრეტამდე იმ მშვენიერებისა, რომელიც კაცთა ქმედებასა და კანონებში ვლინდება და დარწმუნდება, რომ მშვენიერი ყველგან ერთიანია და იდენტური. მიტომაც მშვენებას სხეულისას ფასი დაეკარგება მის თვალში. მერე მოძღვარმა კაცთა ქმედებებიდან მოძღვრებათაკენ უნდა მიაქციოს იგი, რათა შეიცნოს მშვენიერებაც შემეცნებისა და მშვენიერების მთელი სიდიადის მჭვრეტელი ერთი რომელიმე კონკრეტული მშვენიერების მონად არ იქცეს, ვთქვათ, ბიჭის მშვენების, მამაკაცის, ანდა სწრაფვისა. საწყალობელ მონას ან პედანტს როდი უნდა ჰგავდეს იგი; არა, ეგ სული, მიქცეული მშვენიერების უკიდეგანო ოკეანის ჭვრეტად, უნდა ჰბადებდეს ამაღლებულ სიტყვებს და აზრებს თავის ტრფიალში. უხვი სიბრძნისა, ვიდრე აგრე გაბრძნობილი და გამობრძმედილი. არ მიადგება ერთადერთ ჭეშმარიტ მოძღვრებას, რომელიც სხვა არა არის რა, თუ არა მოძღვრება აბსოლუტური მშვენიერების შესახებ. ახლა კი ეცადე, – დასძინა მან, – მთელის ყურადღებით მისმინო.

XXIX

ვინც ეროტიულ მისტერიათა ამ სტადიამდე ამაღლდება, ვინც თანმიმდევრობით განსჭვრეტს მშვენიერების ყველა საფეხურს, ზიარების ზღვარს მიღწეული ანაზდეულად იხილავს გასაოცარ მშვენიერებას, სწორედ მას, სოკრატე, რისთვისაც ადრე იღწვოდა იგი – მშვენიერებას მარადიულს, ხელთუქმნელსა და წარუდინებელს, თავისუფალს ავსებისა და განლევისგან, მშვენიერებას, სახიერს თავის ყველა გამოვლენაში, ყველა დროში, ყველა ასპექტში, ყოველი ადგილისა და ყოველი სულდგმულისთვის. მშვენიერება არ წარსდგება მის წინაშე ამა თუ იმ ხატის, ხელის, თუ სხეულის სხვა რომელიმე ნაწილის, ანდა სიტყვისა თუ ცოდნის სახით, არც მიითვლება მის მიერ როგორც ცალკე რამ ფენომენი, მეორეში – ვთქვათ, რომელიმე სულდგმულში, მიწაზე, ცაში თუ სხვა რამეში – გამოვლენილი; არა, ეგ იქნება მშვენიერება თავისთავთან მიწყივ ერთსახოვანი, თავისთავში არსებული და თავისთავადი, რომელთანაც წილნაყარი ყველა სხვა კონკრეტული მშვენიერება იბადება და კვდება, მაშინ როდესაც, ის არც ივსება და არც ილევა, არც სხვა სახის

ცვლილებას განიცდის რასმე. ასე რომ, ვინც ხილულ და გრძნობად საგანთა მშვენიერებიდან მართებულად გაგებული მამათმავლობის გზით მიიქცევა მაგ უმაღლესი მშვენიერების ჭვრეტად, ის მალე ეზიარება საბოლოო მიზანს თავისას. რადგან ჭეშმარიტი გზა სიყვარულისა, რომელზეც თვითონ მიდის ან მოძღვარს მისდევს, ესაა გზა მშვენიერ საგანთაგან უმაღლეს მშვენიერებაზე თანდათანობით გადასვლისა და, თითქოს საფეხურებს მიჰყვებაო კიბისას, ერთი მშვენიერი სხეულიდან ორზე, ორიდან კი ყველა მშვენიერ სხეულზე უნდა გადადიოდეს კაცი, მშვენიერ სხეულთაგან – მშვენიერ საქმეებზე, მშვენიერ საქმეთაგან კი მშვენიერ მოძღვრებებზე, რათა ამრიგად ეზიაროს იმ მოძღვრებას, რომელიც სხვა არა არის რა, თუ არა მოძღვრება აბსოლუტური მშვენიერების შესახებ და, ბოლოს და ბოლოს, შეიცნოს თვით მშვენიერებაც. და თუ სიცოცხლეს რამე აზრი აქვს, ჩემო ძვირფასო სოკრატე, ამ აზრს აბსოლუტური, მშვენიერების ჭვრეტა იძლევა მხოლოდ. და თუ ოდესმე იხილავ მას, რა იქნება მაშინ შენთვის ოქრო, ძვირფასი სამოსელი, ყმაწვილკაცთა თუ ყრმათა მშვენება, რომელთა ხილვისას ახლა ასე იმღვრევი შენ, და არა მარტო შენ, და მზადა ხარ, რომ შეგეძლოს, ხელი აიღო ჭამაზეც, სმაზეც, ოღონდ კი გამუდმებით უჭვრეტდე შენს სათაყვანებელ არსებას და გვერდიდან არ იშორებდე მას.

რას ვიფიქრებდით ჩვენ, თუ ვინმე შესძლებდა ეხილა ეგ მშვენიერება, ნათელი, წმინდა, შეურყვნელი და შეურევნელი, კაცის ხორცით, ფერებითა და სხვა ხრწნადი გარსით. შებღალული კი არა, ერთსახოვანი, ღვთაებრივი მშვენიერება; როგორ გგონია, ფუჭია განა სიცოცხლე კაცისა, რომელიც ცისკენ მიმართული თავისი მზერით გამუდმებით უჭვრეტს მაგ მშვენიერებას და წამითაც არ სწყდება მას? გჯერა თუ არა შენ, რომ ის, ვინც მშვენიერებას იმ ორგანოთი უჭვრეტს, რომელსაც ერთადერთს ძალუძს მისი აღქმა(1), მხოლოდ აქ შესძლებს მოჩვენებითს კი არა, ჭეშმარიტ სათნოებათ მიანიჭოს სიცოცხლე, რადგან ჭეშმარიტებასთან აქვს საქმე და არა მოჩვენებებთან. ჭეშმარიტ სათნოებებს რომ შობს და ზრდის, იგი უფლის კეთილგანწყობასაც იხვეჭს და თუ ერთი ვინმე მაინც ეზიარება უკვდავებას, ეზიარება ისიც.

აი, ფედროს, აი, მეგობრებო, რას მასწავლიდა დიოტიმა. მან დამარწმუნა და მეც, ჩემის მხრივ, ვეცდები დავარწმუნო სხვები, რომ ამ მიზნის მისაღწევად კაცის ბუნება ძნელად თუ ჰპოვებს ეროსზე უკეთეს მწესა და მეოხს. აი, რად ვამბობ ყველა კაცი ვალდებულია ადიდებდეს-მეთქი მას. თვითონ ხომ ყოველნაირად ვადიდებ და თაყვანს ვცემ ეროსს და ამასვე ვურჩევ სხვებსაც; ვაქებ და კვლავაც შევაქებ, შეძლებისამებრ, ეროსის სიმამაცეს და ძალმორჭმულებას; ახლა კი, ფედროს, მიითვალე ეს ჩემი სიტყვა ეროსის ქებად ან არადა, რასაც ინებებ, ის უწოდე მას.

XXX

როდესაც სოკრატემ ლაპარაკი დაასრულა, ყველამ ერთხმად გამოხატა თავისი აღტაცება და მხოლოდ არისტოფანემ დააპირა შესიტყვებოდა, რადგან სოკრატემ გადაკვრით მოიხსენია მისი სიტყვა(1). ანაზდად შემოსასვლელიდან ძლიერი ბრახუნი მოისმა, თითქოს მახმურთა მთელი ბრბო მოსევიაო კარს, და მალე ამ ბრახუნს ფლეიტის ხმაც შეუერთდა. მაშინ აგათონი მიუბრუნდა მონებს: – გახედეთო, ბიჭებო,

ვინ არის მანდ. თუ ვინმე ჩვენთაგანია, უხმეთ, თუ არადა, უთხარით, რომ სმას მოვრჩით და განსვენებას ვეძლევით ახლა. ცოტა ხნის შემდეგ შემოსასვლელიდან ალკიბიადეს ხმა მოისმა. ის გალეშილი იყო, აგათონს კითხულობდა ხმამაღლა მყვირალი და ითხოვდა მიმიყვანეთო მასთან. მაშინ ავლეტრიდა და რამდენიმე მხლებელი მხრებში შეუდგნენ და ასე შემოიყვანეს ჩვენთან.

კართან შედგა ალკიბიადე. ფათალოსა და იების გვირგვინი და მრავალრიცხოვანი ბაფთები უმკობდა შუბლს. – მშვიდობა თქვენდა, მეგობრებო, წარმოსთქვა მან, მიიღებთ გალეშილ კაცს ღვინისმტედ თუ გავბრუნდე უკან? მაგრამ თუ გავბრუნდები, მხოლოდ მას შემდეგ, რაც აგათონის შუბლს შევამკობ, რადგან სწორედ ამისთვის გხლებივართ აქ. გუშინ ვერ შევძელიო მოსვლა, დასძინა, დღეს კი მოველ ბაფთებით შუბლდამშვენებული, რათა შევიხსნა ისინი და თავზედ მოვავლო, შეიძლება ითქვას, ყველაზე ბრძენ, ყველაზე მშვენიერ კაცს, დამცინით ხომ, აგრე გალეშილს? მაშ იცინეთ, რამდენიც გნებავთ, მე კი ვიცი, რომ სიმართლეს ვამბობ. მაგრამ მითხარით, იღებთ თუ არა ჩემს პირობას: თუ დავლევთ ერთად, მაშინ შემოვალ, არადა გავბრუნდები უკან.

პასუხად ერთსულოვანი ყიჟინა გაისმა. სთხოვეს, შემოდი, შემოგვიერთდიო, მაშინ შემოვიდა იგი, თანმხლებთა მხრებს დაყრდნობილი, თან ბაფთებს თხსნიდა თავიდან, რათა აგათონის შუბლი შეემკო, და, რაკი გვირგვინი თვალებზე ჩამოშლოდა, ისე ჩაჯდა აგათონს და სოკრატეს შუა, რომ არც შეუნიშნავს ეს უკანასკნელი, რომელმაც მაშინვე ჩაიწია, რათა ადგილი გაენთავისუფლებინა მისთვის. ინახზე რომ ჩამოჯდა, ალკიბიადე გადაეხვია აგათონს და ბაფთებით შეუმკო შუბლი. მაშინ აგათონი მიუბრუნდა მონებს: – ბიჭებო, სანდლები გააძვრეთო ალკიბიადეს; ის აქ დარჩება და მესამე წევრი იქნება ჩვენი ინახის. – სიამოვნებითო, – მიუგო ალკიბიადემ, – მაგრამ ვინაა ეგ მესამე ღვინიქსმტე ჩვენი? – ამ სიტყვებით გვერდზე შებრუნდა და, რა იხილა სოკრატე, ზე წამოიჭრა: – ო, ჰერკულეს, – წამოიძახა მან, – ამას ვის ხედავს ჩემი თვალები – სოკრატეს თვითონ? ხედავ, აქაც ჩამსაფრებიხარ; შენ ხომ, ჩვეულებრივ, იქ მომევლინები, სადაც ყველაზე ნაკლებ მოგელი ხოლმე. დღეს აქ რა გინდა? ან სწორედ ეგ ადგილი რად აგირჩევია? რატომ არისტოფანეს არ მოუჯდები გვერდით ან სხვა მასხარას თუ მას, ვისაც მასხარად მოაქვს თავი? არა, შენ ახლაც მოახერხე აქ მყოფთაგან ყველაზე, მშვენიერს მისჩოჩებოდი. – მაშინ სოკრატემ —- მეშველეო, აგათონ, თქვა, თუ შეგიძლია, რადგან სიყვარული ამ კაცისა თანდათან 'აუტანელი ხდება ჩემთვის. მას შემდეგ, რაც მე ის შევიყვარე, ვერც ერთი მშვენიერისთვის თვალი ვერ დამიდგამს, ვერც გამოვლაპარაკებივარ, რომ მან, ეჭვით და შურით ანთებულმა, ლანძღვა-გინებით არ ამავსოს და ლამის ხელიც აღმართოს ჩემზე. თვალი გეჭიროს მასზე, რათა ახლაც ეს არ დააპიროს; ან შეგვარიგე ერთმანეთს, ან არადა, თუ მუშტების გამოყენებას დააპირებს, დამიხსენ მისგან, რადგან მეტისმეტად მაშინებს მისი დამთხვეულობა და სიყვარული. – ამაოდ ცდილობ, – მიუგო ალკიბიადემ, – არავის ძალუძს შეგვარიგოს ჩვენ ერთმანეთთან, მაგრამ მაგ სიტყვებს შემდეგ განანებ. ახლა კი, აგათონ, – დასძინა მან, – მიბოძე რამდენიმე ბაფთა, რათა შევამკო საოცარი თავი ამ კაცისა. დაე, ნუ დამძრახავს იგი, შენ რომ შეგამკე, ის კი დავივიწყე, ვინც თავისი სიტყვით ყველას ამარცხებს; შენ მხოლოდ ერთხელგაიმარჯვრ, გუშინწინ, ის კი მუდამ იმარჯვებს ხოლმე.

ამ სიტყვებით ის დასწვდა ბაფთებს და სოკრატეს. თავი შეამკო, მერე კი ინახზე

წამოწვა.

XXXI

მხართეძოზე რომ წამოწვა, მან თქვა: – როგორც ჩანს, თქვენ მთლად ფხიზლები ხართო, მეგობრებო, მაგრამ ჩემთან ეგ არ გაგივათ: უნდა ვსვათ, ხომ ასე შევთანხმდით ჩვენ; და ვიდრე კარგად არ შეზარხოშდებით, ჩემს თავს ვირჩევ სუფრის თამადად. ერთი უბრძანე, აგათონ, დიდი სასმისი მოგვართვან რამე, თუკი ასეთი მოგეძებნება. ანდა, დაეხსენ; მომაწოდე, ბიჭო, აი ეგ პსუკტერი(1), – მიმართა მან მონას და თვალით აზომა სასმისი, რომელშიც რვა კოტილზე(2) მეტი ჩავიდოდა. პირთამდე გაალიცლიცა იგი და პირველმა დასცალა. მერე ბრძანა სოკრატესთვის აევსოთ და თქვა: – რაც შეეხება სოკრატეს, მასზე ჩემი ფანდი არ ჭრისო, მეგობრებო; სოკრატეს შეუძლია დალიოს იმდენი, რამდენსაც უბრძანებენ და მაინც არასდროს მოეკიდება ღვინო. – მონამ სასმისი აუვსო სოკრატეს და მანაც დასცალა იგი. მაშინ ერიქსიმახოსმა – რა ვქნათო, ალკიბიადე, თქვა, აგრე უმძრახად ვსვათ, როგორც ღვინის წყურვილით გახელებულნი სვამენ ხოლმე, არც ვიმღეროთ და არცა ვთქვათ რამე? – ო, ერიქსიმახოს, – წამოიძახა ალკიბიადემ, – უმშვენიერესი მამის უმშვენიერესო შვილო, მშვიდობა შენდა. – შენც გაგიმარჯოს, – მიუგო: ერიქსიმახოსმა, – მაგრამ ერთი მითხარი, რა ვქნათ? – რასაც გვიბრძანებ: ბრძანება შენი საქმეა, დამორჩილება ჩვენი, „რადგან სჯობს მრავალს გამოცდილი ექიმი ერთი“(3). მაშ გვიბრძანე, რაც გსურს. – მისმინე, – თქვა ერიქსიმახოსმა, – შენს მოსვლამდე ჩვენ საჭიროდ მივიჩნიეთ, მარჯვნიდან მოკიდებული, თვითეულ ჩვენგანს რიგრიგობით ეთქვა ეროსის ქება, ვისაც როგორ შეეძლო, ისე. უკვე ყველამ თქვა თავისი’ სათქმელი; ხოლო შენ სიტყვის უთქმელად შეუდექი სმას, თუმცა სამართლიანობა მოითხოვს შენც გვითხრა რამე. შემდეგ კი, ნება შენია, უბრძანე სოკრატეს, რაც გსურს, სოკრატე თავის მხარმარჯვნივ მჯდომს უბრძანებს და ასე შემდეგ. – კეთილი და პატიოსანი, – თქვა ალკიბიადემ, – მაგრამ სად გაგონილა მოსთხოვო მთვრალს ფხიზლებს გაეჯიბრეო მჭევრმეტყველებაში. ეგ სადაური სამართალია. ან იქნებ გჯერა: ნეტარო კაცო, იმისა, რაც სოკრატემ თქვა წეღან. იცი თუ არა შენ, რომ მის სიტყვებს არაფერი აქვთ საერთო სიმართლესთან? აბა გავბედო და მისი თანდასწრებით სხვა ვინმე შევაქო, ღმერთი იქნება ეს თუ კაცი, მაშინ მის რისხვას ვერ გადვურჩები. – ნუ სცოდავ, – თქვა სოკრატემ. – შენ კი, გაფიცებ პოსეიდონს, ნუ მეურჩები, – უთხრა ალკიბიადემ, – რადგან ვერ შევძლებ სხვა შევაქო იქ, სადაც შენა ხარ. – კეთილი და პატიოსანი, – თქვა ერიქსიმანოსმა, – მაშ აგრე ჰქენ – აქე სოკრატე. – რას მეუბნები, – თქვა ალკიბიადემ, – მაშ შენც იმ აზრისა ხარ, რომ მე თავს უნდა დავესხა ამ კაცს და ყველას თანდასწრებით შური ვიძიო მასზე? – ერთი მითხარი, – თქვა სოკრატემ, – რა განგიზრახავს? გინდა ქვეყნის სასაცილოდ მაქციო, თუ სხვა რამეს აპირებ კიდევ? – სიმართლის თქმას მხოლოდ და მხოლოდ; მაგრამ მითხარი, მრთავ თუ არა ამის: ნებას? – რა თქმა უნდა, – მიუგო მან, – არათუ გრთავ, არამედ მოვითხოვ კიდეც, რომ სიმართლეს არ უღალატო. მაშ, დაიწყე! – ახლავე, – თქვა ალკიბიადემ, – შენ კი აგრე ჰქენ: თუ სიმართლეს გადავუხვევ, ნება შენია, შემაჩერე და მამხილე მყისვე. განზრახ მე არ ვიცრუებ, ხოლო თუ ერთ მოგონებას მეორეში ავურევ, ეგ ნუ გაგაოცებს: ჩემს დღეში მყოფი კაცისთვის ადვილი როდია თანმიმდევრობით

ჩამოსთვალოს ყველა შენი უცნაურობა.

XXXII

სოკრატეს საქებად, მეგობრებო, შედარებებს მოვიშველიებ. შესაძლოა მან იფიქროს, მისი დაცინვა მსურდეს ამით, მაგრამ არა ლიზღობისთვის, ჭეშმარიტების გულისთვის მივმართავ შედარებას. მე ვამტკიცებ, რომ ყველაზე მეტად მოქანდაკეთა სახელოსნოებში გამოფენილ სილენებს(1) წააგავს იგი, რომელთაც დემიურგოსნი ხელში სირინგებს(2) ან ფლეიტებს აჭერინებენ ხოლმე, და, თუ შუაზე გადახსნით მათ, ღვთაებათა ხატებს იხილავთ შიგნით. მერე, მე ვამტკიცებ, რომ განსაკუთრებით სატირ მარსიას(3) წააგავს იგი. რაც შეეხება გარეგნულ მსგავსებას, შენ თვითონაც ვერ უარყოფ, სოკრატე, რომ პირწავარდნილი მარსია ხარ სწორედ, ხოლო დანარჩენისთვის აი რას გეტყვი: სიამოვნებას გგვრის თუ არა სხვების დაცინვა? – თუ არ მეთანხმები, შემიძლია მოწმეები დაგისახელო; უკრავ თუ არა ფლეიტაზე? – უფრო საოცარის ხელოვნებით, ვიდრე თვითონ მარსია: ის ხომ იმ ბგერებით ხიბლავდა სხვებს, რომელთაც საკუთარ ბაგეთა ძალით იწვევდა საკრავებიდან, და დღეს მასვე ჰბაძავს ყოველი, ვინც მარსიასეულ ჰანგებს ამღერებს ფლეიტაზე, რადგან ოლიმპოსის მელოდიებს მე მის მოძღვარს მივაწერ – მარსიას. ამიტომ სწორედ მარსიასეულ მელოდიებს მათი ღვთაებრივი ბუნების გამო – სულერთია დიდი ხელოვანი' ასრულებს მათ თუ უბადრუკი ავლეტრიდა – ძალუძთ გაგვიტაცონ და გვაგრძნობინონ მსმენელთაგან ჭეშმარიტად ვინ საჭიროებს ღმერთებისა და ზიარების მადლს. ერთადერთი განსხვავება თქვენს შორის ისაა, რომ შენ მარტოოდენ ლიტონი სიტყვებით, ყოველგვარი საკრავის გარეშე აღწევ იმავე მიზანს. როცა ვინმე სხვა ორატორს ვუსმენთ, თუნდაც დიდად დახელოვნებულს, არც ერთ ჩვენგანს, თუ შეიძლება ასე ითქვას, არ აღელვებენ მისი სიტყვები. ხოლო როცა თვითონ შენ გისმენთ, ან ყურს ვუგდებთ სხვას, თუნდაც უბადრუკ მთქმელს, ვინც შენსავე სიტყვებს გადმოგვცემს, თვითეულ მსმენელს, სულერთია ვინ იქნება იგი, ქალი, კაცი თუ ყრმა, თანაბარის ძალით იპყრობს განცვიფრებისა და აღტაცების გრძნობა. მერედა ვიშიშვი, კაცნო, მთვრალის ყბედობად არ მიიღოთ ჩემი ნათქვამი, თორემ შემეძლო ღმერთების წინაშე დამეფიცა, რა უდიდეს ზეგავლენას ახდენდნენ ჩემზე და ახლაც ახდენენ მისი სიტყვები. როცა მას ვუსმენ, ჩემი გული უფრო მძაფრად ცემს, ვიდრე აღტყინებული კორიბანტებისა(4) და ცრემლები თავისით იღვრებიან თვალთაგან. და მე მინახავს მის სიტყვებს ასევე რომ გაუტაცნია სხვანიც. როცა პერიკლეს(5) ვუსმენდი, ან სხვა დიდ ორატორთ, ვგრძნობდი რომ კარგად ლაპარაკობდნენ ისინი, მაგრამ მსგავსი რამე არასდროს განმიცდია, არასდროს. შეშფოთებულა სული ჩემი, არც საკუთარი მონური სიმდაბლე დაუგმია მას. ხოლო ამ მარსიას როცა ვუსმენ, ხშირად გამივლია გულში – ჩემს ყოფნას არყოფნა სჯობს-მეთქი. ეს სრული სიმართლეა და ამის უარყოფას თვითონაც ვერ შესძლებ, სოკრატე. მე ახლაც მჯერა, რომ, თუ ყურს ვათხოვებ, შენს სიტყვებს, ვერ ვეურჩები მათ და იგივე გრძნობა დამეუფლება. ეს კაცი მაიძულებს ვაღიარო, რომ თუმცა ბევრი რამ მაკლია თავად, მაინც ხელს ვიღებ საკუთარ თავზე, რათა ათენის საქმეებს მივხედო. და მაშინ თავს ძალას ვატან, ყურებში თითი დავიცო და სწრაფად გავეცალო მას, თითქოს გრძნებას გავურბოდე სირინოზების(6), თორემ ასე შევხვდები სიბერეს, მის გვერდით

მჯდარი. მხოლოდ მის წინაშე იღვიძებს ჩემში ის გრძნობა, რომელიც, საყოველთაო აღიარებით, მე უნდა მაკლდეს – სირცხვილის გრძნობა; მხოლოდ სოკრატეს წინაშე ვწითლდები მე. ვგრძნობ, რომ ძალა არ შემწევს ვეურჩო მას, ან მის რჩევას გადავუხვიო. მაგრამ საკმარისია გავეცალო სოკრატეს და კვლავ იმ პატივისკენ ვილტვი, რომლითაც ბრბო მეგებება ხოლმე. ამრიგად, მე მას გავურბივ და როცა ვხედავ, ჩემივე სიტყვების და აღთქმისა მრცხვენია მაშინ. ხშირად ისიც კი მინატრია, ნეტა ცოცხალთა შორი აღარ იყოს-მეთქი ეგ კაცი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ნატვრა რომ ამიხდეს, ჩემი ყოფნა გაცილებით უფრო აუტანელი იქნებოდა; ასე რომ, პირდაპირ არ ვიცი, რა გავაწყო მასთან.

XXXIII

ასეთ ზეგავლენას ახდენდნენ ჩემზე და ახლაც ახდენენ მაგ სატირის ჰანგები, მაგრამ, ისმინეთ, რაოდენ ჰგავს მას, ვისაც ვამსგავსე, და რა საოცარი ძალის პატრონია იგი. გარწმუნებთ, არცერთი ჩვენგანი არ იცნობს მას, მაგრამ რაკი დავიწყე, თვითონვე გამოვიყვან სააშკარაოზე.

როგორც მოგეხსენებათ, სოკრატე მუდამ მშვენიერთაკენ ილტვის და მუდამ მათ შორის ტრიალებს, მოხიბლული მათის მშვენებით. ამასთან, ვითომ არაფერი იცის, არაფერი გაეგება, ყოველ შემთხვევაში, ასე გვაჩვენებს თავს. და განა ამის შემდეგ სილენს არა ჰგავს იგი? ღმერთმანი, ჰგავს. გარეგნულად ნაქანდაკარი სილენისგან ვერ გაარჩევთ მას, მაგრამ გადახსენით იგი, მეინახენო, და სიბრძნის მთელ საუნჯეს იხილავთ შიგნით. უნდა იცოდეთ, რომ ის არად აგდებს არც მშვენებას, არც სიმდიდრეს თუ კაცთა სხვა ამაო ნიჭს, რომლის წინაშეც ქედს იდრეკს ბრბო. არა, მას ენით გამოუთქმელი ზიზღით ეზიზღება, არარაობად მიაჩნია ყოველივე ეს და, გარწმუნებთ, ჩვენც არარად ვჩანვართ მის თვალში. მთელ თავის სიცოცხლეს კაცთა დაცინვასა და განქიქებაში ატარებს იგი. არ ვიცი, უხილავს თუ არა რომელიმე თქვენგანს მთელი საუნჯე მისი სულისა, როცა ის სერიოზულია, ანდა თავის გულს უხსნის ვინმეს. მე კი მიხილავს და იმდენად ღვთაებრივი, ბრწყინვალე და თვალწარმტაცი მჩვენებია იგი, რომ უყოყმანოდ დავყოლივარ მის ნება–სურვილს.

მე მეგონა ის სერიოზულად იყო გატაცებული ჩემი მშვენებით და მიხაროდა: თუ თანავუგრძნობ, სანაცვლოდ ყველაფერს გამანდობს და მომცემს, რაც თვითონ იცის-მეთქი; ვფიქრობდი. ჰო, დიდ იმედებს ვამყარებდი ჩემს მშვენებაზე. ამის მზრახველმა დავითხოვე ჩემი მხლებელი, რომელიც სოკრატესთან ყოფნისას მუდამ თან მახლდა ხოლმე და პირისპირ დავრჩი მასთან. ყური მიგდეთ, მე თქვენ მთელ სიმართლეს გაგიმჟღავნებთ, ხოლო თუ ტყუილში დამიჭერ, მყისვე მამხილე, სოკრატე. ჰოდა, დავრჩი, კაცნო, მასთან პირისპირ. ვფიქრობდი, საცაა მეტყვის-მეთქი მას, რასაც მიჯნური განმარტოების ჟამს ჩასჩურჩულებს თავის სატრფოს და მიხაროდა. მაგრამ მოლოდინი არ გამიმართლდა: მთელი დღე ჩვეულებრივ საუბარში გაატარა ჩემთან და რა შებინდდა, გამეცალა. მერე ის იყო, გიმნასტიკაში სავარჯიშოდ გამოვიწვიე: ვფიქრობდი, ამით მაინც მივაღწევ-მეთქი მიზანს. ხშირად ვვარჯიშობდით და ერთმანეთს ვერკინებოდით მარტოდმარტონი. მაგრამ რა? ეს იყო და ეს. როცა ამ გზითაც ვერაფერს გავხდი, გადავწყვიტე პირდაპირ შეტევაზე გადავსულიყავი და,

რაკი საქმეს ხელი მოვკიდე, უკან აღარ დამეხია და ბოლომდე მიმეყვანა იგი. ჰოდა, ვახშმად მივიპატიჟე, სწორედ იმ განზრახვით, რომლითაც მიჯნური იწვევს ხოლმე სატრფოს თავისას. აქაც დამითმო, თუმცა კაი ხნის ყოყმანის შემდეგ. პირველად რომ მოვიდა, წასვლა დააპირა ნავახშმევს. მაშინ შემრცხვა და მეც გავუშვი. შემდეგ მოსვლაზე უკვე ახალ ხერხს მივმართე და, ვახშამს რომ მოვრჩით, საუბარში ჩავითრიე. გვიან ღამემდე შევყევით ლაპარაკს, ხოლო როცა წასვლა დააპირა, მოვიმიზეზე, უკვე გვიანაა-მეთქი და ვაიძულე დარჩენილიყო. იმავე ინახზე მიწვა, რომელზედაც ვახშმობისას იყო წამოწოლილი. ხოლო ოთახში არავინ იწვა ჩვენს გარდა.

აქამდე შემეძლო ყოველივე ეს განურჩევლად ყველასთვის მეამბნა, მეტს კი ვეღარას შეიტყობდით ჩემგან, მაგრამ რა გაეწყობა: ჯერ. ერთი, ანდაზისა არ იყოს, ბავშვებთან ერთად თუ ბავშვების გარეშე ღვინო ყოველთვის სიმართლეს ამბობს(1) და, მეორეც, უსამართლობად მიმაჩნია, მივჩქმალო სოკრატეს დიდსულოვნება, რაკი მის ქებას მივყავი ხელი. ეგეც არ იყოს, მე იმ კაცს ვგევარ, რომელსაც გველმა უკბინა. როგორც ამბობენ, დაგესლილი მხოლოდ მას თუ გაანდობს თავის ტკივილებს, ვისაც თვითონ განუცდია ეს, რადგან მხოლოდ მას ძალუძს გაუგოს და მიუტევოს გესლით გატანჯულს ყველა მისი ნათქვამი თუ ნაქმარი. ხოლო მე მოწყლული ვარ ყველაზე უფრო მტკივნეულ ადგილას, რომლის მოწყვლაც კი შეიძლება – გულში თუ სულში, უწოდეთ მას, როგორც გენებოთ, მოწყლული ვარ სიბრძნის სიტყვებით, რომელნიც, ახალგაზრდა და კეთილშობილ სულში რომ შეიჭრებიან, გველის შხამზე უფრო მძაფრად გესლავენ კაცს და ათასი დამთხვეულობისთვის აღძრავენ მას. გარდა ამისა, მე აქ ვხედავ ყველა ამ ფედროსს, აგათონს, ერიქსიმახოსს, პავსანიას, არისტოდემოსსა თუ არისტოფანეს, სოკრატეზე რომ არა ვთქვათ რა, და სხვასაც მრავალს, ყველას თანაბრად შეპყრობილს სიბრძნის მანიით, ამიტომ, ვიცი, მომიტევებთ ჩემს მაშინდელ ქცევასა და ახლანდელ სიტყვებს. თქვენ კი, მონებო, და თქვენც, ბნელნო და გაუთლელნო, მძიმე ურდულებით დაიხშეთ ყურნი.

XXXIV

როცა სინათლე ჩაქრა და მონებმაც დაგვტოვეს, გადავწყვიტე ორჭოფობისთვის თავი. გამენებებინა და პირდაპირ გამეცხადებინა მისთვის ჩემი გულის ნადები. ხელი წავკარი და ვკითხე: – გძინავს, სოკრატე? – ჯერ კიდევ არა, – მომიგო. – იცი რა?... – რა? – მკითხა მან. – ჩემის აზრით, შენ ერთადერთი ღირსეული მიჯნური ხარ ჩემთვის, ოღონდ, თუ არ ვცდები, გერიდება გამომიტყდე შენს სიყვარულში. მე კი, აი, რას გეტყვი: დიდ სიშლეგედ მიმაჩნია ვეურჩო შენს ნებას არა მარტო აქ, არამედ ყველა სხვა შემთხვევაში, სადაც მე ან ჩემი მეგობრები გამოგადგებით. მივაღწიო შესაძლებელ სრულქმნილებას, აი, ყველაზე სანუკვარი მიზანი ჩემი, ხოლო ამ საქმეში ვერავის ვხედავ შენზე უფრო ძალმორჭმულ მეოხს. ბრძენნი დამგმობდნენ, თუ უარს ვეტყოდი ისეთ კაცს, როგორიც შენა ხარ, უგუნურნი კი შემაჩვენებდნენ, თუ ნებას დავყვებოდი მისას. მაგრამ მე ბრძენთა აზრს ვუწევ მხოლოდ ანგარიშს და არა რეგვენთა. ამაზე სოკრატემ მისთვის ჩვეული ირონიით მიპასუხა: – როგორც ჩანს, შენ არც ისეთი ბრიყვი ხარ, ჩემო ძვირფასო ალკიბიადე, თუკი მართალია, რასაც ჩემს შესახებ ამბობ და თუკი ჩემში მართლაც არის ისეთი ძალა, რომელსაც ძალუძს უკეთესისკენ მიგაქციოს. მაშინ

შენ მართლაც გიხილავს ჩემში თვალშეუდგამი მშვენიერება, რომელიც ასე განსხვავდება შენი მშვენებისგან. ხოლო რაკი ეგ სიკეთე იხილე და გსურს კავშირი დაამყარო ჩემთან, რათა ერთი მშვენებით იყიდო მეორე, შენთვის დიახაც ხელსაყრელია ასეთი გარიგება, რადგან მოჩვენებითი მშვენიერებით ჭეშმარიტის მოხვეჭას აპირებ და, ამრიგად, ოქროს ნაცვლად სპილენძს მთავაზობ. მაგრამ დაფიქრდი, ნეტარო ჭაბუკო, ჩემი არარაობა ხომ არ გამოგრჩა მხედველობიდან? მზერა სულისა მაშინ უფრო, ბასრი ხდება და შორსმჭვრეტელი, როცა თვალისჩინი სხეულისა დაიშრიტება. შენ კი ჯერჯერობით ძალზე შორს ხარ ამ ასაკისგან. – მაშინ მე ვუთხარი: – შენთვის ცნობილია ჩემი გულისთქმა და მე მხოლოდ მას გეუბნები, რაც გულში მიდევს. ახლა შენზეა ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელსაც ხელსაყრელად მიიჩნევ როგორც შენთვის, ისე ჩემთვისაც. – კეთილი და პატიოსანი, – თქვა მან, – ვნახოთ, ავწონ-დავწონოთ და ისე მოვიქცეთ, რომ არცერთი ჩვენგანი წაგებული არ დარჩეს არც აქ, არც ყველა სხვა შემთხვევაში.

ეს რომ თქვა, ვიფიქრე, ჩემმა სიტყვებმა მარჯვედ ნასროლი ისარივით დაჭრეს-მეთქი იგი. ზე წამოვიჭერ, სიტყვის თქმაც აღარ ვაცალე, ჩემი მოსასხამი წავაფარე – რადგან ზამთარი იყო და ციოდა, – მერე თვითონაც შიგ შევუწექი, ჩავეხუტე ამ ჭეშმარიტად საოცარ და ღვთაებრივ კაცს და მთელი ღამე ასე გავატარე, მასთან მწოლარემ. ან იქნებ თქვა, რომ ვცრუობ, სოკრატე? და, მიუხედავად ამისა, მაინც ძლეულ ვიქმენ. როგორის ქედმაღლობით, ზიზღით და დაცინვით შეხედა მან ჩემს მშვენებას, მე კი ისეთი დიდი აზრისა ვიყავი მასზე, ჩემს მშვენებაზე, ძვირფასო მსაჯულნო; დიახ, მსაჯულნო, რადგან სოკრატეს ქედმაღლობის განსჯად მოგიხმობთ აქ, და გეფიცებით ყველა ღმერთსა და ყველა ქალღმერთს, ისე ავდექი მისგან, თითქოს მამასთან ვწოლილიყავ, ან უფროს ძმასთან.

XXXV

თქვენ, ალბათ, გესმით, რა ხდებოდა ამის შემდეგ ჩემს გულში. ერთის მხრივ, შეურაცხყოფილად ვგრძნობდი თავს, მეორეს მხრივ კი აღტაცებული ვიყავი, მისი ხასიათით, სიმტკიცითა და დიდსულოვნებით. ჭეშმარიტად, მე შევხვდი ისეთ კაცს, როგორსაც ვერც კი წარმოვიდგენდი – კაცს ბრძენსა და თავისი თავის სრულ ბატონ-პატრონს. ასე რომ, ძალა არ შემწევდა აღშფოთებულს ხელი ამეღო მასთან დაახლოვების სურვილზე, მაგრამ არც ის ვიცოდი, როგორ გადმომებირებინა ჩემკენ. რადგან მწამდა, აიაქსის(1) მოწყვლა უფრო ადვილად რომ შეიძლებოდა რკინით, ვიდრე სოკრატესი ვერცხლით, ხოლო ერთადერთი იარაღი, რომლითაც მის ხელში ჩაგდებას ვაპირებდი, უსუსური აღმოჩნდა. გაოგნებული ვეხეტებოდი აქეთ-იქით, ამ კაცის მიერ ისე დათრგუნვილი და დამონებული, როგორც არავინ ჯერ კიდევ არვის არ დაუთრგუნავს.

ყოველივე ეს მანამდე გადამხდა თავს, სანამ ორივე პოტიდეას(1) ლაშქრობაში მივიღებდით მონაწილეობას; იქ კი ერთად ვსადილობდით ხოლმე. აქაც, უპირველეს ყოვლისა, არა მარტო ჩემზე, ყველა სხვა დანარჩენზეც უკეთ იტანდა იგი ლაშქრობის სიძნელეთ. ხშირად, როდესაც სხვებს მოვწყდებოდით, რაც ბრძოლის დროს ჩვეულებრივი მოვლენაა, და იძულებული ვიყავით გვეშიმშილა, მას კვლავ არ

მოეძებნებოდა ბადალი გამძლეობაში. ხოლო ღრეობის დროს არავის შეეძლო მოელხინა მასავით ლაღად თუნდაც მაშინ, როცა თავისი სურვილით კი არ სვამდა, აიძულებდნენ ესვა. ლხინშიც ყველას სჯობნიდა იგი და, რაც ყველაზე' საოცარია, ჯერ კიდევ არვის არ უნახავს სოკრატე მთვრალი. ამას, ჩემის აზრით, ახლაც დაგიმტკიცებთ თქვენ. ყინვასაც წარბშეუხრელად ხვდებოდა – იქ კი მეტად მკაცრი ზამთარი იცის – და მართლაც რომ სასწაულებს ახდენდა იგი. ერთ დღეს, როცა საშინლად ყინავდა და ძეხორციელი ვერ ბედავდა. თავის გამოყოფას კარვებიდან ან, თუ ბედავდა, გულმოდგინედ იფუთვნებოდა და ფეხებზე ნაბდებსა და ცხვრის ტყავს იხვევდა, მაშინაც კი სოკრატე მშვიდად გადიოდა კარში თავისი გაცრეცილი მოსასხამით და ფეხშიშველი უფრო თავისუფლად დააბიჯებდა სიპ ყინულზე, ვიდრე სხვები ტყავის ბანდულებით. ასე რომ, ჯარისკაცებმა ალმაცერად დაუწყეს ცქერა: მასხრად ხომ არ გვიგდებსო ჩვენ?

XXXVI

ჰო, ასეთი იყო იგი. „მაგრამ, იცით, რა ქნა კიდევ ამ მტკიცე კაცმა“(1) იქ, ლაშქრობისას? ღმერთმანი, ღირს სმენად! ერთხელ დილაადრიან ერთ ადგილას დაეყუდა ფიქრში წასული და, რაკი, როგორც ჩანდა, ვერ ჰპოვა ის, რასაც ეძებდა, ფეხი აღარ მოუცვლია: იდგა და ფიქრობდა. ამასობაში შუადღემაც მოაწია, ჯარისკაცებმა შენიშნეს იგი და გაკვირვებით ეუბნებოდნენ ერთმანეთს: სოკრატე დილიდანვე ერთ ადგილას დგას და ფიქრობსო. შებინდებისას კი, ვახშამს რომ მორჩნენ, რამდენიმე იონიელმა ჯარისკაცმა გარეთ გამოათრია ჭილობები, რათა სიგრილეში, წოლილიყო – ზაფხული იდგა უკვე – და თან თვალყური ედევნებინა, გაატარებდა თუ არა მთელ - ღამეს სოკრატე ასე, ერთ ადგილს დაყუდებული. დილამდე მართლაც ასე იდგა იგი, ხოლო როცა მზე ამოიწვერა, ლოცვა აღავლინა ჰელიოსისადმი(2) და იქაურობას გაეცალა.

ახლა აღარ იკითხავთ, როგორი იყო ის ბრძოლის ველზე! რადგან სამართლიანობა მოითხოვს აქაც თავისი მივუზღათ მას. თუ მე ცოცხალი გამოვედი იმ ბრძოლიდან, რომლისთვისაც სიმამაცის ჯილდო მომანიჭეს სტრატეგებმა, ამას სოკრატეს უნდა ვუმადლოდე მხოლოდ და მხოლოდ, რომელმაც არ ისურვა დაჭრილი დავეტოვებინე ბრძოლის ველზე და ჩემთან ერთად ჩემი იარაღიც გადაარჩინა. მე მაშინაც ვურჩევდი, სოკრატე, სტრატეგებს შენთვის მოენიჭებინათ ეს ჯილდო და შენ აქაც ვერაფერში მისაყვედურებ, ვერ იტყვი, რომ ვცრუობ. მაგრამ რაკი ჩემის ღირსებით დაბრმავებულ სტრატეგებს გადაწყვეტილი ჰქონდათ მაინცდამაინც ჩემთვის მოენიჭებინათ იგი, შენ მათზე უფრო დაჟინებით მოითხოვდი, რომ სწორედ მე მიმეღო ჯილდო და არა შენ. ნამდვილად ღირდა მისი ხილვა, მეგობრებო, როცა დელიონთან(3) ლაშქარმა გაქცევით უშველა თავს. მე ცხენოსნებში ვირიცხებოდი მაშინ, ის – ჰოპლიტებში(4). როცა ჩვენები უწესრიგოდ მიმოიფანტნენ, ის ლახესთან(5) ერთად იხევდა უკან. მე შემთხვევით წამოვეწიე მათ, გავამხნევე და აღვუთქვი გასაჭირში მარტო არ დაგტოვებთ-მეთქი. მე შემეძლო აქ უკეთ დავკვირვებოდი სოკრატეს, ვიდრე პოტიდეაში. თავად არაფრის შიში მქონდა: ცხენით ვიყავი. უპირველეს ყოვლისა, რაოდენ მაღლა იდგა ის ლახესზე სულის სიმხნევით. და მე მეგონა, არისტოფანე, შენის სიტყვებით რომ ვთქვათ, აქ,

ათენის ქუჩებში „მიდის ის მშვიდად და ამაყად თვალს ავლებს ირგვლივ“-მეთქი(6) მტრებს და მეგობრებს. შორიდანვე გეცემოდათ თვალში, რომ თუ ვინმე გაბედავდა თავს დასხმოდა ასეთ კაცს, იგი შესძლებდა - ღირსეულად დახვედროდა მომხდურს. ამიტომაც მეგობრითურთ უვნებლად დაბრუნდა უკან. რადგან ბრძოლის ველზე სულით ასე უდრეკ მეომრებს თითქმის მუდამ გვერდს უვლიან და მხოლოდ მას მისდევენ, ვინც უკანმოუხედავად გარბის ხოლმე.

კიდევ მრავალი რამის თქმა შეიძლებოდა მისდა საქებრად, მაგრამ ეს შეიძლება სხვა მოკვდავთაც ახასიათებდეს. ყველაზე საოცარი კი ისაა, რომ არავის არა ჰგავს იგი, არც გარდასულთა, არც ცოცხალთა შორის. აქილევსზე ვერ ვიტყვით, უბადლოაო: მას შეიძლება ბრასიდა(7) შევუდაროთ და არა მარტო ბრასიდა; პერიკლეს შეიძლება ნესტორი(8) დავუპირისპიროთ, ანტენორი(9) და მათი მსგავსნი; ერთის სიტყვით, ყველას თავისი მსგავსნი მოეძებნება. ხოლო რაც შეეხება სოკრატეს, თუ ვინმესთან მაინც შეიძლება მისი და მისი სიტყვების შედარება, არა უბრალო მოკვდავებთან, არამედ, როგორც წეღან ვამბობდი, სილენებთან და სატირებთან მხოლოდ და მხოლოდ.

XXXVII

ჰო, დასაწყისში მე გამომრჩა მეთქვა, რომ მისი სიტყვებიც ძალზე წააგვანან იმ სილენებს, შუა რომ იხსნებიან. მართლაც, თუ ვინმე მოისურვებს ყური უგდოს სოკრატეს საუბარს, შესაძლოა, პირველად სასაცილოც კი ეჩვენოს იგი. ისეთი სიტყვებისა და გამოთქმების სამოსში ეხვევა ის, რომ გარეგნულად ურცხვი სატირის ტყავს წააგავს მართლაც. სოკრატე ხომ კურტნიან სახედრებზე, მჭედლებზე, მეჯაჭვეებსა და დაბაღებზე მსჯელობს ხოლმე და თითქოს ერთსა და იმავეს იმეორებს მუდამ, ასე რომ, ვინმე გამოუცდელსა და რეგვენს, შესაძლოა, სასაცილოდაც არ ეყოს მისი სიტყვები. მაგრამ საკმარისია გახსნათ ისინიც და ნახავთ, რომ, ჯერ ერთი, ღრმა შინაგანი აზრით არიან სავსე, გარდა ამისა, თავიდან ბოლომდე ღვთაებრიობის ბეჭედი აზით და მთელ საუნჯეს შეიცავენ სათნოებისა; ერთის სიტყვით, იტევენ თითქმის ყველაფერს, რისკენაც უნდა ისწრაფვოდეს ის, ვისაც სურს სიკეთეს ეზიაროს და მშვენიერებას. აი ყველაფერი, მეგობრებო, რისთვისაც მე სოკრატეს ვაქებ. მეორეს მხრივ, ისიც მოგახსენეთ, რისთვის ვგმობ მას და როგორ შეურაცხმყო მე, და განა მარტო მე? ასევე მოექცა იგი ხარმიდეს – გლავკონის ვაჟს(1), ევფიდემოსს(2) – დიოკლეს ვაჟს, და, ვინ მოსთვლის, კიდევ რამდენს, რომელთაც ჯერ ისე მოაჩვენა თავი, თითქოს მათი ტრფიალი სწვავდა და მერე, პირიქით, თვითონ იქცა მათი ტრფიალის საგნად. და ამას შენ გეუბნები, აგათონ, რომ არ გაბრიყვდე: ჩვენი გამოცდილება გქონდეს გაკვეთილად და იმ უგუნურს არ დაემსგავსო, რომელიც მხოლოდ საკუთარ შეცდომებზე სწავლობს ჭკუას(3).

XXXVIII

როცა ალკიბიადემ სიტყვა დაასრულა, მისმა გულახდილობამ საყოველთაო ხარხარი გამოიწვია დამსწრეთა შორის, რადგან, ჩანდა, ჯერ კიდევ უყვარდა სოკრატე. მაშინ სოკრატემ თქვა: – შენ არც ისე მთვრალი ჩანხარ, ალკიბიადე. წინააღმდეგ შემთხვევაში, აგრე დახვეწილის ხელოვნებით ვერ წარმართავდი, შენს სიტყვას, ვერ მიჩქმალავდი იმ ერთადერთ მიზანს, რომლის გულისთვისაც ყოველივე ეს ითქვა და რომელიც მხოლოდ სიტყვის დასასრულს მოიხსენიე და ისიც გაკვრით, თითქოს არც გაინტერესებდეს შუღლი ჩამოაგდო ჩემსა და აგათონს შორის: მართლაც, ხომ თვლი, რომ შენს მეტს არავის არ უნდა ვეტრფოდე, არც აგათონს ეტრფოდეს ვინმე შენს გარდა. მაგრამ ვერ გაგვაცურე და შენი სატირულ-სილენური დრამა ნათელი გახდა ჩვენთვის. ამიტომ, მოდი მოლოდინი გავუცრუოთ მას, ჩემო ძვირფასო აგათონ, და ნურავის დავრთავთ ნებას ერთმანეთს გაგვყაროს.

ამაზე აგათონმა თქვა: – შენ მართალი უნდა იყო, სოკრატე. მე მგონია ჩვენს შორისაც სწორედ ამ მიზნით წამოწვა იგი. მაგრამ არაფერი გამოუვა: ავდგები და შენს გვერდით გადმოვალ.

– კეთილი, – თქვა სოკრატემ, – მოდი და აქ, ჩემს ქვემოთ წამოწექ.

– ო, ძევეს, – წამოიძახა ალკიბიადემ, – რამდენი რამ უნდა ავიტანო მე ამ კაცისგან, რომელიც ყველგან ჩემზე მაღლა დადგომას ცდილობს. მაგრამ, ყოვლად საოცარო, ჩვენ შორის წამოწოლის ნება მაინც დართე აგათონს.

– ეგ შეუძლებელია, – თქვა სოკრატემ, – შენ უკვე მაქე, ხოლო ახლა მე მმართებს მხარმარჯვნივ მჯდომი მეზობელი შევაქო ჩემი. ჰოდა, აგათონმა შენს გვერდით რომ გადმოინაცვლოს, ის, ცხადია, არ ისურვებს მანამდე თქვას ჩემი ქება, ვიდრე თვითონ არ ვიტყვი მისას. ამიტომ გვაცალე ღვთაებრივო, და ნუ შეგშურდება, თუ ამ ჭაბუკის ქებას ვიტყვი, რადგან დიდი სურვილი მაქვს შევამკო იგი.

– აჰ, ალკიბიადე, – თქვა აგათონმა, – მე აქ ვეღარ მოვიცდი და სოკრატესკენ უნდა გადავინაცვლო, რათა საკუთარი ქება ვისმინო მისგან.

– ეგ სავსებით ბუნებრივია, – თქვა ალკიბიადემ, – იქ სადაც სოკრატეა, ვერვინ შესძლოს მშვენიერთა თავის მხარეს გადაბირება. ახლაც, ხედავთ, რა მარტივი და დამარწმუნებელი საბაბი მოიგონა, რათა აგათონი გვერდით მოესვა?

XXXIX

ის იყო აგათონი ადგა, რათა სოკრატეს გვერდით დაეკავებინა ადგილი, რომ მახმურთა მთელი ბრბო მოაწყდა კარს და ღია რომ ნახა – ერთი სტუმართაგანი გასულიყო – შიგ შემოიჭრა და თავისუფალ ადგილებზე მოიკალათა. ყველაფერი მათ ღრიანცელში დაინთქა და დაიწყო, ყოველგვარი. წესრიგის გარეშე, ღვინის თავშეუკავებელი სმა. ამიტომ ერიქსიმახოსი, ფედროსი და ზოგიერთი სხვა სტუმარიც სუფრიდან აიშალნენ და სახლებში წავიდ-წამოვიდნენო, – ჰყვებოდა არისტოდემოსი. თვითონ კი ძილი მოერია და კაი ხანს ეძინა, რადგან ღამეები გრძელი იყო. მაშინ. მხოლოდ გარიჟრაჟზე გამოეღვიძა, როცა მამლები ყიოდნენ უკვე და ნახა, რომ სტუმართაგან ზოგს სუფრაზევე ჩასძინებოდა, ზოგი კი სახლში წასულიყო. ფხიზლობდნენ მხოლოდ აგათონი, არისტოფანე და სოკრატე და დიდი ფიალით

სვამდნენ. სასმისი მარცხნიდან მარჯვნივ გადადიოდა და სოკრატე ესაუბრებოდა მათ. მაგრამ შინაარსი ამ საუბრისა არისტოდემოსს აღარ ახსოვდა, რადგან, ჯერ ერთი, დასაწყისისთვის არ უსმენია და, გარდა ამისა, კვლავ ჩასთვლემდა ხოლმე. მაგრამ, რაც მთავარია, – ჰყვებოდა არისტოდემოსი, – სოკრატემ აიძულა თანამოსაუბრენი დასთანხმებოდნენ, რომ ერთსა და იმავე კაცს უნდა შეეძლოს როგორც კომედიების, ისე ტრაგედიების წერა და დიდი ტრაგიკოსი პოეტი დიდი კომიკოსიც უნდა იყოსო უთუოდ. მაგრამ მათ ძილი ერეოდათ და ყურადღებით ვეღარ უსმენდნენ. პირველად არისტოფანეს ჩასთვლიმა, ხოლო როცა კარგად ინათა – აგათონსაც. ორივე ასე რომ მიაძინა, სოკრატე ადგა და გარეთ გავიდა. არისტოდემოსმა, ჩვეულებისამებრ, უკან გასდია. სოკრატე ლიკეონში(1) მივიდა, კარგად განიბანა, მთელი დღე ჩვეულებრივ საქმიანობაში გაატარა და როცა შებინდდა, სახლისკენ გაემართა განსასვენებლად.

თარგმნისას ხელთ გვქონდა „ნადიმის“ შემდეგი გამოცემები:

Platonis Dialogi, ex recensione Caroli Friderici Hermani, Lipsiae, 1877.

Platonis Dialogi, ex recensione Immanuelis Bekkeri, Ber. 1817.

Platon, Oeuvres complètes, t. IV, partie 2: Le Banquet. Texte établi et trad. par Léon Robin, Paris, 1929.

გარდა ამისა, ვეყრდნობოდით „ნადიმის“ 12 სხვადასხვა თარგმანს ლათინურ, ფრანგულ, რუსულ, იტალიურ, გერმანულ და ესპანურ ენებზე

ბაჩანა ბრეგვაძე

შენიშვნები

I

1. ფ ა ლ ე რ ო ნ ი (*Φάληρον*) — ათენის პორტი, ქალაქიდან დაახლოებით 20 სტადიონით (*στάδιον* ≈ 185 მ) დაშორებული.

2. ფ ა ლ ე რ ო ნ ე ლ ი (*Φαληρεύς*); ხუმრობა, როგორც ჩანს, სიტყვების თამაშზეა აგებული: *φάλαρος* = *φαλαρός* — ნიშნავს თეთრს, მბზინავს, ლაპლაპას — აპოლოდოროსი, ალბათ, მელოტი იყო.

3. ა გ ა თ ო ნ ი (*Ἀγάθων*) — სახელგანთქმული ბერძენი ტრაგიკოსი. დაიბ. დაახ. 436 წ. ძვ. წ. ა. 20 წლისა იყო, როცა თავისი პირველი ტრაგედიით გაიმარჯვა ლენეის დღესასწაულზე (*Ἱερὰ λήναια* — დიონისესადმი მიძღვნილი ატიკური რელიგიური დღესასწაული). აგათონის ტრაგედიებს, სამწუხაროდ, სრული სახით არ მოუღწევიათ ჩვენამდის. ფრაგმენტები გამოცემულია Nauck-ის მიერ, (Nauck—Tragic. Graec. fragm. Lipsiae, 1889).

4. ს ო კ რ ა ტ ე (*Σωκράτης*) (469—399 ძვ. წ. ა.) — დიდი ბერძენი ფილოსოფოსი, პლატონის მასწავლებელი.

5. ა ლ კ ი ბ ი ა დ ე (*Ἀλκιβιάδης*) (450—404 ძვ. წ. აღ.) — პერიკლეს ნათესავი, სოკრატეს მოწაფე, გამოჩენილი ათენელი პოლიტიკური მოღვაწე და მხედართმთავარი პელოპონესის ომში.

6. იგულისხმება სოკრატე.

7. 408 წლიდან აგათონი მაკედონიის მეფის — არხელაოსის (414—399) კარზე ცხოვრობდა და იქვე გარდაიცვალა დაახლ. 400 წელს.

8. აგათონმა გამარჯვება მოიპოვა 416 წ. მაშინ ამ დიალოგის ავტორიც, აპოლოდოროსისა და მისი ნაცნობის მსგავსად, პატარა, ათი წლის ბიჭი იყო (პლატონი დაიბადა 427 წ.)

9. ქ ო რ ე ვ ტ ი (*χορευτής*) — გუნდის წევრი.

10. ა რ ი ს ტ ო დ ე მ ო ს ი (*Ἀριστόδημος*) — რეალურად არსებული პიროვნებაა, სოკრატეს მოწაფე. მას იხსენიებს ქსენოფონტეც თავის „Memorabilia“-ში. არისტოდემოსი კიდათენელი იყო.

კ ი დ ა თ ე ნ ი — *Κυδαθήναι* — ატიკური ფილის — პანდიონისის ერთ-ერთი დემოსი, რომელიც ათენის ფარგლებში შედიოდა და აკროპოლისის სამხრეთით მდებარეობდა.

II

1. დედანში ასეა: *ταῦτα δὴ ἐκαλλωπισάμην ἵνα καλὸς παρὰ καλὸν ἴω.*

2. ეს პასაჟი ბერძნულ სიტყვათა მსგავსებაზეა აგებული და ამიტომ თარგმანში მისი გადმოცემა შეუძლებელია. ანდაზის პირვანდელი ფორმა ასეთია: *αὐτόματοι ἀγαθοὶ ἀγαθῶ ἐπὶ δαῖτας ἴασιν*, რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს: კარგები კარგთან თავისით, ე. ი. დაუპატიჟებლად მიდიან ნადიმზე. პლატონმა, როგორც ჩანს, შეცვალა, „*ἀγαθῶ*" „*Ἀγάθων*"-ით და, ამრიგად, მივიღეთ: *αὐτόματοι ἀγαθοὶ Ἀγάθων ἐπὶ δαῖτας ἴασιν*, რაც ნიშნავს: კარგები აგათონთან თავისით, ე. ი. დაუპატიჟებლად მიდიან ნადიმზე. სახელი აგათონი (*Ἀγάθων*) წარმოსდგება სიტყვიდან *ἀγαθός*—კარგი.

3. დედანშია: *μαλθακὸς αἰχμητής*;. „ილიადაში" (XVII, 586—88) აპოლონი ასე მიმართავს ჰექტორს:

Ἕκτορ, τίς κέ σ' ἔτ' ἄλλος Ἀχαιῶν ταρβήσειεν,
οἷον δὴ Μενέλαον ὑπέτρεσας, ὃς τὸ πάρος περ
μαλθακὸς αἰχμητής...

4. იხ. „ილიადა", II, 408:
αὐτόματος δέ οἱ ἦλθε βοὴν ἀγαθὸς Μενέλαος.

5. იხ. „ილიადა", X, 224—225:
σύν τε δύ' ἐρχομένω, καί τε πρὸ ὁ τοῦ ἐνόησεν
ὅππως κέρδος ἔῃ...

III

1. თანახმად კაპილარობის პრინციპისა.

2. ე. ი. ღვინის სმას შევუდგებით.

IV

1. მ ი რ ი ნ უ ს ი (*Μυρρινοῦς*) — ატიკური ფილის პანდიონისის ერთ-ერთი დემოსი.

V

1. ა ვ ლ ე ტ რ ი დ ა (*αὐλητρίς*) — ფლეიტაზე დამკვრელი ქალი.

2. ბერძნულ სახლს ორი განყოფილება ჰქონდა: ე. წ. ანდრონი (*ἀνδρῶν*), რომელიც მამაკაცთათვის იყო განკუთვნილი და რომელშიც სიმპოსიონები იმართებოდა და გინეკეია (*γυναικήϊη*) — „საქალებო".

3. ევრიპიდეს ჩვენამდე არმოღწეული ტრაგედიიდან „მელანიპა ბრძენი". ფრაგმენტში ასეა: *οὐκ ἐμὸς ὁ μῦθος, ἀλλ' ἐμῆς μητρὸς πάρα* (Nauck, 484).

4. პ ე ო ნ ი (*παιών, παιάν*) — საგუნდო ჰიმნი, სამადლობელი, საზეიმო, სავედრებელი ან სხვა ხასიათისა, მეტწილად აპოლონისადმი მიძღვნილი.

5. *Ἔρως* — სიყვარულის ღმერთი.

6. პ რ ო დ ი კ ო ს ი (*Πρόδικος*) — სოფისტი, სოკრატეს თანამედროვე, ავტორი ცნობილი ალეგორიისა „ჰერაკლე ბიწსა და სათნოებას შორის". ქსენოფონტე, "Memorabilia", II, 1.

7. „ე რ ო ტ ი კ ა" (*ἐρωτικά*) — სამიჯნურო კავშირნი, ურთიერთობანი, ზოგადად, ყველაფერი, რაც ეროსს უკავშირდება ან მიემართება.

VI

1. ჰ ე ს ი ო დ ე (*Ἡσίοδος*) — დიდი ბერძენი პოეტი (IX ს. ძვ. წ. ა.), ავტორი პოემებისა „სამუშაონი და დღენი" (*Ἔργα καὶ Ἡμέραι*) და „თეოგონია" (*Θεογονία*).

2. ჰესიოდე, „თეოგონია", 117—118.

3. პ ა რ მ ე ნ ი დ ე (*Παρμενίδης*) — ბერძენი ფილოსოფოსი, ელეატური სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ავტორი პოემისა „ბუნებისათვის" (*Περὶ φύσεως*). მისი სახელი ეწოდება პლატონის ერთ-ერთ დიალოგს. აქ ციტირებული ლექსის შესახებ დაწვრილებით იხ. H. Diels — Die Fragmente der Vorsokratiker, Berlin, 1934, 243 გვ.

4. ა კ უ ს ი ლ ე ო ს ი (*Ἀκουσίλεως*) — არგოსელი ლოგოგრაფოსი (VI ს. ძვ. წ. ა.) სვიდას მიხედვით ავტორი თხზულებისა „გენეალოგიები". ძირითადად ეყრდნობოდა ჰესიოდეს.

5. დედანში: *ἄνδρα ὅστις ἐρᾷ...*

6. შდრ. „ილიადა" X, 482: *τῷ δ' ἔμπνευσε μένος γλαυκῶπις Ἀθήνη.*

VII

1. ა ლ კ ე ს ტ ი დ ა (*Ἄλκηστις*) — პელეასის ასული, მეუღლე თესალიელი გმირის, არგონავტთა ლაშქრობის მონაწილის ადმეტესი. ალკესტიდა დათანხმდა არტემიდეს მიერ უდროოდ განწირული მეუღლის ნაცვლად ჩასულიყო ჰადესში და, ამრიგად, დაეხსნა იგი. მითის თანახმად, ალკესტიდას თავგანწირვით აღფრთოვანებულმა პერსეფონამ, დედოფალმა ჰადესისა, უკან გამოაბრუნა იგი. სხვა ვერსიით ალკესტიდა ჰერაკლემ დაიხსნა ჰადესის ტყვეობიდან.

2. ჰ ა დ ე ს ი (*Ἅιδης*, იგივე *Πλούτων* ან *Ζεὺς καταχθόνιος*) — საიქიოს უფალი; საიქიო.

3. ო რ ფ ე ო ს ი (*Ὀρφεύς*) — მითიური მომღერალი და ავტორი მისტიური ჰიმნებისა (ე. წ. „ორფიკული ჰიმნები"), მუზა კალიოპესა და თრაკიის მეფის ეაგრეს ვაჟი, ევრიდიკეს მეუღლე. მითის მიხედვით ევრი-

დიქე გველმა დაგესლა და მოკლა. მეუღლეს დანატრებული ორფეოსი ჰადესს ჩავიდა, რათა უკან დაებრუნებინა იგი. თავისი ჯადოსნური ჰანგებით მან გული მოულბო ერინიებს, მოაჯადოვა კერბერი და პერსეფონემდე მიაღწია. საიქიოს დედოფალი დათანხმდა მიწაზე დაებრუნებინა ევრიდიქე, ოღონდ იმ პირობით, რომ ორფეოსი ერთხელაც არ შეავლებდა თვალს საყვარელი მეუღლის აჩრდილს, ვიდრე მზის ნათელს არ იხილავდნენ ორივენი. მაგრამ მომღერალს სულმა წასძლია, დაარღვია აღთქმა და, ამრიგად, სამუდამოდ დაჰკარგა მეუღლე. ორფეოსი დაიღუპა დიონისეს მხლებელი ქალების — მენადების ხელით.

4. ა ქ ი ლ ე ვ ს ი (*Ἀχιλεύς*) — თესალიის მეფის — პელეასისა და თეტიდას ვაჟი, ტროას ომის უდიდესი გმირი.

5. ჰ ე ქ ტ ო რ ი (*Ἕκτωρ*) — პრიამოსისა და ჰეკუბას ვაჟი, ტროელთა უპირველესი გმირი.

6. ე ს ქ ი ლ ე (*Αἰσχύλος*) — გენიალური ბერძენი ტრაგიკოსი (525—456 ძვ. წ. ა.).

7. დედანში: *θειότερον γὰρ ἐραστὴς παιδικῶν.*

VIII

1. ა ფ რ ო დ ი ტ ე (*Ἀφροδίτη*; Venus) — სიყვარულის ქალღმერთი, ზევსისა და დიონეს (სხვა ვერსიით ურანოსის — ზესკნელის უფლის) ასული.

2—3. „ციური" (*Οὐρανία*, Venus coelestis) — აფროდიტეს ეპითეტია. ურანია უპირისპირდება მეორე ე. წ. *Ἀφροδίτη Πάνδημος*-ს (Venus vulgaris). აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ *Πάνδημος* — საყოველთაო-სახალხოს, საყოველთაოს ნიშნავს პირდაპირ. ამ ეპითეტის ნაცვლად მთარგმნელმა აიღო „მიწიერი".

4. *καλῶς μὲν γὰρ πραττόμενον καὶ ὀρθῶς καλὸν γίγνεται.*

IX

1. *Παιδεραστία*; ეს შედგენილი სიტყვა პირდაპირ „ყრმათა სიყვარულს" ნიშნავს. საქმე ეხება ძველი ბერძნული საზოგადოების ერთ-ერთ ყველაზე უდიდეს ბიწს — მამათმავლობას. მაგრამ ეს სიტყვა ამბივალენტურია, ისევე როგორც ფენომენი, რომელსაც იგი აღნიშნავს. დიდი მორალისტი პლატონი ჰგმობს მამათმავლობის იმ სახეს, რომელსაც ავხორცობა უდევს საფუძვლად და, პირიქით, მთლიანად იღებს მის მეორე სახეს — ღრმასა და ეგზალტირებულ სულიერ სიყვარულს, რომლის წყაროა სულიერი ან ფიზიკური სრულქმნილებაა (შდრ. სოკრატე — ალკიბიადე, მიქელანჯელო — ტომაზო კავალჯერი ან თუნდაც თომას მანის ნოველა „სიკვდილი ვენეციაში").

2. ე ლ ი დ ა (*Ἦλις*) — მხარე აღმოსავლეთ პელოპონესში.

3. ბ ე ო ტ ი ა (*Βοιωτία*) — მხარე შუა საბერძნეთში, მთავარი ქალაქი თებე.

4. ი ო ნ ი ა (*Ἰωνία*) — მც. აზიის დასავლეთი სანაპირო.

5. ა რ ი ს ტ ო გ ე ი ტ ო ნ ი და ჰ ა რ მ ო დ ი ო ს ი (*Ἀριστογείτων καὶ Ἁρμόδιος*)—ათენელი ჭაბუკები, რომელთაც 514 წ. ძვ. წ. ა. მოკლეს ათენის ტირანი ჰიპარხოსი. შემდეგში მათ ათენელებმა ძეგლი აუგეს წარწერით „*τυραννοκτόνοι*“ — „ტირანის მკვლელნი“ (დაწვრ. იხ. თუკიდიდე I, 20, VI, 54).

6. დედანში: *χαρίζεσθαι ἐρασταῖς.*

X

1. ბერძნული სიტყვა *νόμος* — ნიშნავს როგორც კანონს, ასევე ადათსაც.

2. მთარგმნელი სიტყვით „მიჯნური“ გადმოსცემს ბერძნულ *ἐραστής*-ს, ხოლო სიტყვით „სატრფო“ — *παιδικός*-ს.

3. დედანში: *ταύτῃ μὲν οὖν οἰηθείη ἄν τις πάγκαλον νομίζεσθαι ἐν τῇδε τῇ πόλει καὶ τὸ ἐρᾶν καὶ τὸ φίλους γίγνεσθαι τοῖς ἐρασταῖς.*

4. ლ ა ლ ა (*παιδαγωγός*) — მონა, რომელსაც ბავშვის მეთვალყურეობა ევალებოდა. პედაგოგი სკოლაში მიაცილებდა ბავშვს და უკანვე მოჰყავდა მერე.

5. იხ. თ. VIII.

6. დედანში: *αἰσχρῶς μὲν οὖν ἐστὶ πονηρῷ τε καὶ πονηρῶς χαρίζεσθαι, καλῶς δὲ χρηστῷ τε καὶ καλως.*

XI

1. დედანში: *ἐάν τις ἐθέλῃ τινὰ θεραπεύειν ἡγούμενος δι' ἐκεῖνον ἀμείνων ἔσεσθαι ἢ κατὰ σοφίαν τινὰ ἢ κατὰ ἄλλο ὁτιοῦν μέρος ἀρετῆς...*

2. ერთ-ერთი ნიმუში ცნობილი პლატონური პერიოდებისა, რომელთა გადმოცემაც თარგმანში უდიდეს სიძნელეებთანაა დაკავშირებული.

3. ა რ ი ს ტ ო ფ ა ნ ე (*Ἀριστοφάνης*) — დიდი ბერძენი კომედიოგრაფი (დაახლ. 444—380 წ. ძვ. წ. ა.).

XII

1. იხ. თ. XI.

2. დედანში: *ἔστι γὰρ ἰατρικὴ... ἐπιστήμη τῶν τοῦ σώματος ἐρωτικῶν πρὸς πλησμονὴν καὶ κένοσιν.*

3. ა ს კ ლ ე პ ი ო ს ი (*Ἀσκληπιός*; Aesculapius) — თესალიელი მეფე და ექიმი, შემდეგში მედიცინის ღმერთი.

4. იგულისხმებიან აგათონი და არისტოფანე.

5. ჰ ე რ ა კ ლ ი ტ ე ე ფ ე ს ე ლ ი (*Ἡράκλειτος Ἐφέσιος*) — დიდი ბერძენი ფილოსოფოსი (მე-6—5 ს. ს. ძვ. წ. ა.). მეტსახელად უწოდებდნენ *ὁ Σκοτεινός* — „ბნელი". დედანში ეს ციტატა ასე იკითხება: *τὸ ἓν γὰρ φησι διαφερόμευον αὐτὸ αὑτῷ ξυμφέρεσθαι, ὥσπερ ἁρμονίαν τόξου τε καὶ λύρας.* დაწვრილებით ცნობებს მკითხველი იპოვის მაკოველსკის წიგნში: Досократики I, Казань, 1914.

6. ასე ესმის მთარგმნელს ბერძნული ფრაზა: *διαφερόμενον δὲ αὖ καὶ μὴ ὁμολογοῦν ἀδύνατον ἁρμόσαι.*

7. დედანში: *ὃ δὴ μελοποιίαν καλοῦσιν.*

8. დედანში: *ὃ δὴ παιδεία ἐκλήθη.*

9. რაკი საქმე მუსიკას ეხება, ერიქსიმახოსი ლაპარაკობს არა ციური ან მიწიერი აფროდიტეს, არამედ მუზა ურანიასა და პოლიმნიას (ლირიული პოეზიისა და ჰიმნების მუზა) შესახებ.

10. დედანში: *ὃν δεῖ εὐλαβούμενον προσφέρειν οἷος ἂν προσφέρῃ.*

XIII

1. კ ო დ ი (*ἐρυσίβη*) — თაფლის ცვარი;

2. მ ა ნ ტ ი კ ა (*μαντική*) — ხელოვნება მკითხაობისა და წინასწარმეტყველებისა.

XIV

1. ა ნ დ რ ო გ ი ნ ო ნ ი (*ἀνδρόγυνον*) — სამუალო სქესის ეს ბერძნული სიტყვა კომპოზიტია: *ἀνήρ* (კაცი)+ *γυνή* (ქალი).

2. ე ფ ი ა ლ ტ ე და ო ტ ო ს ი (*Ἐφιάλτης καὶ Ὦτος*) — მითიური ტიტანები, რომელთაც ოლიმპიელთა დამხობა განიზრახეს (იხ. „ილიადა" მე-5, 385 და შმდ.)

XV

1. ზ ე ვ ს ი (*Ζεύς*) — ბერძნული პანთეონის პირველი ღვთაება, ღმერთთა და კაცთა მამა.

2. დედანში: *ὥσπερ οἱ τὰ δα τέμνοντες καὶ μέλλοντες ταριχεύειν.*

3. ა პ ო ლ ო ნ ი (*Ἀπόλλων*) — სინათლის, წინასწარმეტყველების, პოეზიის და ექიმობის ღმერთი, მუზათმთავარი — მუსაგეტი.

XVI

1. ქ ს ი მ ბ ო ლ ო ნ ი, სიმბოლონი (*ξύμβολον*) — სიმბოლო, პირობითი ნიშანი. აქ—ლათ. tessera hospitalis. ეს იყო შუა გატეხილი ძვლის ორი ნახევარი, რომელთაგან ერთს მასპინძელი უძღვნიდა ხოლმე სტუ-

მარს, მეორეს კი თვითონ იტოვებდა. შემდგომში, ამ ორ ნახევარს ერთმანეთს რომ მიუახლოვებდნენ, სტუმარ-მასპინძელს შეეძლოთ ეცნოთ ერთმანეთი.

2. ἑταιρίστριαι — ტრიბადები, ე. წ. „ლესბოსური სიყვარულის“ მიმდევარნი.

3. ბიჭი — „მამაკაცის ნაფოტი“. ამ კონტექსტში ეს მეტად პოეტური გამოთქმაა და უნებურად გვაგონებს დიდი თანამედროვე ესპანელი პოეტის ლორკას სიტყვებს:

En la agostada senda	გადახრუკულ ბილიკზე
He visto al buen lagarto	მე ვიხილე კეთილი ხვლიკი
(gota de cocodrilo)	(ნიანგის წვეთი)
meditando.	ჩაფიქრებული.

ხვლიკი — „ნიანგის წვეთი“. ეს ერთხელ კიდევ მიგვანიშნებს იმაზე, რომ ჭეშმარიტი პოეზიის ენა მეტნაკლებად იდენტური იყო ყოველთვის.

4. ლათინური სიტყვა caelebs — დაუქორწინებელს ნიშნავს.

5. φιλεραστής — ნიშნავს კაცს, რომელიც მალე ენთება სიყვარულით.

6. ჰეფესტოსი (Ἥφαιστος) — ცეცხლისა და მჭედლობის ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში.

7. აქ საქმე გვაქვს პოეტურ ლიცენციასთან (ან, შესაძლოა, ანაქრონიზმთანაც). ლაკედემონელნი აღმ. არკადიის ქალაქ მანტინეაში შეიჭრნენ და დაანგრიეს იგი 362 წ. ძვ. წ. ა., ხოლო პლატონის გმირები 54 წლით ადრე მსჯელობენ ამის შესახებ.

8. სტელა (στήλη) — სამარის სვეტი.

9. ე. ი. ბარელიეფურ გამოსახულებებს.

10. ლისპები (λίσπαι) — იგივეა, რაც ქსიმბოლონი (იხ. შენ. მე-16,1).

11. ე. ი. თავი დავაღწიოთ ხელახალი განკვეთის საფრთხეს და ვეზიაროთ ჩვენს პირველბუნებას, მთლიანს და განუყოფელს.

XVIII

1. დედანში: *εἰς δὲ τρόπος ὀρθὸς παντὸς ἐπαίνου περὶ παντὸς...*

2. დედანში: *εἰ θέμις καὶ ἀνεμέσητον εἰπεῖν.*

3. კრონოსი (Κρόνος) — ურანოსისა და გეას ძე, ზევსის, ჰერას, პოსეიდონის, დემეტრესა და სხვათა მამა, შემდეგში დაამხო ზევსმა. || იაპეტოსი (Ἰαπετός) — ურანოსისა და გეას ვაჟი, პრომეთეს მამა.

4. ანანკე (Ἀνάγκη) — ბუნებრივი აუცილებლობა, გარდუვალობა, ღვთაებად პერსონიფიცირებული (ბედისწერა).

5. ატა (Ἄτη) — ჰომეროსთან ბედისწერის, უბედურებისა და შურისგების ქალღმერთი.

6. „ილიადა“, XIX, 92—93.

XIX

1. დედაში: *οὔτε γὰρ αὐτὸς βίᾳ πάσχει, εἴ τι πάσχει...*
2. ეს მეტაფორა ალკიდამასს (*Ἀλκιδάμας*) უნდა ეკუთვნოდეს, მე-საუკუნის რიტორს და სოფისტს, გორგიას მოწაფეს.
3. ნაწყვეტი ევრიპიდეს ჩვენამდე არმოღწეულ ტრაგედიიდან *Σθενέβοια*" (Nauck, fr. 663).
4. ა თ ე ნ ა (*Ἀθηνᾶ*) — ზევსის ასული, სიბრძნის, მეცნიერების, ელოვნების, ხელოსნობის, ძლევამოსილი ომებისა და მშვიდობიანობის არადქალწული ღვთაება, ატიკისა და ათენის მფარველი.

XX

1. გ ო რ გ ი ა (*Γοργίας*) — მე-5-4 საუკუნის ცნობილი ორატორი. ისი სახელი ეწოდება პლატონის ერთ-ერთ დიალოგს.
2. „ოდისეის" ერთი ადგილის (XI, 633—35) პერიფრაზა:

...ἐμὲ δὲ χλωρὸν δέος ἥρειν,
μή μοι Γοργείην κεφαλὴν δεινοῖο πελώρου
ἐξ Ἀίδεω πέμψειεν ἀγαυὴ Περσεφόνεια,

ო რ გ ო ნ ა (*Γοργώ*) — მითიური ურჩხული, რომლის ერთი შეხედ-აც კი ქვად აქცევდა კაცს. სოკრატე თამაშობს სიტყვებით: *Γόργειος* გორგონასი) და *Γοργίας* (გორგია).
3. ევრიპიდე — „იპოლიტე", 612.

XXII

1. დიოტიმას პიროვნება ბურუსითაა მოცული. ზოგი მას რეალურად რსებულ პიროვნებად მიიჩნევს, ზოგის აზრით კი იგი პლატონის ფანტა-იის ნაყოფია.

XXIII

1. დ ე მ ო ნ ი (*δαίμων*) — ღმერთი, ქალღმერთი, გენია, სული. დემონიური" (*δαιμόνιος*) — ღვთაებრივი.
2. პ ო რ ო ს ი (*Πόρος*) — ფონი, გზა, დინება, ხიდი. აქ სიუხვეს ნიშნავს და მორჭმულებისა და ღვთაების სახედაა პერსონიფიცირებული.
3. მ ე ტ ი დ ა (*Μῆτις*) — თემიდას ასული, „სიბრძნე".
4. პ ე ნ ი ა (*Πενία*) — სიღატაკისა და გაჭირვების განსახიერება.

XXIV

1. შდრ. რუსთაველი: „მიჯნურობა არის ტურფა, საცოდნელად ძნე-ლი გვარი"; ან, „ვთქვა მიჯნურობა პირველი და ტომი გვართა ზენათა".

1. კალონე (*Καλλονή*) — მშვენიერების ღვთაება.

2. მოირა (*Μοῖρα*) — ბედისწერის ქალღმერთი. ილითია (*Εἰλείθυια*) ზევსის და ჰერას ასული, ქალღმერთი მშობიარობისა.

XXVII

1. კოდროსი (*Κόδρος*) — ატიკის უკანასკნელი ლეგენდარული მეფე, რომელმაც თავი დასდო, რათა ტროელთა შემოსევისაგან ეხსნა თავისი ქვეყანა.

2.: *διὰ παιδογονίας.*

3. ლიკურგე (*Λυκοῦργος*) — დიდი სპარტელი კანონმდებელი, (IX ს. ძვ. წ. ა.).

4. სოლონი (*Σόλων*) — დიდი ათენელი კანონმდებელი (დაახლ. 638—559 წ. ძვ. წ. ა.).

XXVIII

1. ზიარება (ინიციაცია) 3-საფეხურიანი იყო: 1. განწმენდა (*καθαρμός*). 2. პირველზიარება (*ἡ τῆς τελετῆς παράδοσις*) და 3. კონტემპლაცია (*ἐποπτεία*).

XXIX

1. ესაა ორგანო, რომელსაც დავით აღმაშენებელი უწოდებდა „მხედველობაჲ სულისაჲ“ („გალობანი სინანულისანი“).

XXX

1. იხ. თ. XXIV და შეადარე არისტოფანეს სიტყვას —თ. XV.

XXXI

1. პსუკტერი (*Ψυκτήρ*) — საღვინე ჭურჭელი.

2. კოტილი (*κοτύλη*) — სითხის საწყავი (0,2736 ლ), ე. ი. პსუკტერში ჩადიოდა 0,2736×8=2,1888 ლ.

3. „ილიადა“, XI, 514.

XXXII

1. სილენი (*Σειληνός*) — ჰერმესის (სხვა ვერსიით პანის) ვაჟი, დიონისეს აღმზრდელი და მოძღვარი. ძველების წარმოდგენით სილენი იყო ერთთავად გალეშილი, მხიარული, მელოტი ბერიკაცი, რუმბივით სქელი და მრგვალი. აქ იგულისხმება სილენის ფორმის კარადები, რომელთაც თავიანთი ნამუშევრების, მეტწილად ღმერთების გამოსახულებათა შესანახად იყენებდნენ მოქანდაკენი

2. სირინგა (σῦριγξ) — ერთგვარი მუსიკალური ინსტრუმენტი.

3. მარსია (Μαρσύας) — სატირი (ტყის ღვთაება), დიონისეს მხლებელი, ფლეიტაზე დაკვრის დიდი ოსტატი; რომელიც ისე გაკადნიერდა, რომ თვით აპოლონი გამოიწვია შეჯიბრში, მაგრამ დამარცხდა და განრისხებულმა ღმერთმა ტყავი გააძრო მას. ოლიმპოსი (Ὄλυμπος) — პლუტარქეს ცნობით (De Musica, 7) — მარსიას მოწაფე, ფრიგიელი მუსიკოსი, ვინც პირველმა გააცნო ელინებს ჰარმონიის წესები.

4. კორდბანტი (κορύβας) — ფრიგიული ქალღმერთის — კიბელას ქურუმი.

5. პერიკლე (Περικλέης) — დიდი ათენელი პოლიტიკური მოღვაწე, ბრწყინვალე ორატორი (მე-5 ს. ძვ. წ. ა.).

6. სირინოსები ანუ სირენები (Σειρῆνες) — მითიური არსებანი, რომელნიც თავიანთი მომხიბლავი სიმღერით აჯადოებდნენ მეზღვაურებს.

XXXIII

1. აქ ორი ანდაზაა შეერთებული: 1. οἶνος καὶ ἀλήθεια — ღვინო და სიმართლე და 2. οἶνος καὶ παῖδες ἀληθεῖς — ღვინო და ბავშვები სიმართლეს ამბობენ.

XXXV

1. აიაქსი (Αἴας) —ტელამონიდი, ტროას ომის ერთ-ერთი უდიდესი გმირი, გადმოცემით მოუწყვლელად ითვლებოდა.

2. პოტიდეა (Ποτείδαια) — კორინთოს კოლონია მაკედონიაში. 435 წ. ძვ. წ. ა. პოტიდეამ სცადა ათენელთა ბატონობის უღელი გადაეგდო კისრიდან. 5 წლის შემდეგ პოტიდეა დამარცხდა.

XXXVI

1. „ოდისეა", IV, 242.

2. ჰელიოსი (ἥλιος) — მზე.

3. დელიონი (Δήλιον) — ქალაქი ბეოტიის აღმოსავლეთ სანაპიროზე, ატიკის საზღვართან. აქ 424 წ. ძვ. წ. ა. ბეოტიელებმა დაამარცხეს ათენელები.

4. ჰოპლიტი (ὁπλίτης) — მძიმედ შეიარაღებული ფეხოსანი მეომარი.

5. ლახესი (Λάχης) — ათენელი მხედართმთავარი პელოპონესის ომის დროს, დაეცა მანტინეასთან 418 წ. ძვ. წ. ა. მისი სახელი ეწოდება პლატონის ერთ-ერთ დიალოგს.

6. არისტოფანე — „ღრუბლები", 362.

7. ბრასიდა (*Βρασίδας*) — სპარტელი მხედართმთავარი პელოპონესის ომში. დაიღუპა 422 წ. ძვ. წ. ა. ამფიპოლისთან.

8. ნესტორი (*Νέστωρ*) — პილოსის მეფე, ტროას ლაშქრობის უხუცესი მონაწილე.

9. ანტენორი (*Ἀντήνωρ*) — ტროელთა ბელადი.

XXXVII

1. ხარმიდე (*Χαρμίδης*) — პლატონის ბიძა დედის მხრიდან. მისი სახელი ეწოდება დიდი ფილოსოფოსის ერთ დიალოგს.

2. ევფიდემოსს იხსენიებს ქსენოფონტეც თავის „Memorabilia"-ში.

3. დედანში: *καὶ μὴ κατὰ τὴν παροιμίαν ὥσπερ νήπιον παθόντα γνῶναι.*

XXXIX

1. ლიკეონი (*Λύκειον*) — გიმნასიონი აპოლონ ლიკეელის ტაძრის მახლობლად. შემდეგში იქ ასწავლიდა არისტოტელე.

* * *

თარგმნისას ხელთ გვქონდა „ნადიმის" შემდეგი გამოცემები:

Platonis Dialogi, ex recensione Caroli Friderici Hermani, Lipsiae, 1877.

Platonis Dialogi, ex recensione Immanuelis Bekkeri, Ber. 1817.

Platon, Oeuvres complètes, t. IV, partie 2: Le Banquet. Texte établi et trad. par Léon Robin, Paris, 1929.

გარდა ამისა, ვეყრდნობოდით „ნადიმის" 12 სხვადასხვა თარგმანს ლათინურ, ფრანგულ, რუსულ, იტალიურ, გერმანულ და ესპანურ ენებზე.

ბაჩანა ბრეგვაძე